

მეტი ყურადღება ბავშვთა ფეხბურთს
B4




როვერები მარსის კვლევას აგრძელებენ
B6



ბონო, პაპი და ფერადი რევოლუციები
B8


www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი, 24 თებერვალი, 2005 წელი. №42 (902) | ფასი 50 თეთრი


## პოლიტიკა

სამი "პ" - კოტე კუბლაშვილის წარმატების ფორმულა



გუშინ საქართველოს პარლამენტმა, 173 ხმით, ერთსულოვნად მოიწონა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე წარდგენილი კოტე კუბლაშვილის კანდიდატურა.

A2

## უცხოეთი

ჯორჯ ბუშის ევროპული ტურნე გრძელდება



ბუშის ორშაბათს დაწყებული ევროპული ტურნე წარმატებით მიმდინარეობს. ბრიუსელის შემდეგ 23 თებერვალს აშშ-ს პრეზიდენტი თავის გერმანელ კოლეგასთან, მაინცში განაგრძობდა მოლაპარაკებებს.

A3

იურიდიული ოფისი „ვაპი"

და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7-A8

## ამინდი

| | 24/2 | 25/2 | 26/2 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 12 | 14 | 15 |
| ქუთაისი | 16 | 17 | 17 |
| ბათუმი | 17 | 17 | 18 |
| სოხუმი | 14 | 15 | 15 |
| ფოთი | 17 | 17 | 18 |
| თელავი | 11 | 13 | 13 |
| ზუგდიდი | 16 | 17 | 17 |
| გორი | 8 | 11 | 12 |
| ახმეტა | 11 | 13 | 13 |
| ჭიათურა | 11 | 14 | 14 |
| გაგრა | 13 | 13 | 13 |
| სამტრედია | 16 | 17 | 18 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8360 |
| ევრო | 2.4266 |
| გირვანქა სტერლ. | 3.5068 |
| რუბლი | 0.0660 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | რევიუ | B3 |
| ეკონომიკა | A4 | სპორტი | B4 |
| რეკლამა | A5 | სპორტი | B5 |
| საზოგადოება | A6 | მეცნიერება | B6 |
| სამართალი | A7 | სხვადასხვა | B7 |
| პროექტი | A8 | სხვადასხვა | B8 |


# ქვეყანა ენერგეტიკული დამოუკიდებლობის შანსს კარგავს

### ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს მაგისტრალური გაზსადენის გაყიდვის წინააღმდეგია

ნინო გომართელი

*საქართველოს ხელისუფლება მოსახლეობას ქვეყნის მაგისტრალური გაზსადენის გაყიდვისთვის ამზადებს. პრივატიზაციის საკითხებთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს მთავრობა რუსულ კომპანია "გაზპრომთან" აწარმოებს, რასაც ოპოზიცია საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკური კურსის შეცვლად აფასებს და მიიჩნევს, რომ გაზსადენის რუსეთისთვის გადაცემა საქართველოს ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას დაასამარებს, რომლის ერთ-ერთი ქვაკუთხედი სამხრეთ კავკასიის მილსადენი უნდა გახდეს.*
*საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების შესაძლო გასხვისებასთან დაკავშირებით და ამ ფაქტზე შეერთებული შტატების დამოკიდებულებაზე, ამერიკაში დავუკავშირდით და ვესაუბრეთ სახელმწიფო დეპარტამენტის სპეციალურ მრჩეველს კასპიისპირეთის ენერგორესურსების საკითხებში სტივენ მანს.*



*სტივენ მანი.*

**- ამჟამად აქტიურად მიმდინარეობს საუბრები საქართველოს მაგისტრალური გაზსადენის შესაძლო გაყიდვასთან დაკავშირებით. საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა იტალიურ გაზეთ "ლა სტამპა"-სთან ინტერვიუში აღნიშნა, რომ ამ საკითხით რუსული კომპანია "გაზპრომიც" არის დაინტერესებული... როგორია ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია გაზსადენის შესაძლო გასხვისებასთან დაკავშირებით?**

- საქართველოს, როგორც სუვერენული სახელმწიფოს, ხელისუფლებას პრივატიზაციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების უფლება აქვს. თუმცა, ჩვენ დაჟინებით ვუხსნიდით საქართველოს ხელისუფლებას, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებები მიღებულ უნდა იქნეს დიდი სიფრთხილითა და დაკვირვებით.

ამერიკის შეერთებული შტატები წლების განმავლობაში მუშაობდა იმაზე, რომ უზრუნველეყო საქართველოს ენერგეტიკული დამოუკიდებლობა და ჩვენ სასტიკი წინააღმდეგნი ვართ ყველა იმ ქმედებისა, რამაც შესაძლოა, ეს პროცესი შეაჩეროს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# რუსთავის მეტალურგიულ კომბინატს რეაბილიტაციის ახალი მმართველი ჰყავს

### ხომ არ მეორდება "აზოტის" სქემა?

მაია მოსიაშვილი

გუშინ რუსთავის საქალაქო სასამართლოში "რმკ"-ს კრედიტორთა საერთო კრება გაიმართა, რომელიც მოსამართლე ჯორბენაძემ ფინანსთა სამინისტროს განცხადების საფუძველზე დანიშნა. სხდომის დღის წესრიგი ასეთი იყო: მეტალურგიული კომბინატის რეაბილიტაციისა და ფინანსური გაჯანსაღების 2003-2017 წლების გეგმის შესრულების თაობაზე რეაბილიტაციის მმართველის ანგარიში, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება და კრედიტორთა კომიტეტის არჩევა.

კრების დაწყებამდე რუსთავის სასამართლოს წინ 300-მდე ადამიანი შეიკრიბა. უმრავლესობა კომბინატის პენსიონერები და ყოფილი მუშები იყვნენ. ისინი შენობაში შესვლას ცდილობდნენ, თუმცა გაურკვეველი წარმომავლობის ჯანიანი ბიჭები მათ წიხლებით გაუმასპინძლდნენ და შესასვლელში პოზიციები თავად გაიმაგრეს. ხალხმა მათში "რმკ"-ის კერძო დაცვის წევრები ამოიცნეს. ვერავინ ახსნა, რატომ იცავდნენ სასამართლოს იტალიელების დაქირავებული მცველები.

შენობის შიგნითაც დაძაბულობა იგრძნობოდა. იქ შესვლა ლიმიტირებული იყო და მოსამართლის ბრძანებით შედგენილ სპეციალურ სიაში ძირითადად ის ადამიანები მოხვდნენ, რომლებიც ამჟამად ქარხნის ინვესტორად წოდებული იტალიური მხარის დაქვემდებარებაში მუშაობენ.

სასამართლოში გამოცხადდა "რმკ"-ს 7 მსხვილი კრედიტორი: რუსთავის საოლქო საგადასახადო ინსპექცია - მისდამი დავალიანება კომბინატს 33 757 000 აშშ დოლარი აქვს; ფინანსთა სამინისტრო - 1 470 000 დოლარი; "კილიგარდ ინვესტმენტი" - 12 780 000 დოლარი;

გაგრძელება A2 გვერდზე

# საქართველო მაგისტრალური გაზსადენის "გაზპრომზე" გაყიდვით დასავლეთს აშანტაჟებს

*საქართველო მაგისტრალური გაზსადენის "გაზპრომზე" გაყიდვით დასავლეთს აშანტაჟებს. ქვეყანა, რომლის ევროპული ინტეგრაცია, ჯარის სიძლიერე და მომავალი განვითარების პერსპექტივა დღეს ამერიკის შეერთებული შტატების კეთილგანწყობაზე ჰკიდია, მზადაა, გაზსადენისთვის მიღებული ერთჯერადი თანხა ამ მხარდაჭერას ანაცვალოს.*

თამარ ხორბალაძე

**"ჯერ ხალხს უთხარით, რას გააკეთებთ იმ ფულით, რომელსაც "გაზპრომის" გაყიდვით მიიღებთ და მერე უფრო ადვილი იქნება ეროვნული კონსენსუსის მიღწევა იმის თაობაზე, რომ მაგისტრალური გაზსადენები უნდა გაიყიდოს,"** - ასეთ რჩევებს აძლევენ დღეს "დამოუკიდებელი ქართული მედიასაშუალებების" წარმომადგენლები ღია ეთერში ქართულ ხელისუფლებას, რომელსაც, როგორც ჩანს, მაგისტრალური გაზსადენის გასხვისება უკვე საბოლოოდ აქვს გადაწყვეტილი.

ყოველ შემთხვევაში, სამშაბათს ყველა, ჯერ კიდევ დარჩენილ, საღამოს ანალიტიკურ ტელეგადაცემებში თუ ტელეშოუებში "ცალ კარში" თამაშობდნენ საქართველოს ხელისუფლების ის წარმომადგენლები, რომლებიც გაზსადენის გაყიდვაში სახიფათოს ვერაფერს ხედავენ და ჟურნალისტები, რატომღაც, სწორედ მათ ეკითხებოდნენ დაახლოებით ასეთ სტილში: **"მაინც, რა უნდათ თქვენს ოპონენტებს, რას უპირისპირებენ თქვენს "ტყვიაგაუმტარ" არგუმენტებს?"**

გასაგებიცაა - სახელისუფლებო კულუარებში უკვე, როგორც ჩანს, მიღებული გადაწყვეტილების ფონზე, რომელიც პრეზიდენტმა სააკაშვილმა ასე გააჟღერა: **"გაზი ხომ მაინც რუსეთიდან მოდის..."** საჭიროა საინფორმაციო ფონის შექმნა და ხალხისთვის იმის ახსნა, რომ დღეს დარიგებული ხელფასების, ცოტა უფრო მეტად გამოკვებილი ჯარის, ან - მეტი ტანკის და ტყვიამფრქვევის, ან ჯერ კიდევ ბოლომდე ჩამოუყალიბებელი სქემის მიხედვით მიმდინარე რეფორმების ფასად მაგისტრალური გაზსადენები შეიძლება გაიყიდოს. ამასთან ერთად კი, დღევანდელ ხელისუფლებას სჭირდება გაჩუმება იმის თაობაზე, რომ ეს არა მხოლოდ ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებაზე, არამედ - მის დასავლურ ორიენტაციაზე უარის თქმასაც ნიშნავს.

**"გაზპრომი" და "როსნეფტი" მხარს უჭერდნენ და კვლავაც მიესალმებიან რუსეთის ფედერაციის მთავრობის გადაწყვეტილებას - "გაზპრომში" სახელმწიფოს წილი გაზარდოს საკონტროლო პაკეტამდე (შეგახსენებთ, რომ დღეისთვის სახელმწიფო "გაზპრომში" 38,37 პროცენტს ფლობს, "როსნეფტში" კი - 100 პროცენტს). მიგვაჩნია, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება მთლიანად შეესაბამება რუსეთის ნაციონალური უსაფრთხოების ინტერესებს და თავსდება ნავთობისა და გაზის სფეროს განვითარების სახელმწიფო სტრატეგიაში,"** - ეს ამონარიდია იმ განცხადებიდან, რომელიც "გაზპრომის" და "როსნეფტის" გაერთიანების პროცესში აქციონერებმა, ერთი კვირის წინ, რუსეთის ხელისუფლების საკმაოდ აქტიური ზეწოლის შედეგად გააკეთეს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# სასამართლომ სამართალდამცველთა შეგნებული შეცდომა აღიარა

ხათუნა ჯანგირაშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესხეთის ფილიალის რექტორი მერაბ ბერიძე თავდებით გაათავისუფლეს. მის უკანონო დაპატიმრებასთან დაკავშირებით ბოლო დღეებში ატეხილმა ხმაურმა შედეგი გამოიღო. თუკი რამდენიმე დღის წინ სპეცრაზმის ალყაში მოქცეულმა ახალციხის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ დააკმაყოფილა პროკურატურის მოთხოვნა და მერაბ ბერიძე მეშვიდე იზოლატორში გაისტუმრა, გუშინ პარლამენტარებისა და ბრალდებულის ახლობლების გარემოცვაში აღმოჩენილმა საოლქო სასამართლომ მერაბ ბერიძისთვის შეფარდებული სამთვიანი პატიმრობა გააუქმა.*

საოლქო სასამართლომ გუშინ, ფაქტობრივად, აღიარა სამართალდამცველების მხრიდან მერაბ ბერიძის წინააღმდეგ შეგნებულად დაშვებული შეცდომები. შეგახსენებთ, რომ გამოძიება მერაბ ბერიძეს რექტორობის პერიოდში თსუ-ს სამხედრო კათედრაზე ახალციხის ფილიალის სტუდენტების არაკანონიერად ჩარიცხვაში ადანაშაულებდა. თუმცა, ბერიძის ინტერესების დამცველები ირწმუნებოდნენ, რომ მის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეში დანაშაულებრივი ქმედების არანაირი ნიშნები არ არსებობდა.

გაგრძელება A7 გვერდზე






იხილეთ B3 გვერდზე

# რუსთავის მეტალურგიულ კომბინატს რეაბილიტაციის ახალი მმართველი ჰყავს

პირველი გვერდიდან

"იტერა" - 4 933 000 დოლარი; "საქართველოს რკინიგზა" - 1 241 300 დოლარი; "რუსთავცემენტი" - 2 310 000 ლარი; "საქენერგო-2000" - 1 000 084 დოლარი.

"რმკ"-ს მუშა-მოსამსახურეებს, როგორც კრედიტორებს, მათი პროფკავშირების თავმჯდომარე წარმოადგენდა, თუმცა იმის გამო, რომ მისი პოზიცია დანარჩენი კრედიტორებისას არ დაემთხვა, ის სრულ უმცირესობაში აღმოჩნდა.

სხდომაზე ავადმყოფობის გამო არ გამოცხადდა რეაბილიტაციის მმართველი ბენო ქაშაკაშვილი და შესაბამისად მისი ანგარიშის მოსმენაც არ შედგა.

**"დაახლოებით 10 თვე გავიდა, რაც ქაშაკაშვილი რეაბილიტაციის მმართველად აირჩა. ამ ხნის განმავლობაში ის კრედიტორთა წინაშე ანგარიშით არ წარმდგარა. როგორც ჩვენ ვიგებთ, საწარმოში საქმე არც ის კარგადაა და ის ვალდებული იყო, ანგარიში ჩაებარებინა. ასევე, ამ ხნის განმავლობაში ფინანსთა სამინისტროს კრედიტორული დავალიანებიდან არაფერი მიუღია, ამიტომ მიგვაჩნია, რომ მისი მუშაობა არადამაკმაყოფილებლად უნდა შეფასდეს,"** - ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლის ეს პოზიცია სრულად გაიზიარა დანარჩენმა ექვსმა კრედიტორმა და მათ კენჭისყრაზე დააყენეს ქაშაკაშვილის თანამდებობიდან გადაყენებისა და მის ნაცვლად რეაბილიტაციის ახალი მმართველის დანიშვნის საკითხი.

კენჭისყრამდე ბენო ქაშაკაშვილის წარმომადგენელმა ვახტანგ გაგნიძემ ვრცლად ისაუბრა გაკეთებულ საქმეებზე და ვერგაკეთებულის ხელისშემშლელ ობიექტურ მიზეზებზე, თუმცა ამაოდ. კრედიტორებს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდათ ქაშაკაშვილის ბედი და მომავალი რეაბილიტაციის მმართველიც დილიდან სასამართლოს ფოიეში იცდიდა.

განათლებით იურისტი მალხაზ ალბორაშვილი შვიდმა კრედიტორმა ახალ მმართველად აირჩია და მათი არჩევანი მოსამართლე ჯორბენაძემ, ერთსაათიანი ფიქრის შემდეგ, დაამტკიცა.

როგორც "24 საათს" "კილიგარდ ინვესტმენტის" წარმომადგენელმა კახა შარაბიძემ განუცხადა, ალბორაშვილის თაობაზე მის კომპანიას და სახელმწიფოს შორის კონსულტაციები გაიმართა. მისივე ინფორმაციით, ახალი მმართველის კანდიდატურა ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ შესთავაზა ფინანსთა სამინსიტროს. ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელმა კი "24 საათს" განუცხადა, რომ ახალი კანდიდატურის ვინაობა მისთვის მხოლოდ წინა დღეს გახდა ცნობილი.

შეგახსენებთ, რომ "კილიგარდი" ის კრედიტორია, რომლის სარჩელის საფუძველზეც, "რმკ"-ს 168-მილიონლარიანი ქონების იტალიურ "არესზე" გასხვისება უკანონოდ იქნა აღიარებული და სახელმწიფოს დაუბრუნდა. გუშინ კი "კილიგარდმა" და სახელმწიფომ სწორედ ის კანდიდატურა დანიშნეს რეაბილიტაციის მმართველად, რომელიც იტალიელებისთვის იყო მისაღები. კულუარებში ისიც ითქვა, რომ ქარხანა საბოლოოდ სწორედ მათ დარჩებათ, რადგან სხვას არავის სურს მისი ყიდვა.

გუშინ მეტალურგიული კომბინატის რეაბილიტაციის ახალი მმართველის საგულშემატკივროდ სასამართლოში იტალიური მხარის წარმომადგენლები მრავლად იყვნენ და მიღებული გადაწყვეტილებით გახარებულნიც ყველაზე მეტად ისინი ჩანდნენ.

მოკლედ, მეტალურგიული კომბინატის შემთხვევაშიც ის სქემა განმეორდა, რაც ორი წლის წინ "აზოტში". მაშინ "აზოტის" კრედიტორთა კრებამ რეაბილიტაციის მმართველად "იტერას" კაცი, შჩოგოლევი დანიშნა ნიკოლოზ ბაკაშვილის ნაცვლად, რადგან ეს უკანასკნელი რეაბილიტაციის გეგმის შეუსრულებლობის გამო აშკარად დაუპირისპირდა ინვესტორს. მას შემდეგ "აზოტში" რეაბილიტაციის მმართველი ნომინალურ ფიგურად გადაიქცა, არადა კანონით სწორედ ის უნდა მართავდეს პროცესებს.

რაც შეეხება ბენო ქაშაკაშვილს, როგორც მისი წარმომადგენელი აცხადებს, ისინი აუცილებლად გაასაჩივრებენ რუსთავის სასამართლოს გუშინდელ გადაწყვეტილებას საოლქო სასამართლოში და პროცესის მოგების იმედიც აქვთ, რადგან საკმაოდ ბევრ პროცედურულ დარღვევას ჰქონდა ადგილი, რაზე თვალის დახუჭვაც არ შეიძლება.

# პარლამენტში უდისციპლინობა ძვირდება

*"ბევრ დეპუტატს წინათ მხოლოდ ხელფასის რიგში ვხედავდი, რაც საბარათო სისტემაზე გადავედით, მას შემდეგ კი საერთოდ აღარ მომიკრავს თვალი," - პარლამენტარი ხათუნა გოგორიშვილი იძულებულია, მწარე სიმართლე ხმამაღლა უთხრას იმ კოლეგებს, ვისაც არასაპატიო მიზეზით სხდომების გაცდენისთვის პასუხისმგებლობის გამკაცრება არ სურს.*

გიორგი ასანიშვილი

პარლამენტის ხელმძღვანელობა საკანონმდებლო ორგანოში დისციპლინის განმტკიცების აუცილებლობაზე საუბრობს და მიზნის მიღწევას ფინანსური სანქციებით ცდილობს. რეგლამენტში შესატანი ცვლილებების პროექტის მიხედვით, თუ დეპუტატი არასაპატიო მიზეზით ერთ პლენარულ სხდომას გააცდენს (დილით და კენჭისყრის წინ რეგისტრაციას არ გაივლის), ხელფასისა და სახელფასო დანამატის 10 პროცენტი (დაახლოებით 150 ლარი) დაექვითება. მკაცრი საჯარიმო სანქციებია გათვალისწინებული საკომიტეტო სხდომების გაცდენისთვისაც.

უდისციპლინო დეპუტატებს "მეორე ფრონტიც" გაუხსნეს. მოქმედი რეგლამენტი ითვალისწინებს ადგილმონაცვლეობის წესს, რაც ფრაქციას უფლებას აძლევს, კომიტეტის სხდომაზე "სათადარიგო" წევრი მიავლინოს. თუმცა, პრაქტიკამ აჩვენა, რომ გამონაკლისი წესად იქცა: კომიტეტის "ძირითადი" წევრი სხდომებს სისტემატურად არ ესწრება და მის ნაცვლად, სხდომებზე მუდმივად "სათადარიგო" დეპუტატი დადის. ამიტომ, რეგლამენტში შესატანი ცვლილებების პროექტით გათვალისწინებულია შეზღუდვის დაწესება: ერთი სესიის განმავლობაში ფრაქციას მხოლოდ ხუთჯერ მიეცემა კომიტეტის "შტატიანი" წევრის ჩანაცვლების უფლება.

ერთი შეხედვით, დეპუტატებს, თითქოს, სიზარმაცის ყველა ხვრელი ამოუქოლეს, მაგრამ ეს მხოლოდ... ერთი შეხედვით: რეალურად, პარლამენტარებს "მანევრირებისთვის" ფართო ასპარეზი რჩებათ: სხდომის გაცდენა საპატიოდ ჩაითვლება, თუ ხალხის რჩეული მივლინებაშია, ავადმყოფობს, მძიმე ოჯახური მდგომარეობა აქვს და ა.შ.

საკმარისია, აღნიშნულის თაობაზე მან ტელეფონით აცნობოს თავისი ფრაქციის ხელმძღვანელს და ფინანსური სანქციები აღარ დაემუქრება. თანაც, პარლამენტარს "სიტყვაზე ენდობიან" - მართლა ავადმყოფობს თუ სადმე დროს ატარებს, არავინ გადაამოწმებს.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთ კანონმდებელს თავის (და ჯიბის) საფრთხეში ჩაგდება მაინც არ სურს.

ლანჩხუთის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ბიძინა გუჯაბიძე ჩივის, პარლამენტარებს ისედაც დაბალი ხელფასები გვაქვს (?!) და ამიტომ სჯობია, ფინანსური სანქციების ნაცვლად, გამცდენი დეპუტატების გვარების საჯაროდ გამოცხადებით შემოვიფარგლოთო.

დეპუტატი იგორ პატარიძე კი ჯერ იმით დაინტერესდა, ჯარიმა მხოლოდ ხელფასიდან დაიანგარიშება თუ სახელფასო დანამატიდანაც, და როდესაც თავისთვის არასასურველი განმარტება მოისმინა, დაასკვნა: **"სანქციებით მხოლოდ ის დეპუტატები დაზარალდებიან, ვინც სხდომებს იშვიათად აცდენს, რადგან ვინც პარლამენტში სისტემატურად არ დადის, იმას სხვა შემოსავალიც აქვს."**

ფინანსური სანქციების გამკაცრების წინააღმდეგ ყველაზე ხმამაღლა ოპოზიცია ილაშქრებს.

**"საჯარიმო სანქციების შემოღება პარლამენტის იმიჯზე დადებითად არ იმოქმედებს. სადამსჯელო ზომები არ გაამართლებს,"** - აცხადებს "მემარჯვენე" მამუკა კაციტაძე და საპარლამენტო უმრავლესობას ურჩევს, აღნიშნული სანქციები თავის შიდასაფრაქციო წესდებაში შეიტანოს.

**"გამცდენი დეპუტატი არა ვარ, მაგრამ რეგლამენტში ცვლილებების შეტანას მაინც არ დავუჭერ მხარს,"** - აღნიშნავს ზურაბ ტყემალაძე, რომლის მტკიცებითაც, **"ყველაფერი ეს მხოლოდ კვორუმის პრობლემის გადასაჭრელად კეთდება".**

**"კვორუმი უმრავლესობის პრობლემაა და ის სხვაგვარად მოაგვარეთ,"** - მოუწოდებს "მემარჯვენეთა" ერთ-ერთი ლიდერი სახელისუფლებო ფრაქციის წარმომადგენლებს.

როდესაც დეპუტატები იმაზეც აწუწუნდნენ, რომ **"მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში დეპუტატებს ასე არ სჯიან"**, ხათუნა გოგორიშვილის მოთმინების ფიალა აივსო: მან კოლეგებს შეახსენა, რომ სენატორები სხდომის გაცდენისთვის საჯაროდ იხდიან ბოდიშს. გარდა ამისა, ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტის პრაქტიკა...

ქართველი კანონმდებლებისთვის ასეთი "პერსპექტივა" მთლად არასასურველი აღმოჩნდა და ამიტომ, მათ "მცირე ბოროტება" ამჯობინეს: წარმოდგენილი ცვლილებების პროექტს, 115 ხმით, 18-ის წინააღმდეგ, პირველი მოსმენით, მხარი დაუჭირეს.


ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან
რადიო „მწვანე ტალღა" თავისუფალი აზრის რადიო
FM 107.4
„ხალხის ტრიბუნა" ყოველ საღამოს შაბათ-კვირის გარდა 7-დან 8 საათამდე
ქართული ეკონომიკის და მითუმეტეს ენერგეტიკის რუსეთის კონტროლის ქვეშ გადაცემა არ უნდა დავუშვათ



მოწვეული სტუმრები
სოფო გელოვანი
ნიკო ლეკიშვილი პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე
ლიანა ჯერვალიძე ექსპერტი
კოკა გუნცაძე ფრაქცია ახალი მემარჯვენეების – მრეწველები, ახლების წევრი

ნიკო ლეკიშვილი:
ის აქტიურობა რასაც გაზპრომი იჩენს ეს არის რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან ინიცირებული. სახელმწიფო კომპანია თავისით ასეთ საკითხებს არ წყვეტს. წარმოუდგენელია, რომ ქართული სახელმწიფო კომპანია წავიდეს და ამერიკაში იყიდოს რაიმე მთავრობის გადაწყვეტილების გარეშე.

კოკა გუნცაძე:
გაზსადენი არ არის მხოლოდ კომუნიკაციის საშუალება, არის პოლიტიკური ინსტრუმენტი, ამიტომ მისი გასხვისება წარმოუდგენელია.
სტრატეგიული ობიექტების გასხვისებაზე პარლამენტის თანხმობა საქართველოს პოლიტიკური კურსის ცვლილების აღიარება იქნება. ჩვენ ძალიან მწვავედ გამოვალთ ამ ინიციატივის წინააღმდეგ, ბენდუქიძის კაბინეტში არ უნდა იყიდებოდეს სახელმწიფოს ქონება.

ლიანა ჯერვალიძე:
რუსეთი და ირანი სხვადასხვა გზებით, მაქსიმალურად ცდილობენ, რომ ჩვენი რეგიონიდან გაზის ექსპორტზე კონტროლი განახორციელონ.
არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ ქართული ეკონომიკის და მითუმეტეს ენერგეტიკის სფეროს სრულად რუსეთის კონტროლის ქვეშ გადაცემა.


# სამი "პ" - კოტე კუბლაშვილის წარმატების ფორმულა

გიორგი ასანიშვილი

*გუშინ საქართველოს პარლამენტმა, 173 ხმით, ერთსულოვნად მოიწონა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე წარდგენილი კოტე კუბლაშვილის კანდიდატურა. 32 წლის იურისტის წარმატების ფორმულა საკმაოდ მარტივია და სამი "პ"-თი გამოისახება. "ის არის პატრიოტი, პატიოსანი და პროფესიონალი," - ასე ახასიათებენ საკანონმდებლო ორგანოში სასამართლო ხელისუფლების ახალ ხელმძღვანელს.*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*უზენაესი სასამართლოს ახალი თავმჯდომარე პარლამენტში.*

**"ძლიერი სასამართლო ძლიერ სახელმწიფოს ნიშნავს,"** - ახალ პოსტზე ამ დევიზით იწყებს მუშაობას კოტე კუბლაშვილი. თუმცა, მისი სასტარტო პოზიციები არც ისე შესაშურია: საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებიც კი დაუფარავად აცხადებენ, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხი დღეს ძალიან დაბალია და მოსამართლეებს გადაწყვეტილების მიღება, ხშირად, პროკურატურისა და აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალჩინოსანთა მხრიდან ზეწოლის პირობებში უხდებათ.

ახალ თანამდებობაზე ბევრი საქმე რომ ექნება, კოტე კუბლაშვილი თავადაც აცნობიერებს და სასამართლო სისტემის რეფორმირების მისეულ ხედვაზე დეპუტატებთან ვრცლად საუბრობს. მისი თქმით, ცვლილებები, პირველ რიგში, უზენაეს სასამართლოს უნდა შეეხოს. კერძოდ, საუბარია იმაზე, რომ უზენაეს სასამართლოს კონკრეტული საქმეების განხილვის ფუნქცია ჩამოსცილდეს და მხოლოდ საკასაციო სასამართლოდ "გადაკეთდეს".

კოტე კუბლაშვილი საერთო სასამართლოების რეფორმირებასაც გეგმავს: ნავარაუდევია მათი გამსხვილება და ცალკეული სფეროების მიხედვით სპეციალიზება.

უზენაესი სასამართლოს ახალი თავმჯდომარე სახელგატეხილი მოსამართლეების მიმართ მკაცრი დისციპლინარული დევნის განხორციელებას აპირებს. ამასთან, იგი შეეცდება, რომ კოლეგიალობისა და კორპორატიული ინტერესების გამო, თავად სისტემის შიგნით არ მოხდეს დამნაშავე მოსამართლეების დაცვა.

პარლამენტის გუშინდელ პლენარულ სხდომაზე კოტე კუბლაშვილს არაერთხელ შეახსენეს, რომ მოსამართლეებზე, ხშირად, ფსიქოლოგიური ზეწოლა ხორციელდება.

**"მოსამართლის მიერ გამამართლებელი განაჩენის გამოტანისთანავე, განსასჯელს პოლიციისა და პროკურატურის მუშაკები ხვდებიან და მას, სასამართლოს დარბაზიდან გამოსვლისთანავე, ხელახლა აპატიმრებენ,"** - შესჩივლა დეპუტატმა ნაზი არონიამ კუბლაშვილს.

თუმცა, საპარლამენტო უმრავლესობას სჯერა, რომ უზენაესი სასამართლოს ახალი შეფი სისტემის შიგნით არსებულ პრობლემებს თავს გაართმევს და მდგომარეობას გამოასწორებს.

**"დარწმუნებული ვარ, კოტე კუბლაშვილი ნდობას გაამართლებს, სასამართლო ხელისუფლებას რეალურ დამოუკიდებლობას შესძენს და მის მიმართ მოსახლეობის ნდობას აღდგენს,"** - აღნიშნავს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე და ყოველივე ამის გათვალისწინებით დასძენს, რომ **"კუბლაშვილს ისტორიული მისია აკისრია".**

"პპპ"-ს შესაძლებლობებში მხოლოდ "მემარჯვენე ოპოზიციას" შეაქვს ეჭვი. ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც მათ კუბლაშვილის კანდიდატურას ხმა არ მისცეს, ის იყო, რომ ამ უკანასკნელს სამოსამართლეო პრაქტიკა არა აქვს.

**"მოსამართლედ მუშაობის გამოცდილება არა მაქვს, მაგრამ ამ სისტემასთან 10 წლის განმავლობაში შიგნიდან მქონდა შეხება. ამასთან, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს უშუალოდ არ უწევს მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება,"** - ოპოზიციის ბრალდებებს კოტე კუბლაშვილი უსაფუძვლოდ მიიჩნევს.


საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA
საუბრობთ საზღვარგარეთ?
თუ თქვენ სარგებლობთ საერთაშორისო კოდით 8-10
მაშინ თქვენ გელით სიურპრიზი...
საქართველოს ტელეკომი აცხადებს ყოველთვიურ კონკურსს
"თვის ნომინანტები" და გამოავლენს ყველაზე აქტიურ და ერთგულ მომხმარებლებს.
გამარჯვებულები ყოველთვიურად დაჯილდოვდებიან უფასო სალაპარაკო დროით და სპეციალური პრიზებით.
ესაუბრეთ მსოფლიოს, გადაიხადეთ დროულად, დაელოდეთ ჩვენს ზარს და, რაც მთავარია, უამრავ სიურპრიზს!
რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 44 18 10 www.telecom.ge


## მოკლედ

### გეწაძემ გადადგომა გადაწყვიტა

არაოფიციალური ინფორმაციით, პრეზიდენტის რწმუნებულმა იმერეთის რეგიონში გია გეწაძემ თანამდებობა დატოვა. კულუარებში აცხადებენ, რომ თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ განცხადება გეწაძემ თავად დაწერა.

კულუარებშივე გეწაძის მიერ დაკავებული პოსტიდან გადადგომის მიზეზად ქუთაისის წყლით მომარაგების ხმაურიანი კამპანია და ასევე, გეწაძისა და სხვა "იმერელი" ჩინოვნიკების გართობის ორიგინალური ხერხები სახელდება.

გავრცელებული ინფორმაციით, პრეზიდენტისთვის იმერეთიდან მიწოდებული ინფორმაცია, ქუთაისის წყალმომარაგებასთან დაკავშირებით, გაზვიადებული იყო. ქუთაისელები მიჩვეული არიან ნახევრად უწყლოდ ცხოვრებას და ასეთ პირობებში კასრებითა და წყლის ავზებით შეიარაღებული ჩინოვნიკების თავდაუზოგავმა დახმარებამ იმერლები, რბილად რომ ვთქვათ, სახტად დატოვა. სახტად დარჩნენ იმერლები მაშინაც, როცა ერთ-ერთ ადგილობრივ გაზეთში მათი გუბერნატორის, მისი მოადგილისა და სხვა ადგილობრივი ჩინოვნიკების "ბოთლზე წამოსკუპებული" ფოტოები იხილეს.

როგორც კულუარებში აცხადებენ, გეწაძემ სასმელი წყლის გარშემო ატეხილი აურზაურის გამო პრეზიდენტისგან დიდი საყვედური დაიმსახურა. თბილისში არც გეწაძის უწყინარი თამაშები მოეწონათ. გავრცელებული ინფორმაციით, გეწაძე გუშინ კანცელარიაში იმყოფებოდა, თუმცა ამ ინფორმაციას ოფიციალური პირებიდან არავინ ადასტურებს. სახელმწიფო კანცელარიაში არ ადასტურებენ არც გეწაძის გადადგომის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას. ცნობილია, რომ იმერეთის გუბერნატორი, უკვე რამდენიმე დღეა, თბილისში იმყოფება. გუშინ იგი ჟურნალისტებთან კონტაქტზე არ გამოსულა.

უკვე სახელდება გეწაძის სავარაუდო შემცვლელების კანდიდატურებიც. როგორც ამბობენ, არ არის გამორიცხული, იმერეთის ახალი გუბერნატორი თბილისის ყოფილი პრემიერი, ამჟამად შს მინისტრის მოადგილე ბიძინა ბრეგაძე გახდეს. ერთ-ერთ კანდიდატად სახელდება ასევე პარლამენტარი დავით კირკიტაძე.

*24 საათი*

### პრეზიდენტმა უზენაეს სასამართლოში ახალი თავმჯდომარე წარადგინა

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა უზენაეს სასამართლოში ახალი თავმჯდომარე - კოტე კუბლაშვილი წარადგინა. პრეზიდენტს კუბლაშვილის პროფესიონალიზმში ეჭვი არ ეპარება და მისგან სასამართლო სისტემაში მნიშვნელოვან რეფორმებს ელის. ამასთანავე, ქვეყნის პირველი პირი უზენაესი სასამართლოს ახლად დანიშნულ თავმჯდომარეს "სამართლიანობისა და წესიერების განსახიერებას" უწოდებს, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს მოსახლეობაში სასამართლო ხელისუფლებისადმი ნდობის ამაღლებაში. როგორც მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, დღეისათვის საპატრულო პოლიციისადმი ნდობა უფრო მაღალია, ვიდრე სასამართლოსადმი. პრეზიდენტის თქმით, მისი მთავარი მიზანი საქართველოში კანონის უზენაესობის დამკვიდრებაა, რისთვისაც ხშირად არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმაც უწევს. საქართველოს პრეზიდენტი "ვარდების რევოლუციის" შედეგად მოსული ხელისუფლების უდიდეს მიღწევად აფასებს სახელმწიფო უწყებებში მიმდინარე რეფორმებს, რაც ბიუროკრატიული აპარატის შემცირებასაც უწყობს ხელს.

*ინტერ-პრესი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტს ხელფასი 1000 ლარით გაეზრდება. მთავრობის სხდომაზე ახლად არჩეულმა მინისტრთა კაბინეტმა საქართველოს პრეზიდენტის შრომის ანაზღაურების საკითხი განიხილა და გადაწყვიტა, რომ პრეზიდენტის ხელფასი 4000 ლარამდე გაიზრდება. ამის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება საქართველოს პარლამენტმა უნდა მიიღოს და შესაბამის კანონში ცვლილება შეიტანოს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს შეიარაღებული ძალების კრწანისის სასწავლო ცენტრში ახალი ქართულ-ამერიკული პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების პრეზენტაცია გაიმართა. პრეზენტაციას საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი ლევან ნიკოლეიშვილი და აშშ-ს ელჩი საქართველოში რიჩარდ მაილსი დაესწრნენ. ამერიკის მთავრობა 6 500 000 ლარის ღირებულების პროექტს "უსაფრთხოებისა და სტაბილურობის შენარჩუნების ოპერაციების პროგრამის" ფარგლებში აფინანსებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძე ქვეყნიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის საბოლოო თარიღად 2006 წლის 1 იანვარს ასახელებს. "ჯარების გაყვანასთან დაკავშირებით ჩვენი მხრიდან დათმობა აღარ იქნება, რადგან მოლაპარაკებების ყველა რესურსი ამოიწურა," - განაცხადა თარგამაძემ. მისივე თქმით, თუ ოფიციალური მოსკოვი არ დათანხმდება ბაზების ქართული მხარის მიერ შეთავაზებულ ვადებში გაყვანას და საკუთარ პოზიციას არ დააფიქსირებს, საქართველომ რუსული ბაზების ბლოკირება უნდა განახორციელოს. ამასთანავე, თარგამაძე აცხადებს, რომ რუსეთის სამხედრო ბაზების გასაყვანად საჭირო სახსრები საქართველოსაც გააჩნია. **ინტერ-პრესი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა ნიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ქვეყანა ენერგეტიკული დამოუკიდებლობის შანსს კარგავს

პირველი გვერდიდან

მაგისტრალური გაზსადენის გაყიდვა წინააღმდეგობაში მოვა იმ გეგმებთან, რასაც ჩვენ - შეერთებული შტატები ვემხრობით - მივცეთ საქართველოს ალტერნატიული ენერგეტიკული წყაროები.

აქვე უნდა ითქვას, რომ ირანი-აზერბაიჯანი-საქართველოს დამაკავშირებელ გაზსადენზე სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს, რაც საქართველოში გაზის მიწოდების სფეროში კონკურენციას წარმოშობს.

მე მიმაჩნია, რომ თუ საქართველო გაზსადენს გაყიდის, ის ამით ასევე გაყიდის შესაძლებლობას, უზრუნველყოს ენერგეტიკული რესურსების დამოუკიდებელი, ალტერნატიული კონკურენცია.

ასეთია ამერიკის შეერთებული შტატების ხედვა.

**- თქვენ აღნიშნავთ, რომ გაზსადენის გაყიდვას უარყოფითი შედეგები მოჰყვება. აქვს თუ არა აშშ-ს ბერკეტები, რომ საქართველოს მთავრობას გადაწყვეტილება შეაცვლევინოს?**

- ამ საკითხებზე პირადად მე დიდი და ხანგრძლივი განხილვები მქონდა საქართველოს პრეზიდენტთან მიხეილ სააკაშვილთან, აწ გარდაცვლილ პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასთან და სხვა ოფიციალურ პირებთან. მათთან საუბარში მე ღიად გამოვხატე ჩვენი მტკიცე ხედვა აღნიშნულ საკითხზე.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ საქართველოს რუსულ კომპანია "გაზპრომთან" ურთიერთობის წინააღმდეგნი არ ვართ. შეერთებულ შტატებს ესმის, რომ "გაზპრომი" საქართველოს ენერგეტიკული სექტორის მნიშვნელოვანი ნაწილია, რის გამოც არ ვართ თანამშრომლობის წინააღმდეგნი. ის, რისი წინააღმდეგნიც ჩვენ ვართ, არის მონოპოლიური კონტროლი. კასპიისპირეთის რეგიონში, ჩვენი ყველა ენერგეტიკული წერტილი აშკარას ხდის და ხაზს უსვამს ფაქტს, რომ კონკურენცია არის სასარგებლო.

ჩვენი დამოკიდებულებით და ხედვით, თუ საქართველოს მაგისტრალური გაზსადენი გაიყიდება, ეს ხელს შეუშლის "შაჰდენიზის" პროექტით გაზის რეალიზებას. ეს კი, თავის მხრივ, ხელს შეუშლის საქართველოს, გააკეთოს კარგი არჩევანი, რისთვისაც ასე დიდხანს ვმუშაობდით საქართველოში.

კონკურენცია და კარგი გარემო გულისხმობს ენერგეტიკულ გარანტიებს; კონკურენცია გულისხმობს დაბალ ფასებს.

**- თქვენ აღნიშნეთ, რომ ამ საკითხებზე ესაუბრეთ საქართველოს მთავრობას. ვერ მოახერხეთ მისი აზრის შეცვლა?**

- საქართველოს მაგისტრალური გაზსადენი, ჯერჯერობით, გაყიდული არ არის. შედეგიც, შესაძლოა, სწორედ ეს იყოს.

**- თქვენი აზრით, საქართველოს მაგისტრალური გაზსადენის გაყიდვა შეცვლის ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ურთიერთობას საქართველოსთან?**

- პირველ რიგში, უნდა აღვნიშნო, რომ გაზსადენის გაყიდვა "შაჰდენიზის" პროექტზე არ იმოქმედებს. ის გაგრძელდება და საქართველოზე მაინც გაივლის. ეს პროექტი განხორციელდება იმის მიუხედავად, თუ რა მოხდება.

ასე რომ, ზოგადად, ეს არ იმოქმედებს შეერთებული შტატების იმ გეგმებზე, რაც აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკულ კორიდორს უკავშირდება.

რაც შეეხება საქართველოსა და ამერიკის მთავრობათა ურთიერთობებს, უნდა ითქვას, რომ საქართველოს მთავრობა შეერთებული შტატების მეგობარია და ჩვენ ყოველთვის ახლო ურთიერთობები გვექნება. ჩემი ეს კომენტარი კი ჩვენს მეგობრობას ეჭვქვეშ არ აყენებს.

# საქართველო მაგისტრალური გაზსადენის "გაზპრომზე" გაყიდვით დასავლეთს აშანტაჟებს

პირველი გვერდიდან

ცხადია, რომ საკონტროლო პაკეტის ფლობის შემთხვევაში, ზეწოლის დამატებითი ბერკეტები რუსეთის ხელისუფლებას არ დასჭირდება იმისათვის, რომ იმავე "გაზპრომის" მეშვეობით "ქვეყნის ნაციონალური უსაფრთხოების ინტერესის შესაბამისი" ნაბიჯები გადადგას. ეს იმ ნაციონალურ ინტერესებზეა საუბარი, რომელიც კარდინალურად არ ემთხვევა - მეტიც, საქართველოს ნაციონალური ინტერესების რადიკალურად საპირისპიროა.

**"გაზი ხომ მაინც რუსეთიდან მოდის," "რა შუაშია ქვეყნის უსაფრთხოება, საკითხი ბიზნესს ეხება"...** - ამ და სხვა მსგავსი ფრაზებით ცდილობს საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება, საზოგადოება დაარწმუნოს, რომ საქმე წმინდა ბიზნეს-გარიგებასთან გვაქვს და - არა პოლიტიკური სარჩულის მქონე გადაწყვეტილებასთან. რუსეთის ბაზარზე კარგად გამოცდილ კახა ბენდუქიძეს ბევრი მაგალითი მოაქვს იმისა, რომ "გაზპრომს" წმინდად კომერციული ინტერესები აქვს და ავიწყდება თუნდაც ზემოთ მოყვანილი განცხადება, ჩუბაისის "ლიბერალური იმპერიის" იდეა, ავიწყდება იმის აღნიშვნაც, რომ რუსეთის მხრიდან დღემდე საქართველოსთვის გაზის შეუწყვეტლობა არა ჩრდილოელი ბიზნესმენების ბიზნეს-მოსაზრებებით, არამედ მნიშვნელოვნად იმით არის განპირობებული, რომ საქართველოს საკუთრებაში მყოფი (!) მაგისტრალური გაზსადენების საშუალებით ბუნებრივი აირი არა მხოლოდ საქართველოს, არამედ - სომხეთს მიეწოდება, რაც რუსეთისთვის მართლაც სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გახლავთ.

საინტერესო დეტალი მაგისტრალური გაზსადენის გაყიდვის მიზანშეწონილობის დამასაბუთებელი იმ არგუმენტებიდან, რომელთა გაჟღერებაც, ისევ და ისევ, სახელმწიფო მინისტრმა კახა ბენდუქიძემ აიღო თავზე: იგი ადასტურებს, რომ "გაზპრომისთვის" მაგისტრალური გაზსადენების მიყიდვით საქართველო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტს თურქეთში კონკურენტს უქმნის, თუმცა აქვე არ ამბობს იმას, რომ ამით ამ პროექტს კავკასიის ბაზარსაც აკარგვინებს და, საერთოდ, ჩაგდების საფრთხის ქვეშ აყენებს - შეგახსენებთ, საუბარია პროექტზე, რომელმაც საქართველოს დასავლეთის ქვეყნებისთვის სტრატეგიული დატვირთვა მიანიჭა, რომელმაც ჩვენი ქვეყნისადმი აშშ-ს მხარდაჭერა განაპირობა, რომელმაც, ამასთან ერთად, ინვესტიციების შემოტანასაც დაუდო საფუძველი...

ამიტომ საუბრები იმაზე, რომ პოლიტიკა არაფერ შუაშია, სრული ბლეფია - საქართველოს ხელისუფლებას მშვენივრად ესმის იმ დარტყმის სიძლიერე, რომელსაც მაგისტრალური გაზსადენების "გაზპრომისთვის" მიყიდვით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტს და, შესაბამისად, დასავლეთის, ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებს აყენებს და ამ "კოზირით" ვაჭრობას გეგმავს. ამის თაობაზე პირდაპირ განაცხადა კიდეც ტელეეთერით კახა ბენდუქიძემ, რომელმაც მაგისტრალური გაზსადენის ყიდვა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ოპერატორ კომპანიასაც ურჩია.

საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების ტაქტიკა მართლაც ჯდება ყველით მოვაჭრის ფსიქოლოგიაში და იმის ვარაუდიც შეიძლება, რომ მაგისტრალურ გაზსადენებში ეს ხელისუფლება სავარაუდო ინვესტორისთვის საკმაოდ დიდი თანხის "ახევას" შეძლებს. თუმცა ისიც ფაქტია, რომ "ერთი ადგილის" მსგავსი თამაში, შესაძლოა, ძალიან ძვირი დაუჯდეს საქართველოს პოლიტიკური თვალსაზრისით - საუბარია საქართველოსთვის დღეს უმთავრესი პოლიტიკური პარტნიორის, მეტიც, პოლიტიკური ლობისტის - აშშ-ს დაშანტაჟებაზე. იმ ქვეყნის, რომლის პრეზიდენტმა იმ დღეს, როცა საქართველოს პრეზიდენტის ინტერვიუ გაზსადენებთან დაკავშირებით იტალიურ გაზეთში უკვე "ჩაშვებული" იყო, ევროპის ქვეყნების ლიდერებს, ბრიუსელში გამოსვლისას, საქართველოსთვის ევროინტეგრაციის გაიოლება საგანგებოდ სთხოვა.




# "ედუარდ შევარდნაძე მისივე ორიენტაციის სხვა ადამიანმა შეცვალა"

"საქართველოს წინა და ახლანდელ ხელისუფლებას შორის განსხვავება არ არსებობს. ვარდების რევოლუციამდე ამ ქვეყნის პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, ანუ პროდასავლური ორიენტაციის პოლიტიკოსი იყო და იგი ასეთივე ორიენტაციის სხვა ადამიანმა შეცვალა. იგივე შეიძლება ითქვას უკრაინასა და ბელორუსზეც," - განაცხადა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა სლოვაკ ჟურნალისტებთან საუბრისას. მისივე თქმით, რუსეთს, ბუნებრივია, აქვს თავისი ინტერესები ამ ქვეყნებში, მაგრამ მათთან ურთიერთობას თანაბარი, პარტნიორული პრინციპების მიხედვით აგებს.

"მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის ქვეყნის პრეზიდენტი, ჩვენ ვალდებულნი ვართ, მათთან საერთო ენა გამოვნახოთ და ქართველი და რუსი ხალხების ინტერესები გავითვალისწინოთ. მხედველობაში მაქვს ისიც, რომ საქართველოსთან ნამდვილად განსაკუთრებული საუკუნოვანი ურთიერთობები გვაქვს," - აცხადებს პუტინი.

რუსეთის პრეზიდენტი კიდევ ერთხელ აკეთებს კომენტარს საქართველოსა და უკრაინის რევოლუციებზე და აღნიშნავს, რომ კანონის წინაშე ყველა ქვეყანა თანაბარუფლებიანი უნდა იყოს. "ბუნებრივია, ხალხის გადასაწყვეტია, როგორ მოაწყოს თავისი ცხოვრება, რევოლუციით თუ კონსტიტუციის ფარგლებში, მაგრამ პერმანენტული რევოლუციები მაინც მიუღებელია. დემოკრატია პირველ რიგში კანონის დაცვას ნიშნავს. გაუგებარია, რატომ უნდა ჰქონდეს ზოგიერთ ქვეყანას კანონის მიხედვით ცხოვრების პრივილეგია, ზოგი კი პერმანენტული რევოლუციებისთვის იყოს განწირული," - აცხადებს რუსეთის პრეზიდენტი.

*მედიანიუსი*

უცხოეთი

# ჯორჯ ბუშის ევროპული ტურნე გრძელდება

## შერიგება უთანხმოებების ფონზე ევროპელ ლიდერებთან

*ბუშის ორშაბათს დაწყებული ევროპული ტურნე წარმატებით მიმდინარეობს. ბრიუსელის შემდეგ 23 თებერვალს აშშ-ს პრეზიდენტი თავის გერმანელ კოლეგასთან, მაინცში განაგრძობდა მოლაპარაკებებს. შეხვედრის შემდეგ გაკეთებული განცხადებების თანახმად, თეთრი სახლის მეთაურსა და გერმანიის კანცლერს შორის უთანხმოებანი მსოფლიოსთვის მნიშვნელოვან საკითხებზე "წარსულს ჩაბარდა". დღეს ისინი ირანის წინააღმდეგ "საერთო ფრონტით" გამოსვლის აუცილებლობაზე საუბრობენ.*



*ჟაკ შირაკის შემდეგ აშშ-ს ლიდერი გერმანიის კანცლერსაც "დაუზავდა".*

აშშ-ს პრეზიდენტის ევროპული ტურნე, რომელიც "ძველ სამყაროსთან" ნდობის აღდგენას ისახავს მიზნად, ოთხშაბათს ჯორჯ ბუშის გერმანიის ისტორიულ ქალაქ მაინცში ჩასვლით გაგრძელდა.

აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა და გერმანიის კანცლერმა გერხარდ შრიოდერმა მოლაპარაკებების შემდეგ პრესკონფერენცია გამართეს, რომელზეც განხილვის ერთ-ერთ მთავარ საგანს ირანის საკითხი წარმოადგენდა. ორი ქვეყნის ლიდერები ირანის მიერ ატომური იარაღის შექმნის წინააღმდეგ გამოდიან. **"ჩვენ ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა ირანმა უარი თქვას ბირთვული იარაღის შექმნაზე. პირველ რიგში ეს აღნიშნულ ქვეყანას საკუთარი მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის სჭირდება,"** - განაცხადა ჯორჯ ბუშმა. თუმცა, ამავდროულად, აშშ-ს პრეზიდენტმა მიზნის მისაღწევად ყველანაირი საჭირო ზომის მიღებაც არ გამორიცხა. გერმანიაც კატეგორიული წინააღმდეგია ირანის ბირთვული ამბიციების განხორციელების, მაგრამ ამერიკელი კოლეგისგან განსხვავებით ძალისმიერი მეთოდების გამოყენებას გამორიცხავს. **"ჩვენ ირანის მიერ ატომური იარაღის წარმოების მოწინააღმდეგენი ვართ. ეს ქვეყანა ატომური იარაღის არც ერთ ერთეულს არ უნდა ფლობდეს,"** - განაცხადა შროდერმა.

მიუხედავად ბუშის მტკიცებისა, რომ აღნიშნული საკითხი დიპლომატიური გზებით უნდა მოგვარდეს, ბევრი ევროპელი შიშობს, ირანის მხრიდან მომდინარე ბირთვული საფრთხის საპასუხოდ არსებული აშშ-ს მკაცრი პოლიტიკა, შესაძლოა, კიდევ ერთი ომის დაწყების საბაბად იქცეს.

ორი ქვეყნის ლიდერმა მოლაპარაკებების განმავლობაში სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც განიხილა. ბუშმა და შრიოდერმა აღიარეს, რომ "კიოტის ოქმთან" დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება აქვთ, თუმცა, ისინი ეკოლოგიისა და გლობალური დათბობის საკითხებში აუცილებლად განაგრძობენ თანამშრომლობას. ცხრა საათის განმავლობაში მიმდინარე მოლაპარაკებებზე, ქვეყნების პირველი პირები ერაყისა და ახლო აღმოსავლეთის თემასაც შეეხნენ. გერმანია აშშ-ს ერაყში შეჭრას არასდროს ამართლებდა, თუმცა ამ ეტაპზე შროდერი აღნიშნავს - **"ყველაფერი უკვე წარსულს ჩაბარდა და დღეისთვის ჩვენ სტაბილური და დემოკრატიული ერაყის ხილვა გვსურს"**. თავის მხრივ ბუშმა მადლობა გადაუხადა კანცლერს გერმანიის მიერ ერაყის პრობლემის მოგვარების საკითხში შეტანილი "წვლილისთვის". ამ მოლაპარაკებებზე აშშ-ს პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი სირიის მიერ ლიბანიდან ჯარების გაყვანის აუცილებლობას.

ამერიკის პრეზიდენტის გერმანიაში ვიზიტი ამ ქვეყნის მოქალაქეების მასობრივი საპროტესტო აქციების ფონზე მიმდინარეობდა, რომლებიც ბუშის პოლიტიკისა და მისი პერსონის მიმართ სკეპტიკურად არიან განწყობილნი. "არა - ომს და კაპიტალიზმს" - იკითხებოდა დემონსტრანტთა პლაკატებზე. ბერლინში შეკრებილი 400-ზე მეტი დემონსტრანტი, ბუშს მსოფლიოს პირველ ტერორისტს უწოდებს. ქვეყანაში უსაფრთხოების ზომები მაქსიმალურად იყო გაძლიერებული. ცხრა ათასი პოლიციელი, სნაიპერები და დაცვის სამსახურის ვერტმფრენები აშშ-ს პრეზიდენტის უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ.

გუშინ საღამოს ამერიკის პრეზიდენტმა გერმანია დატოვა და მომავალი, სავარაუდოდ, გაცილებით დაძაბული შეხვედრისთვის ბრატისლავაში გაემგზავრა. დღეს დაგეგმილი შეხვედრა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინთან, ჯორჯ ბუშის ხელმეორედ ინაუგურაციის შემდეგ პირველია და, რაც მთავარია, წინა შეხვედრებისაგან განსხვავებით "ნაკლებად მეგობრულ" ატმოსფეროში ჩაივლის.

მართალია, მიმომხილველები ბუში-პუტინის შეხვედრისგან სერიოზულ შედეგებს არ მოელიან (იმ კრიტიკის გათვალისწინებით, რაც სამიტამდე ორივე მხარის მიერ გამოითქვა, სავარაუდოდ, პრეზიდენტების საუბრისას კითხვა-პასუხი უფრო მეტი იქნება, ვიდრე შეთანხმებები), მაგრამ ბრატისლავას სამიტს სხვაგვარ შეფასებასაც აძლევენ - ის შეიძლება გახდეს ორ ქვეყანას შორის ახალი, არცთუ თბილი ურთიერთობების დასაწყისი.

*24 საათი*

# "მემარჯვენეები" მაგისტრალური გაზსადენის გაყიდვის წინააღმდეგ

*"მემარჯვენე ოპოზიცია" საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების პრივატიზების განზრახვას აპროტესტებს.*

მაია ურუშაძე

საქართველოში "გაზპრომის" შესაძლო დემარში "მემარჯვენეებისთვის" სრულიად მიუღებელია. ოპოზიცია საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების რუსული ენერგოგიგანტისთვის გადაცემისადმი ხელისუფლების ლოიალურ დამოკიდებულებას აღშფოთებაში მოჰყავს.

მემარჯვენე ირაკლი იაშვილისთვის გაუგებარია, რას აკეთებს ხელისუფლებაში ბენდუქიძე, რომელსაც **"საქართველოში რუსეთის ეკონომიკური ექსპანსიის გარდა, სხვა საზრუნავი არა აქვს და ამბობს, რომ "გაზპრომს" საქართველოში პოლიტიკური მიზნები არ ამოძრავებს."**

იმის დასტურად, რომ "გაზპრომს" უანგარო ჟესტები არ სჩვევია, იაშვილმა რუსული გიგანტის მიერ ტელეკომპანია "ნტვ"-ს შესყიდვა და ამის შემდგომ არხზე ჩატარებული წმენდა დაასახელა. როგორც ცნობილია, "ნტვ"-ს "გაზპრომის" განკარგულებაში გადასვლის შემდეგ, არხზე რამდენიმე, შედარებით თავისუფალი პოპულარული გადაცემა ერთმანეთის მიყოლებით დაიხურა.

ამასთან, "მემარჯვენე ოპოზიცია" ოფიციალურ თბილისს ირანთან მიმართებაში ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის ბოლო დროინდელ განცხადებებზე ყურადღების გამახვილებასაც ურჩევს. **"აშკარად ჩანს, რომ ამერიკა უახლოეს მომავალში ირანში წესრიგის დამყარებას და მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში მის ინტეგრირებას გეგმავს. ეს ნიშნავს, რომ მალე აუცილებლად გააქტიურდება ირანის გაზის ექსპორტის საკითხი და ქართული გაზსადენის მნიშვნელობა გაცილებით გაიზრდება,"** - აცხადებს იაშვილი.

"მემარჯვენეთა ლიდერი" თქმით, თუ რუსეთში ოდესმე სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მყოფი "გაზპრომის" პრივატიზება მოხდება, გაზის მაგისტრალები მაინც სახელმწიფო საკუთრებაში დარჩება. **"ეს იმიტომ, რომ ჩვენი ხელისუფლებისგან განსხვავებით, რუსეთი არ აბურთავებს თავის კონსტიტუციას, სადაც მათ უწერიათ, რომ მილსადენები არ იყიდება,"** - ამბობს იაშვილი.

ერთი სიტყვით, ოპოზიციისთვის, რომელსაც ხელისუფლების მხრიდან ქვეყნის დასავლური კურსის შესახებ საუბარი ხშირად ესმის, "გაზპრომისთვის" საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების გადაცემის იდეის არსებობაც კი სრულიად გაუგებარია.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ბორჯომის წყლით სარგებლობის პირობების შესახებ ახალი კანონპროექტის მომზადებას პარლამენტის დარგობრივი, გარემოს დაცვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტები ერთ კვირაში დაასრულებენ. ამის შესახებ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ, რომან გოცირიძემ განაცხადა. ახალი საკანონმდებლო ნორმებით უნდა განისაზღვროს ახალი ლიცენზიანტების მიერ წყლის გამოუყენებელი მარაგების განკარგვის წესები. ბორჯომის წყლით სარგებლობის ექსკლუზიური მფლობელი, "მინისა და მინერალური წყლების კომპანია" (GG&MW), რომელმაც წყლით სარგებლობის 10-წლიანი უფლება ტენდერში 1998 წელს მოიპოვა, ლიცენზიის თანახმად, წყლის მთლიანი მარაგიდან (537 კუბური მეტრი წყალი დღე-ღამეში) მხოლოდ 420 კუბურ მეტრს იყენებს. მარაგებიდან საკურორტო ობიექტები მხოლოდ 10 პროცენტს მოიხმარენ. შესაძლებელია, დანარჩენი ადგილობრივმა მწარმოებლებმა გამოიყენონ. სავარაუდოდ, მათი ბრენდი ბორჯომის კომპოზიტი იქნება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სავალუტო ფონდის მისია მისი ხელმძღვანელის, ახლო აღმოსავლეთისა და შუა აზიის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის პაულო ნეუჰაუზის მეთაურობით, 25 თებერვალს 10 საათზე თავის სამუშაო ვიზიტს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) პრეზიდენტთან ირაკლი მანაგაძესთან შეხვედრით დაიწყებს. სავალუტო ფონდის მისიის ამჟამინდელი სტუმრობის მიზანია "სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის" პროგრამის მიმდინარეობის განხილვა, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის, 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პარამეტრების და სტრუქტურული რეფორმების საკითხების მიმოხილვა. "სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის პროგრამა" სამწლიანია და 98 მლნ SDR-ის (150,3 მლნ აშშ დოლარი) გამოყოფას ითვალისწინებს. პირველი ტრანში, 14 მლნ SDR-ის მოცულობით, ეროვნულმა ბანკმა საერთაშორისო სავალუტო რეზერვების შესავსებად 2004 წლის 21 ივნისს მიიღო. 14 მლნ SDR-ის (21,5 მლნ აშშ დოლარი) მოცულობის მეორე ტრანში კი სებ-ის ანგარიშზე 28 დეკემბერს ჩაირიცხა. **პრაიმ-ნიუსი**







# პირველი სამთავრობო სხდომა ნოღაიდელის ხელმძღვანელობით

*გუშინ საქართველოს მთავრობის სხდომას, რომელიც, ძირითადად, განვლილი მუშაობის შეფასებას დაეთმო, ახალი პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი გაუძღვა. მთავარი აქცენტი პრემიერმა იმაზე დასვა, რომ ქვეყნის ხელმძღვანელობა არჩეულ პოლიტიკურ კურსსა და 2004 წელს დაწყებულ რეფორმებს კვლავ გააგრძელებს.*

მაია ურუშაძე

წინასწარი ინფორმაციით, მთავრობის სხდომაზე ოთხშაბათს ერთ-ერთ მთავარ საკითხად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემის შესახებ კანონპროექტი უნდა განხილულიყო. დღის წესრიგში იდგა ნავთობპროდუქტებისა და თამბაქოს სფეროში ლიცენზიების გაცემისა და ქვეყნის პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის შრომის ანაზღაურების საკითხები. იგეგმებოდა სახელმწიფო მინისტრ გიორგი ხაინდრავას მოხსენება ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სარეაბილიტაციო პროგრამის მიმდინარეობის თაობაზე.

თუმცა, მთავრობის გუშინდელი სხდომისთვის ჟურნალისტებს თვალყურის დევნება, ცნობილი მიზეზების გამო, არ შეეძლოთ. სხდომის დასრულების შემდეგ ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლება მედიისთვის საგანგებოდ გაკეთებული, საკმაოდ მწირი კომენტარებით შემოიფარგლა.

პრემიერ-მინისტრის შეფასებით, 2004 წელი საქართველოს მთავრობისთვის წარმატებული იყო, რასაც გასულ წელს განხორციელებული სტრუქტურული რეფორმები და ბევრი ახალი პროგრამის დაწყება ადასტურებს. ასევე, მისი თქმით, მოხდა ფისკალური მდგომარეობის მოწესრიგება და პენსიებისა და ხელფასების გაზრდა. **"ჩვენ იმავე შემადგენლობით ვმუშაობთ და მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკური კურსი უნდა შევინარჩუნოთ. უახლოეს წლებში საქართველოს საშინაო და საგარეო პრობლემების მოგვარებისა და საერთაშორისო სტრუქტურებში ინტეგრაციის შანსი ეძლევა. მთავრობის მთავარი ამოცანა, ამ ეტაპზე, უმუშევრობის პრობლემის მოგვარება, ენერგეტიკული საკითხები და გზების რეაბილიტაცია იქნება,"** - განაცხადა ნოღაიდელმა.

მისი თქმით, პარასკევს საქართველოს მთავრობის გაფართოებული სხდომა გაიმართება, რომელსაც ქვეყნის პირველი პირიც დაესწრება. ნოღაიდელის განმარტებით, სხდომა ენერგეტიკის საკითხებს დაეთმობა და ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური დარგის განვითარების ორწლიან გეგმას წარმოადგენს. მისი თქმით, იგი საქართველოს ელექტრომომარაგების სისტემაში არსებულ პრობლემებს კარგად იცნობს. **"ამ დარგში არსებული მდგომარეობა ერთ-ერთი ყველაზე მძიმე მემკვიდრეობაა, რომელიც წინა მთავრობისგან მივიღეთ. ყველა პრობლემის ერთ დღეში მოგვარება შეუძლებელია, მაგრამ ხალხს უნდა ჰქონდეს იმედი, რომ მთავრობას შეუძლია, ჩამოაყალიბოს მკაფიო პროგრამა და, შემდეგ, ეს პროგრამა შეასრულოს,"** - განაცხადა მან.

# საუკეთესო მცირე და საშუალო საწარმოები საქართველოში

*საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატამ, მას შემდეგ, რაც საქართველოში წარმოებული პროდუქციის გამოფენების ტრადიცია დაამკვიდრა, ახლა მცირე და საშუალო ბიზნესის წახალისება გადაწყვიტა და გუშინ საუკეთესო მცირე და საშუალო კომპანიები გამოავლინა.*



*ჭემალ ინაიშვილი გამარჯვებულ მეწარმეს აჯილდოვებს.*

გამარჯვებული კომპანიები შემდეგ ნომინაციებში დასახელდნენ:

ნომინაციაში - "საუკეთესო მცირე საწარმო" - გამარჯვებული დიზაინერ თათა ვარდანაშვილის სტუდია "დემეტრე" გახდა, რომელიც 1997 წელს დაარსდა და თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენებით ფეხსაცმელებს აწარმოებს.

ნომინაციაში - "საუკეთესო საშუალო საწარმო" - გამარჯვებულად სააქციო საზოგადოება "თელიანი ველი" დასახელდა. ს/ს "თელიანი ველი" 1997 წელს დაარსდა და ღვინის წარმოებაზეა სპეციალიზებული. 2004 წელს კომპანიის მიღწევა ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკთან სტრატეგიული ურთიერთობების დამყარება იყო. გამარჯვებულ კომპანიას სიგელი პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა გადასცა.

ამ ნომინაციაში ლაურეატები გახდნენ ფარმაცევტული კომპანია "ჯი-ემ-პი", არაყი "გომის" მწარმოებელი "რექტიფიკატი" და ღვინის მწარმოებელი კომპანია "შუმი".

ნომინაციაში - "საუკეთესო ინოვაცია" - შპს "სამგორი პლიუსმა" გაიმარჯვა. ამ კომპანიისთვის ყველაზე წარმატებული 2004 წელი იყო, როდესაც 1,5 მილიონი ლარის ინვესტიცია განხორციელდა. საწარმომ სპეციალური ლაბორატორია და სხვადასხვა დანადგარები შეიძინა. დღეს კომპანია ლამინირებულ ალუმინის მილებს აწარმოებს და ამ პროდუქციით ჩაანაცვლა არა მხოლოდ ქართულ ბაზარზე არსებული იმპორტული მილები, არამედ პროდუქციის 80 პროცენტი ექსპორტზე გადის. ნომინაციის ლაურეატი გახდა კომპანია "პროგრესი", რომელიც მაღალი ხარისხის ფქვილს აწარმოებს.

ნომინაციაში "საუკეთესო ექსპორტიორი" გამარჯვება ღვინის მწარმოებელმა კომპანიამ - შპს "ვაინმენმა" მოიპოვა, რომელიც გურჯაანის რაიონში 1998 წელს დაარსდა.

საუკეთესო ფერმერად კი დასახელდა შპს "გორის ხილის ექსპორტი", რომელიც საქართველოდან ხილის ცივილიზებული წესით ექსპორტს ახორციელებს. ამ ნომინაციის ლაურეატი გახდა ბახველი ფერმერი დავით თენეიშვილი, რომელიც ბახვში ჩაის, მოცვის ჩაის აწარმოებს, აქვს კივის პლანტაცია და სანერგე მეურნეობა.

სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ ორგანიზებულ კონკურსში გამარჯვებულები შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით იქნენ შერჩეულნი: კომპანიის ბრუნვის მოცულობა, კომპანიის მუშაობის გავლენა დასაქმებაზე, ახალი ტექნოლოგიის დანერგვა, ახალი ბაზრების ათვისება, ინვესტიციების მოცულობა წარმოების გასაფართოებლად, ან ხარისხის ასამაღლებლად, ახალი ტექნოლოგიების გამოყენება მენეჯმენტში, გამოფენებში მონაწილეობა.

*24 საათი*

# საქართველოში "ვიზა" ბარათებით ეროვნულ ვალუტაში ოპერაციების წარმოების სისტემა ამოქმედდა

*2005 წლის 31 იანვრიდან, საქართველოს საგადამხდელო სისტემაში "ვიზა" ბარათებით ეროვნულ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების ანგარიშსწორების სისტემა (VISA NNSS) მოქმედებს.*

ნინო ნარჩემაშვილი

სებ-ის პრეზიდენტის ირაკლი მანაგაძის განცხადებით, NNSS სისტემის დანერგვა ხელს შეუწყობს "ვიზა" პლასტიკური ბარათების ოპერაციების მოცულობის ზრდას როგორც ადგილობრივ ბანკომატებში, ისე სავაჭრო ობიექტებში. ეს კი ქვეყანაში უნაღდო ანგარიშსწორების შემდგომი პოპულარიზაციის და გადახდის პროგრესული ინსტრუმენტების განვითარების მიმართულებით პოზიტიურ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს.

ინფორმატიზაციის საკითხებში სებ-ის პრეზიდენტის მრჩევლის, შოთა ღვინიანიძის თქმით, ამ სისტემის ამოქმედებამდე "ვიზა" ბარათებით განხორციელებული ნებისმიერი ოპერაციის, მათ შორის, ქართული კომერციული ბანკების მიერ ემიტირებული ბარათების ადგილობრივ სავაჭრო ობიექტებში გამოყენებისას, კლირინგული ოპერაციები "ვიზას" წევრი ბანკების საზღვარგარეთულ ბანკებში გახსნილ უცხოური ვალუტის ანგარიშებზე წარმოებდა. მნიშვნელოვანია, რომ VISA NNSS სისტემის დანერგვის შემდეგ, "ვიზას" ძირითადი წევრი ბანკები დამატებითი უცხოური ვალუტის შეძენის აუცილებლობისა და ამ ოპერაციებთან დაკავშირებული ზედმეტი ხარჯებისაგან თავისუფლდებიან. შიდა ოპერაციების კლირინგი მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში ხდება. გარდა ამისა, "ვიზას" მიერ NNSS-ის ოპერაციებისათვის დაწესებული საკომისიო გადასახდელი, საერთაშორისო ოპერაციებთან შედარებით, გაცილებით ნაკლებია.

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, გასული წლის ოქტომბერში სებ-სა და "ვიზა" სერვისის საერთაშორისო ასოციაციას შორის ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის თანახმად, საქართველოს ეროვნული ბანკი "ვიზა" პლასტიკური ბარათებით ეროვნულ ვალუტაში წარმოებული ოპერაციების კლირინგის სისტემის ანგარიშსწორების აგენტად დაინიშნა. კლირინგის სისტემის ოპერაციული პროცედურების მიხედვით, კლირინგის სისტემის ანგარიშსწორების ვალუტაა ქართული ლარი.

"ვიზა" პლასტიკური ბარათებით ეროვნულ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების ანგარიშსწორების სისტემის დანერგვა "ვიზას" სერვისის საერთაშორისო ასოციაციის, საქართველოს ეროვნული ბანკისა და "ვიზას" ძირითადი წევრი კომერციული ბანკების: სს "თიბისი ბანკის", სს კბ "ქართუს" და სს "საქართველოს ბანკის" ერთობლივი პროექტია. NNSS სისტემის საოპერაციო პროცედურების შესაბამისად, ოპერაციების კლირინგის შედეგების ასახვა ეროვნულ ბანკში მოქმედ რეალურ დროში ანგარიშსწორების სისტემაში ხორციელდება.

ცნობისათვის: "ვიზა" ბარათებით ეროვნულ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების ანგარიშსწორების სისტემის დანერგვა "ვიზას" სერვისის საერთაშორისო ასოციაციამ 80-იანი წლების დასასრულიდან დაიწყო. NNSS სისტემის დანიშნულებაა, მოცემული ქვეყნის შიგნით არსებულ ბაზრებს "ვიზა" ბარათებით წარმოებული ოპერაციების დამუშავების, კლირინგისა და ანგარიშსწორების ეროვნულ ვალუტაში განხორციელების საშუალება მისცენ. დღეისათვის, "ვიზას" ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, ახლო აღმოსავლეთის და აფრიკის რეგიონში ოცი NNSS სისტემა მოქმედებს.

## საბიუჯეტო მონიტორინგი

EPRC
Economic Policy and Research Center
ეკონომიკური პოლიტიკისა და კვლევის ცენტრი
01 79, თბილისი, საქართველო, [illegible]
www.eprc.ge

ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"

# ბიუჯეტის არათანაბარი დაგეგმვა ეკონომიკურ რყევებს იწვევს

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების და ხარჯების დაგეგმვის პროცესი 2005 წელს ისევ არ ჯდება ეკონომიკური მიზანშეწონილობის ფარგლებში, რაც ქვეყნის მაკროეკონომიკურ სტაბილურობაზე არასასურველ გავლენას იქონიებს.

ბიუჯეტის შემოსავლების და ხარჯების არათანაბარი გადანაწილება თვეების მიხედვით იწვევს სხვადასხვა მაკროეკონომიკური პარამეტრების რყევებს, რამაც, შესაძლოა, საინვესტიციო გარემოში არასასურველის სიგნალები გამოსცეს. შედეგად, სტაბილურობის აღდგენა უფრო რთული და ძვირი დაჯდება.

ადრეც ვამბობდით, რომ წლის დასაწყისში შემოსავლებისა და ხარჯების პარამეტრების დაბალი მაჩვენებლების დაგეგმვა მიზნის ადვილად მისაღწევად შემდგომში, ანუ წლის ბოლოს იწვევს ეკონომიკის საგრძნობ რყევებს, რადგან ბიუჯეტის ერთი მეოთხედის შევსება ბოლო თვენახევრის განმავლობაში ხდება.

შარშან - 2004 წელს ხაზინის ანგარიშზე დაგროვილმა დაუხარჯავმა თანხებმა, ბოლო თვეში მობილიზებულმა 300 მილიონზე მეტმა ლარმა და ბოლო თვეში გაწეულმა თითქმის 500 მილიონამდე ლარის ხარჯმა, სავარაუდოდ, უნდა მოახდინოს ლარზე ზეწოლა მისი გაუფასურების მიმართულებით, რადგანაც ამ წლის დასაწყისის პირველ ორ თვეში დაგეგმილი 200 მილიონი ლარის მობილიზება ამ ზეწოლას ვერ დააბალანსებს.

ამას ემატება ისიც, რომ კვარტლის ხარჯების გეგმა არის 541 მილიონი ლარი, ხოლო თითქმის მეორე თვის ბოლოსათვის სულ გაწეულია 231 მილიონი ლარის ხარჯი. ეს კი ნიშნავს, რომ მარტის თვეში დასახარჯი იქნება იმაზე მეტი თანხა, რაც წინა ორ თვეში, ერთად აღებული, დაიხარჯა. ხოლო ამოსაღები იქნება თითქმის 300 მილიონი ლარი, რაც წინა ორი თვის ერთობლივ მაჩვენებელზე (213 მილიონი ლარი) საკმაოდ დიდი მაჩვენებელია.

შეიძლება მთავრობამ მოიყვანოს არგუმენტი იმის თაობაზე, რომ მარტი საგადასახადო თვალსაზრისით უფრო აქტიური თვეა, მაგრამ საგადასახადო კოდექსი ისეა გაწერილი, რომ საშუალებას იძლევა, დივიდენდზე გადასახადის გარდა, ყველა სხვა გადასახადი გადახდილი იყოს ყველა თვეში თანაბრად, ეკონომიკური ციკლის შესაბამისად.

ამიტომ, მიგვაჩნია, რომ ფინანსთა სამინისტროს მოქმედება აუცილებლად ხელს უნდა უწყობდეს ქვეყანაში მაკროეკონომიკურ სტაბილურობას და არა - პირიქით. რადგან ბიუჯეტის შედგენის და ხარჯვის მექანიზმი არის ერთ-ერთი მთავარი ბერკეტი სახელმწიფოს ხელში ქვეყნის მაკროეკონომიკური გარემოზე ზეგავლენისა - ისეთივე, როგორიც არის ემისია ან კომერციული ბანკების სარეზერვო მოთხოვნა ეროვნულ ბანკში.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები და გეგმა 2005 წელი (მლნ ლარი)

| | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| შემოსავლების წლიური გეგმა (მლნ ლარი) | 744.00 | 729.70 | 143.25 | 94.20 | 101.55 | 293.25 | 2105.95 |
| შემოსავლების 2 თვის გეგმა | 95.30 | 98.68 | 17.23 | 2.00 | 0.10 | 0.10 | 213.41 |
| შემოსავლები ფაქტი (მლნ ლარი) | 94.72 | 89.62 | 15.68 | 3.75 | 1.98 | 14.10 | 219.85 |
| შემოსავლები ფაქტი (პროცენტული) | 99% | 91% | 91% | 188% | 1980% | 14100% | 103% |
| წლის ბოლომდე შესასრულებელი (მლნ ლარი) | 649.28 | 640.08 | 127.57 | 90.45 | 99.57 | 279.15 | 1,886.10 |

* [illegible]

| ხარჯები | კვარტლის გეგმა | 22 თებერვლამდე ხარჯი | შესრულება გეგმის მიმართ %-ში |
|---|---|---|---|
| სულ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები * | 539.8 | 231.4 | 0.43 |

# სატენდერო კომისიის განცხადება

1. საქართველოს ეროვნული ბანკი, 2005 წლის ბიუჯეტის სახსრებით გათვალისწინებულ სხადახვა საკანცელარიო საქონლის შესყიდვაზე ქვემოთ მოცემული სპეციფიკაციის შესაბამისად აცხადებს ღია ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მოწოდება განხორციელდება 2005 წლის განმავლობაში ეტაპობრივად სებ-ის წერილობითი მოთხოვნების შესაბამისად კერძოდ:

| ლოტი | N | საქონლის დასახელება | სავარაუდო რაოდენობა | მიწოდების ადგილი? |
|---|---|---|---|---|
| 1. | 1.1 | ბეჭდვისათვის ქაღალდი ა-4 ფორმატის გოსტ-D-DE-21,23.1; CPC-321(; HS/KN-4816, 4823.1 | 30000 შეკვრა (ეტაპობრივი მიწოდებით) | საქ. ეროვნული ბანკი ლეონიძის ქ.3/5 |
| | 1.2 | ბეჭდვისათვის ქაღალდი ა-3 ფორმატის გოსტ-D-DE-21,23.1; CPC-321(; HS/KN-4816, 4823.1 | 5000 შეკვრა (ეტაპობრივი მიწოდებით) | |
| | 1.3 | თვითკოპირებადი ქაღალდი ა-4 გოსტ-D-DE-21,23.1; CPC-321(; HS/KN-4816, 4823.1 | ს.ე.ბ.-ის საჭიროებისამებრ (ეტაპობრივი მიწოდებით) | |
| | 1.4 | ფაქსის ქაღალდი 21088-30 | 400 ც. (ეტაპობრივი მიწოდებით) | |
| | 1.5 | პერფორირებული ქაღალდი კგ. 42000-იანი. გოსტ-D-DE-21,23.1 CPC-32199.2; HS/KN-4823.5 | 7000 (ეტაპობრივი მიწოდებით) | |
| | 1.6 | ცარიელი ქაღალდი ა-1; A1 120-120-140გრ. (640X900)კგ, გოსტ-D-DE-21,12.53 CPC-32143.1;S/KN-4810.1,2 | ს.ე.ბ.-ის საჭიროებისამებრ (ეტაპობრივი მიწოდებით) | |
| | 1.7 | მუყაოს ქაღალდი სხვადასხვა | (ეტაპობრივი მიწოდებით) | |
| | 1.8 | ფერადი პრინტ. ქაღალდი A4, 220გრ (50ც) შეკვრა | 20 | |
| | 1.9 | ფერადი პრინტ. ქაღალდი A4,გრ 120(50ც) შეკვრა | 10 | |
| | 1.10 | სპეციალური ქაღალდი LJ 4600 შეკვრა | 10 | |
| 2 | 2.1 | საწერი კალამი | 6000 | |
| | 2.2 | ფანქარი | 3000 | |
| | 2.3 | მარკერი დიდი | 1500 | საქართველოს ეროვნული ბანკი, ლეონიძის 3/5 |
| | 2.4 | მარკერი პატარა | 500 | |
| | 2.5 | ბლოკნოტი ა-3 ზომისა | 1500 | |
| | 2.6 | ბლოკნოტი ა-4 ზომისა | 500 | |
| | 2.7 | შტრიხი | 600 | |
| | 2.8 | საშლელი | 400 | |
| | 2.9 | ჭიკარტი | 100 | |
| | 2.10 | სათლელი | 200 | |
| | 2.11 | წებოვანი ლენტები 70x7500 | 2500 | |
| | 2.12 | სახვრეტი | 400 | |
| | 2.13 | სტეპლერი საშუალო#3 | 500 | |
| | 2.14 | სტეპლერი დიდი#6 | 200 | |
| | 2.15 | სტეპლერის ტყვია 24/6 | 1000 | |
| | 2.16 | [illegible] | 1000 | |
| | 2.17 | სტეპლერის ტყვია #10 | 500 | |
| | 2.18 | [illegible] | 100 | |
| | 2.19 | [illegible] | 500 | |
| | 2.20 | საკანცელარიო [illegible] | 100 | |
| | 2.21 | საკანცელარიო წებო | 500 | |
| | 2.22 | [illegible] 22გრ. | 1000 | |
| | 2.23 | გამჭვირვალე ფაილები ა-4 | 400 | |
| | 2.24 | [illegible] | 1000 | |
| | 2.25 | [illegible] | 1000 | |
| | 2.26 | [illegible] | 5000 | |
| | 2.27 | [illegible] | 200 | |
| | 2.28 | [illegible] | 200 | |
| | 2.29 | [illegible] 100ც. | 100 | |
| | 2.30 | საკანცელარიო [illegible] | 500 | |
| 3. | 3.1 | ლაზერული პრინტერი HP LJ -1100 კარტრიჯი | 25 | |
| | 3.2 | ლაზერული პრინტერი HP LJ-1100 ფოტობარაბანი | 20 | |
| | 3.3 | ლაზერული პრინტერი HP LJ-1100 ტონერი | 60 | |
| | 3.4 | ლაზერული პრინტერი HP LJ-1200 ფოტობარაბანი | 40 | |
| | 3.5 | ლაზერული პრინტერი HP LJ -1200 კარტრიჯი | 60 | |
| | 3.6 | ლაზერული პრინტერი HP LJ -1200 ტონერი | 110 | |
| | 3.7 | ლაზერული პრინტერი HP LJ -1150 კარტრიჯი | 40 | |
| | 3.8 | ლაზერული პრინტერი HP LJ -1012 კარტრიჯი | 50 | |
| | 3.9 | ლაზერული პრინტერი HP LJ -1012 ფოტობარაბანი | 30 | |
| | 3.10 | ლაზერული პრინტერი HP LJ -1300 კარტრიჯი | 4 | |
| | 3.11 | ლაზერული პრინტერი LJ 5L/6L კარტრიჯი | 25 | |
| | 3.12 | ლაზერული პრინტერი LJ 5L/6L ტონერი | 40 | |
| | 3.13 | ლაზერული პრინტერი LJ 5P/6P კარტრიჯი | 8 | |
| | 3.14 | ლაზერული პრინტერი HP LJ5P/6P ფოტობარაბანი | 5 | |
| | 3.15 | ლაზერული პრინტერი LJ 5P/6P ტონერი | 20 | |
| | 3.16 | ლაზ. HP LJ- 2100/2200/2200 DN კარტრიჯი | 8 | |
| | 3.17 | ლაზერული პრინტერი LJ 5N/LJ 4 კარტრიჯი | 1 | |
| | 3.18 | ლაზერული პრინტერი HP LJ 8150 კარტრიჯი | 2 | |
| | 3.19 | ლაზერული პრინტერი HP LJ 8150 ტონერი | 10 | |
| | 3.20 | ლაზერული პრინტერი HP LJ 4000N კარტრიჯი | 2 | |
| | 3.21 | ლაზერული პრინტერი HP LJ 4000N ტონერი | 10 | |
| | 3.22 | ლაზერული პრინტერი HP LJ 8000N კარტრიჯი | 4 | |
| | 3.23 | ლაზერული პრინტერი HP LJ 8000N ტონერი | 10 | |
| | 3.24 | ლაზ. პრინტერი HP LJ 8550 კარტრიჯი ფერადი | 2 | |
| | 3.25 | ლაზ. პრინტერი HP LJ 8550 კარტრიჯი შავ-თეთრი | 2 | |
| | 3.26 | ლაზერული პრინტერი HP LJ 8500N ტონერი | 6 | |
| | 3.27 | HP LJ NP 5100/ 5100 DN /5100 DTN კარტრიჯი | 4 | |
| | 3.28 | HP LJ NP 5100/5100 DN/5100 DTN ტონერი | 12 | |
| | 3.29 | HP LJ 4600 კარტრიჯი ფერადი | 6 | |
| | 3.30 | HP LJ 4600 კარტრიჯი შავ-თეთრი | 5 | |
| | 3.31 | HP LJ 4600 ტონერი (შავი) | 10 | |
| | 3.32 | HP LJ 4600 ფოტობარაბანი | 4 | |
| | 3.33 | HP LJ 4600 Fuser Kit | 1 | |
| | 3.34 | HP LJ 4600 ტონერი | 5 | |
| | 3.35 | პრინტერის LJ NP 4550 კარტრიჯი ფერადი | 3 | საქ. ეროვნული ბანკი ლეონიძის ქ.3/5 |
| | 3.36 | პრინტერის LJ NP 4550 კარტრიჯი შავ-თეთრი | 5 | |
| | 3.37 | პრინტერის LJ NP 4550 ბარაბანი Drum kit კომპ. | 1 | |
| | 3.38 | პრინტერი Epson photo 700 კარტრიჯი ფერადი | 3 | |
| | 3.39 | პრინტერი Epson photo 700 კარტრიჯი შავ-თეთრი | 6 | |
| | 3.40 | HP DJ 350 C კარტრიჯი შავ-თეთრი (6620A) | 1 | |
| | 3.41 | HP DJ 350 C კარტრიჯი ფერადი (51649A) | 1 | |
| | 3.42 | HP DJ 9300 კარტრიჯი შავ-თეთრი (51645A) | 3 | |
| | 3.43 | HP DJ 9300 კარტრიჯი ფერადი (6578D) | 2 | |
| | 3.44 | HP DJ 1120 C კარტრიჯი ფერადი (1823D) | 3 | |
| | 3.45 | HP DJ 1120 C კარტრიჯი შავ-თეთრი (51645A) | 5 | |
| | 3.46 | HP DJ 3550 კარტრიჯი შავ-თეთრი (8727A) | 1 | |
| | 3.47 | HP DJ 3550 კარტრიჯი ფერადი (8728A) | 1 | |
| | 3.48 | HP DJ 690 C კარტრიჯი ფერადი (51649A) | 4 | |
| | 3.49 | HP DJ 690 C კარტრიჯი შავ-თეთრი (51629A) | 4 | |
| | 3.50 | HP DJ 450 კარტრიჯი შავ-თეთრი (56) | 6 | |
| | 3.51 | HP DJ 450 კარტრიჯი ფერადი (57) | 6 | საქ. ეროვნული ბანკი ლეონიძის ქ.3/5 |
| | 3.52 | HP DJ5652 კარტრიჯი შავ-თეთრი (56) | 10 | |
| | 3.53 | HP DJ 5652 კარტრიჯი ფერადი (57) | 14 | |
| | 3.54 | HP DJ 5652 კარტრიჯი ფერადი (58) | 11 | |
| | 3.55 | HP DJ 1220 C კარტრიჯი შავ-თეთრი (45) | 10 | |
| | 3.56 | HP DJ 1220 C კარტრიჯი ფერადი (78) | 6 | |
| | 3.57 | HP DJ 990 C კარტრიჯი ფერადი (78) | 2 | |
| | 3.58 | HP DJ 990 C კარტრიჯი შავ-თეთრი (45) | 12 | |
| | 3.59 | პრინტერი Epson 1170/1180 კარტრიჯი | 100 | |

ტენდერში შესაძლებელია გამარჯვებულის გამოვლენა ლოტების შესაბამისად;

3. ტენდერში მონაწილეობის მისაღებად უნდა წარმოადგინოთ საკვალიფიკაციო მონაცემები, ქართულ ენაზე, არა უგვიანეს 15 კალენდარული დღისა. (ვადაში ითვლება განცხადების გამოცხადების დღეც). სებ-ის კანცელარიაში 17.00-სთ-მდე

| ლოტი | N | საქონლის დასახელება | სავარაუდო რაოდენობა | მიწოდების ადგილი? |
|---|---|---|---|---|
| | 3.60 | პრინტერი Epson DFX 8500 კარტრიჯი | 300 | |
| | 3.61 | საღებავი ლენტი 13 მმX12 მ | 50 | |
| | 3.62 | საღებავი ლენტი 13 მმX50 მ | 60 | |
| | 3.63 | ქსეროქსის Canon 7161 კარტრიჯი | 4 | |
| | 3.64 | ქსეროქსის Canon 7161 ტონერი | 60 | |
| | 3.65 | ფოტობარაბანი Canon 7161 | 20 | |
| | 3.66 | რაკელი Canon 7161 | 20 | |
| | 3.67 | ქსეროქსის Canon 6216/6416 კარტრიჯი | 3 | |
| | 3.68 | ფოტობარაბანი/რაკელი Canon 6216/6416 | 14 | |
| | 3.69 | ქსეროქსის Canon 6216/6416 ტონერი | 50 | |
| | 3.70 | დეველოპერი XC 822 | 4 | |
| | 3.71 | ქსეროქსის XC 822 ტონერი | 10 | |
| | 3.72 | ქსეროქსის XC 822 კარტრიჯი | 1 | |
| | 3.73 | ქსეროქსის XC 822 ფოტობარაბანი | 2 | |
| | 3.74 | ქსეროქსის Canon PC D320 ტონერი | 30 | |
| | 3.75 | ქსეროქსის Canon PC D320 220 კარტრიჯი | 12 | |
| | 3.76 | ქსეროქსის Canon PC 780/860/FC 220 ტონერი | 100 | |
| | 3.77 | ქსეროქსის Canon PC 780/860/FC 220 კარტრიჯი | 90 | |
| | 3.78 | ქსეროქსის Canon IR 6000 ტონერი | 10 | |
| | 3.79 | ქსეროქსის Canon IR 6000 კომპ. კარტრიჯი | 1 | |
| | 3.80 | ქსეროქსის RX 5352 კომპ. კარტრიჯი | 4 | |
| | 3.81 | ქსეროქსის RX 5352 ტონერ. კარტრიჯი | 10 | |
| | 3.82 | ქსეროქსის RX 5317 ტონერი | 10 | |
| | 3.83 | ქსეროქსის RX 5317/5316 კომპ. კარტრიჯი | 4 | |
| | 3.84 | GR-3750 საღებავი მასა | 36 | |
| | 3.85 | GR-3750 მასტერ ფირი | 15 | |
| | 3.86 | ფაქსის Multipas C75 კარტრიჯი ფერადი | 3 | |
| | 3.87 | ფაქსის Multipas C75 კარტრიჯი შავ-თეთრი | 3 | Msaq. erovnuli banki leoniZs q.3/5 |
| | 3.88 | ფაქსის Panasonik Panafax UF-490 ტონერი | 3 | |
| | 3.89 | ფაქსის Panas. Panafax UF-490 ტონერ. კარტრიჯი | 1 | |
| | 3.90 | ფაქსის Panas. Panafax UF-490 კომპ. კარტრიჯი | 1 | |
| | 3.91 | თერმო ფირი Panasonic KX-FM 131 BX | 16 | |
| | 3.92 | CD-ROM ლაზერული დისკები | 3,600 | |
| | 3.93 | CD-RW ლაზერული დისკები | 200 | |
| | 3.94 | DVD+RW დისკი | 150 | |
| | 3.95 | DVD-RW დისკი | 150 | |
| | 3.96 | JAZ დისკი 2 Gb | 2 | |
| | 3.97 | სტრიმერის კასეტა SDLT 50 Gb | 50 | |
| | 3.98 | სტრიმერის კასეტა ULTRIUM-2 200 Gb | 30 | |
| | 3.99 | სტრიმერის გამწმენდი კასეტა SDLT | 6 | |
| | 3.100 | სტრიმერის გამწმენდი კასეტა ULTRIUM-2 | 6 | |
| | 3.101 | მაგნიტური დისკეტები | 3,200 | |
| | 3.102 | კალკულატორის საღებავი | 10 | |
| | 3.103 | [illegible] 500 ml | 3 | |
| | 3.104 | ლოკალური ქსელის გაყვანილობის სახარჯი მასალა | | |
| | 3.105 | ქსელის RG-45 კაბელი | 4650 | |
| | 3.106 | ქსელის RG-45 თავაკები | 650 | |
| | 3.107 | და სხვა [illegible] საჭირო საკანცელარიო ნაწარმი | | |

სათანადო რეგისტრაციის გავლით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. 3/5, სატენდერო კომისიის სამდივნო ტელ/ფაქსი: 98-21-34. ტელ. 44-23-88, 44-29-99. შიდა ტელ. 4-99; 3-88;

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებს და ინფორმაციებს რომ:

ა) მისი ქონება არ არის დაყადაღებული (ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან);

ბ)მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან);

გ) მის მიმართ არ მიმდინარეობს იძულებით სააღსრულებო წარმოება (ცნობა სააღსრულებო ბიუროდან);

დ) ტენდერის დაწყების მომენტისთვის მისი ხელმძღვანელის (ფიზიკური პირის) მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის(ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

ე) ფიზიკური პირისთვის; ცნობა, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (ცნობა ჯანმრთელობის დაცვის სპეციალიზირებული დაწესებულებიდან);

ვ) ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან).

ზ) ბოლო სამი წლის აუდიტირებული ბალანსი აუდიტის დასკვნასთან ერთად;

თ) დადგენილების ასლი სასამართლოში რეგისტრაციის შესახებ;

ი) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მომსახურების შესახებ;

კ) რეკვიზიტები(მისამართი, ტელეფონი,ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ლ) წარდგინების წერილი საკვალიფიკაციო მონაცემთა ნუსხაში შემავალი დოკუმენტაციის ჩამონათვალით და გვერდების მითითებით; (უცხო ქვეყნის წარმომადგენლებმა ზემოაღნიშნული დოკუმენტაციები უნდა წარმოადგინონ ქვეყნის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებიდან, რომლებიც გასცემენ აღნიშნულ ცნობებს).

5. მე-4 პუნქტში განსაზღვრული დოკუმენტაცია უნდა იქნეს წარმოდგენილი ორიგინალების სახით. ორიგინალის წარმოდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში აღნიშნული დოკუმენტები დამოწმებულ უნდა იქნეს სათანადო წესით.

6. იურიდიული ან ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკავალიფიკაციო მონაცემებს თუ იგი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7 სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ ს.ე.ბ.-ის სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტად აღიარებული ის პირები, რომლებიც აღიარებიდან და შეტყობინებიდან 3 დღის განმავლობაში გადაიხდიან სატენდერო მოსაკრებელს 500 ლარის ოდენობით, საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილ N000904742 "შესყიდვებთან დაკავშირებით მიღებული სატენდერო მოსაკრებლის" სპეციალურ ანგარიშზე, ბანკის კოდი 220101107.

8 დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ სატენდერო კომისიის სამდივნოს საქ. ეროვნული ბანკში მის. ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. 3/5,საფოსტო ინდექსი 380005, ოთახიN 126, 128; ტელ./ფაქსი: 98-21-34. ტელ. 44-24-99, 44-22-11 შიდა ტელ. 4-99; 3-88.

*საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისია*

NEWS



## "თიბისი ბანკის" ახალი სათაო ოფისი

"თიბისი ბანკის" ახალი ოფისის გახსნამდე რამდენიმე დღე დარჩა, სულ მალე ბანკი მისამართს შეიცვლის და მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე, ყოფილი "თბილისის ცენტრალური უნივერმაღის" შენობაში განთავსდება, რომლის სარესტავრაციო სამუშაოები დასასრულს უახლოვდება.

ბიზნეს-კომპანიების დაფინანსებით ძველი შენობის რესტავრირების ფაქტები ბოლო ხანს სასიამოვნო ტენდენციად ჩამოყალიბდა. ამჟამად თბილისის რამდენიმე მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლის რესტავრაცია მომდინარეობს. მათგან პირველის ოფიციალური პრეზენტაცია სწორედ თვის ბოლოს მოხდება, როდესაც "თიბისი ბანკი" საზოგადოებას ყოფილი უნივერმაღის აღდგენილ შენობას წარუდგენს.

ეს ნაგებობა დღეისათვის თბილისის არქიტექტურაში მოდერნის სტილის ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს. შენობისთვის ძველი იერსახის დაბრუნების იდეა "თიბისი ბანკს" ეკუთვნის და სარესტავრაციო სამუშაოების განხორციელება და დაფინანსებაც მან ითავა.

"თიბისი ბანკის" ხელმძღვანელობა ნაგებობის შებარჩუნების საკითხს პროფესიონალურად მიუდგა და სარეკონსტრუქციო სამუშაოები არქიტექტორების მიერ მომზადებული პროექტზე დაყრდნობით განახორციელა. შენობის რესტავრაცია-ადაპტაციის და ნაწილობრივ რეკონსტრუქციის პროექტი, ბანკის დაკვეთით, არქიტექტორ გაგა კიკნაძის მიერ, ძეგლთა დაცვის დეპარტამენტთან შეთანხმებით, მომზადდა. პროექტის საინჟინრო ნაწილი "ქალაქპროექტმა" დაამუშავა, ხოლო შენობის გასამაგრებელი სამუშაოები სეისმომედეგობის ინსტიტუტის რეკომენდაციებზე დაყრდნობით განხორციელდა.

"თიბისი ბანკი" დედაქალაქის ისტორიას არ ივიწყებს და ინვესტირებას ახდენს ისტორიულ ტრადიციებში - ასე აფასებენ სპეციალისტები ბანკის ხელმძღვანელობის მორიგ ინიციატივას.

**"წინასაპროექტო სამუშაოებმა დიდი დრო წაიღო, ერთი ნაბიჯიც არ გადაგვიდგამს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის თანხმობის გარეშე, ბანკის ხელმძღვანელობა ყველა დათმობაზე წავიდა, რათა შენობისთვის ძველი იერსახე დაგვებრუნებინა. ამ დონის სარეკონსტრუქციო სამუშაოები დედაქალაქში ჯერ არ ჩატარებულა",** - აღნიშნავს სარესტავრაციო პროექტის ავტორი, არქიტექტორი **გაგა კიკნაძე**.

ყველა თბილისელს განსაკუთრებით ახსოვს შენობის ცენტრალური კიბე, რომელიც მის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს და რეკონსტრუქციამდე საკმაოდ ავარიულ მდგომარეობაში იყო. მოხდა მისი რეკონსტრუქცია-რესტავრაცია, როგორც კონსტრუქციული, ისე დეკორატიული თვალსაზრისით - კიბე აბსოლუტურად პირვანდელი სახით იქნება წარმოდგენილი.

პირველი სართულის იატაკები სხმული მოზაიკით იყო მოპირკეთებული, რომელიც იტალიელი ოსტატის ანჯელო ანდრეოლეტის მიერ იყო შესრულებული. მოზიკამ იმდენად დაზიანებული სახით მოაღწია დღემდე, რომ სპეციალისტების მცდელობის მიუხედავად მისი რესტავრაცია ტექნიკურად ვერ მოხერხდა, თუმცა შესაძლებელი გახდა მოზაიკის კონსერვაცია ლითონის ბადის ქვეშ, ხოლო ზემოდან თეთრი გრანიტის საფარი დაიგო.

შენობის განათება, ავეჯი და შიდა ინტერიერის სხვა დეტალები, არქიტექტორ გაგა კიკნაძის თქმით, იქნება თანამედროვე და უმაღლესი ხარისხის.

**"ახალი ინტერიერისთვის ძველებური ნაკეთობის იერსახე რომ მიგვეცა, ეს იქნებოდა ხელოვნური, არაფრისთქმელი, ღირებულებას მოკლებული, ამასთან, გავითვალისწინეთ, რომ ამ შენობაში თანამედროვე ბანკის სათაო ოფისი უნდა განთავსდეს. ამან განაპირობა ჰოლანდიელი არქიტექტორის, პიტერ ჰოენსის მოწვევა. მისი სპეციალიზაციაც სწორედ საბანკო და საოფისე შენობის ინტერიერის დიზაინია, რომელიც მისაღებია ევროპული ტიპის ბანკისთვის. სინთეზი მიღწევადი აღმოჩნდა, თანამედროვე დიზაინი და ძველი შენობა, თავისი არქიტექტურული ღირებულებით, ჰარმონიულად არის შერწყმული"** - ამბობს გაგა კიკნაძე.

## "თიბისი ბანკი" - კლიენტების არჩევანი

"თიბისი ბანკის" დაარსებიდან 12 წელი გავიდა. მან დაფუძნებიდან რამდენიმე წელში შეძლო საქართველოს საფინანსო ბაზარზე მნიშვნელოვანი პოზიცია დაეკავებინა. სპეციალისტების შეფასებით, საერთაშორისო საბანკო სტანდარტებზე გადასვლა და კლიენტების მოთხოვნილებაზე ორიენტირება ბანკის წარმატებული საქმიანობის უპირველესი ფაქტორი იყო. ბანკის მიერ არჩეული განვითარების პოლიტიკის ეფექტურობას კლიენტურის სწრაფი ზრდაც ადასტურებს. "თიბისი ბანკის" მომსახურებით საზოგადოების ცნობილი სახეებიც სარგებლობენ, რაც ბანკის იმიჯზეც მიუთითებს. "ეს არის ის გამონაკლისი შემთხვევა, როდესაც რეკლამა არ ტყუის, მით უმეტეს არ გაცდენს", - აღნიშნავენ "თიბისი ბანკის" მომსახურებით კმაყოფილი მომხმარებლები.

"თიბისი ბანკში" ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ კლიენტი დარჩეს კმაყოფილი. ზოგადად, ეს ბანკის თვითმიზანიც უნდა იყოს. ამ ბანკთან ყოველთვის ვთანამშრომლობდი. "თიბისი ბანკი" სანდო და კოფორტულია, მისი პოპულარულობაც სწორედ ამ ფაქტორებმა განაპირობა," - ამბობს ვასო აბაშიძის სახელობის მუსკომედიის თეატრის მუსიკალური ხელმძღვანელი, კომპოზიტორი ნიკა მემანიშვილი.

## "თიბისი ბანკის" ახალი სერვისი

ახალი ოფისის უნიკალურ შესაძლებლობებზე მიანიშნებს "თიბისი ბანკის" პირველი ვიცე-პრეზიდენტი პაატა ღაძაძეც. მისი თქმით, ახალი ოფისის გახსნა ასევე უკავშირდება ეგრეთ წოდებული VIP მომსახურების დანერგვას ფიზიკური პირებისთვის.

"საქართველოში ამ ტიპის მომსახურება არ ხორციელდება, ეს იქნება ჩანასახი ეგრეთ წოდებული კერძო საბანკო მომსახურებისა მსხვილი შემოსავლების მქონე ინდივიდუალური პირებისთვის, რომლებიც არა მხოლოდ მეანაბრეები იქნებიან, არამედ ბანკთან ერთად აქტიურად მიიღებენ მონაწილეობას მათი აქტივების მართვაში და, შესაბამისად, შემოსავლების მიღებაში" - აღნიშნავს პაატა ღაძაძე.

"დღეს ეს პროცესები მკაცრ ჩარჩოებში ხორციელდება, რადგან ბანკს გარკვეული სტანდარტები გააჩნია. "VIP მომსახურება - ეს არის მოქნილი სადეპოზიტო განაკვეთების სისტემა, რომელიც უფრო გამჭვირვალე იქნება და კლიენტები საბანკო ოპერაციებში მონაწილეობას მიიღებენ ბანკის რჩევებიდან გამომდინარე. ასეთი ბაზარი ჩვენთან არ არსებობს, ამიტომ სურვილი გვაქვს ეს მომსახურება შევთავაზოთ იმ კატეგორიას, რომელიც ცდილობს საკუთარი დანაზოგი უცხოეთში გაიტანოს, რადგან ისინი ამ სახის მომსახურებას ადგილზე ვერ იღებენ. VIP მომსახურება მოწოდებული იქნება იმისთვის, რომ მაქსიმალურ კომფორტთან ერთად, არსებობდეს კონფიდენციალობის განსაკუთრებული ხარისხი. ეს შეუწყობს ხელს პერსონალური ბანკირის - ოჯახის ბანკირის ინსტიტუტის ჩამოყალიბებას. ისინი საბანკო ოპერაციებში ამ სტატუსით მიიღებენ მონაწილეობას. ეს იქნება არა მხოლოდ კონსულტაციები, არამედ კონსულტაციებზე დაყრდნობილი ერთობლივი მართვა," - მოსალოდნელ სიახლეებზე საუბრობენ "თიბისი ბანკში".

"თიბისი ბანკის" ხელმძღვანელობა კლიენტებისთვის სემინარებისა და ტრეინინგების გამართვასაც გეგმავს. ბანკის მხრიდან ეს არის მცდელობა, კიდევ უფრო მეტად დაუახლოვდეს საკუთარ კლიენტებს.

"მათი პროფესიონალიზმის ამაღლება ჩვენს ინტერესებში შედის, ისინი, რომელბიც წლების განმავლობაში ჩვენი კლიენტები არიან, ბანკის თანადგომას უნდა გრძნობდნენ. სემინარებისა და ტრეინინგების მოწყობის საშუალება ძველ სათაო ოფისში არ გაგვაჩნდა, ახალი ოფისი ამის შესაძლებლობას იძლევა, იქ გარემოა განსხვავებული, დახვეწილი და ფინანსური ინსტიტუტის აურაა შექმნილი. სწავლება, ძირითადად, შეეხება კომპანიების სტრატეგიეს, მარკეტინგული პოლიტიკის შემუშავებას, ფინანსური ანგარიშების სისტემებს, საკადრო პოლიტიკის ფორმირებას, რესურსების მართვას და კომპანიის მართვის ოპტიმალურ სქემებს", - ამბობს ღაძაძე და კლიენტურას მსგავსი ინიციატივების შეთავაზებას მომავალშიც ჰპირდება.

ფოსტა

# ღია წერილი

საქართველოს პრეზიდენტს ბატონ **მ. სააკაშვილს,**
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს
ქალბატონ **ნ. ბურჯანაძეს,**
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს
ბატონ **კ. ლომაიას,**
საქართველოს პარლამენტის მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს
ბატონ. **ნ. გრიგალაშვილს,**
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს
აკადემიკოს **თ. გამყრელიძეს.**

*ამ წერილის დაწერის საბაბი გახდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების საერთო კრების მიერ შემუშავებული პროექტი (იხ. დანართი), რომელიც ე. ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტისა და ე. ხარაძის სახელობის საქართველოს ნაციონალური ასტროფიზიკური ობსერვატორიის შესაძლო გაერთიანებას ეხებოდა. ჩვენ ვიმსჯელეთ ფიზიკის ინსტიტუტისა და ობსერვატორიის შესაძლო გაერთიანების ამ პროექტის შესახებ და ვფიქრობთ, რომ ასეთი გაერთიანება ობსერვატორიისათვის კატეგორიულად მიუღებელია, ვინაიდან:*

1. ნებისმიერი სახელმწიფოსათვის ასტროფიზიკური ობსერვატორია არა მხოლოდ სამეცნიერო ცენტრია, არამედ კულტურულ ერთეულსაც წარმოადგენს. მისი არსებობა ცივილიზაციის ისეთივე ნიშანია, როგორც ოპერის თეატრის, ძველი ხელნაწერების ინსტიტუტისა ან ისტორიული მუზეუმებისა. ჩვენი აზრით, სწორედ ამით იყო განპირობებული საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილება ობსერვატორიისათვის ნაციონალური სტატუსის მინიჭების შესახებ (საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 22 ივნისის ბრძანებულებით N 228).

2. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია 2004 წლის შემოდგომიდან ახორციელებს ინსტიტუტთა ატესტაციას საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 16 ივლისის N353 ბრძანებულების შესაბამისად. ინსტიტუტებიდან სათანადო მასალების მოგროვების შემდეგ გაირკვა, რომ ბრძანებულების N9-11 პუნქტებით გათვალისწინებული კოეფიციენტის მიხედვით, წინასწარი მონაცემებით, საქართველოს ნაციონალურმა ასტროფიზიკურმა ობსერვატორიამ და ფიზიკის ინსტიტუტმა პირველი ორი ადგილი დაიკავეს აკადემიის 63 ინსტიტუტს შორის! თუ აკადემიის სისტემაში მიმდინარე რეორგანიზაციის მიზანი მართლაც ქართული მეცნიერების შემდგომი პროგრესია, მაშინ სრულიად გაუგებარია, რატომ უნდა მოხდეს საქართველოს ორი ყველაზე აქტიურად მომუშავე, დამოუკიდებელი თემატიკის მქონე ინსტიტუტის გაერთიანება.

3. ობსერვატორია მეტად რთული ორგანიზმია და მისი მართვა მოითხოვს დარგის სპეციფიკის ღრმა ცოდნას. გაუგებარია, როგორ უნდა განახორციელოს გაერთიანებულმა დირექციამ ობსერვატორიის ხელმძღვანელობა.

4. აბასთუმნის ობსერვატორია აშენებული იქნა ე. ხარაძის ხელმძღვანელობით გასული საუკუნის 30-იან წლებში. მას შემდეგ ობსერვატორიამ მოიპოვა საერთაშორისო აღიარება. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დღეს იგი მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებისთვის კარგად ცნობადი დაწესებულებაა. გაუგებარია, როდის და როგორ შეძლებს ახლადშექმნილი "ფიზიკისა და ასტროფიზიკის ინსტიტუტი" ისეთი საერთაშორისო ავტორიტეტის მოპოვებას, რომელიც უკვე გააჩნიათ როგორც ფიზიკის ინსტიტუტს, ასევე ჩვენს ობსერვატორიას. ეს სამეცნიერო დაწესებულებები ატარებენ მათი შემქმნელების, ე. ანდრონიკაშვილის და ე. ხარაძის სახელებს. გაერთიანების შემთხვევაში, გაუგებარია, ვისი სახელობისა უნდა იყოს ახალი ინსტიტუტი?! ეს ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალი ქართული მეცნიერების ტრადიციების შენარჩუნებას ეჭვქვეშ აყენებს.

მეცნიერებათა აკადემიის მცდელობა "მეცნიერების რეფორმის" მოტივით, ფაქტობრივად მოახდინოს ე. ხარაძის სახელობის საქართველოს ნაციონალური ასტროფიზიკური ობსერვატორიის ლიკვიდაცია, კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ობსერვატორიის არსებობას მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში მომავალი არ აქვს. აუცილებელია აღინიშნოს ის ისტორიული ფაქტი, რომ აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია შეიქმნა 1932 წელს, ცხრა წლით ადრე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის (1941 წ. თებერვალი) დაარსებამდე! აქვს კი მეცნიერებათა აკადემიას მორალური უფლება მიიღოს გადაწყვეტილება ჩვენი, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დაწესებულების, ლიკვიდაციის შესახებ?!

საბედნიეროდ, ობსერვატორიის აკადემიის შემადგენელ ელემენტად ყოფნა-არყოფნა არაა მისი არსებობა-არარსებობის ტოლფასი! ჩვენ ვთვლით, რომ ობსერვატორიის განსაკუთრებული, ნაციონალური სტატუსი, ლოგიკურად და ნათლად მიგვანიშნებს მისი მომავალი განვითარების პერსპექტივას: **იგი უნდა გახდეს პირდაპირი სახელმწიფო დაქვემდებარების სუბიექტი და დაადგეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობის გაღრმავების გზას.** ამას ხელს უწყობს როგორც მაღალი დონის სამეცნიერო კადრები, რომლებიც წარმატებით თანამშრომლობენ სხვადასხვა უცხოურ სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებთან და მონაწილეობას იღებენ ერთობლივ საერთაშორისო პროექტებში, ასევე უნიკალური მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და უნივერსიტეტთან თანამშრომლობის მდიდარი ტრადიციები. ჩვენი მეცნიერ-თანამშრომლები უნივერსიტეტის ასტრონომიის, თეორიული ფიზიკის და გეოფიზიკის სპეციალობის სტუდენტებთან ათწლეულების მანძილზე კითხულობდნენ ლექციებს; სტუდენტები (როგორც თბილისიდან, ასევე უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალიდან) გადიოდნენ პრაქტიკებს აბასთუმანში და თბილისში; ჩვენი მეცნიერ-თანამშრომლების ხელმძღვანელობით მრავალი საკურსო და სადიპლომო ნაშრომი შეიქმნა. თბილისში ობსერვატორიის საქალაქო განყოფილების დაარსების წლიდან, უნივერსიტეტთან ერთად, შეიქმნა გამზომ ხელსაწყოთა ერთობლივი ლაბორატორია, რომელსაც მთელი ამ წლების მანძილზე მნიშვნელოვანი სასწავლო ფუნქცია აკისრია. უნივერსიტეტთან ეს ორგანული და ინტენსიური კავშირი ყოველთვის იყო და არის ობსერვატორიის ახალგაზრდა, პერსპექტიული სამეცნიერო კადრებით შევსების წყარო.

ამდენად ვთვლით, რომ ე. ხარაძის სახელობის საქართველოს ნაციონალური ასტროფიზიკური ობსერვატორიის მეცნიერებათა აკადემიის დაქვემდებარებიდან გამოსვლა, მისი ნაციონალური სტატუსის ხორცშესხმა და სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავება შესაბამისობაში იქნება საქართველოში მეცნიერების რეფორმის სტრატეგიასთან, რომელიც მეცნიერების და უმაღლესი განათლების სისტემების ურთიერთმომგებიან და თანმიმდევრულ ინტეგრაციას გულისხმობს. ამ იდეის პრაქტიკული განხორციელების გზა შეიძლება იყოს ოთხმხრივი (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, პარლამენტის მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტი, მეცნიერებათა აკადემია და ობსერვატორია) კომისიის შექმნა, რომლის მიზანი იქნება ამ პროცესის პრაქტიკული რეალიზაცია.

**ევგენი ხარაძის სახელობის საქართველოს ნაციონალური ასტროფიზიკური ობსერვატორიის მეცნიერ-თანამშრომლები. წერილს ხელს აწერენ ობსერვატორიის მეცნიერ-თანამშრომელთა და სამეცნიერო საბჭოს წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა: ა.პატარაია, თ.ზაქარაშვილი, მ.გიგოლაშვილი, ქ.ჩარგეიშვილი, ე.ხუციშვილი, ვ.ყულიჯანიშვილი, გ.დიდებულიძე, დ.ჯაფარიძე, გ.ღლონტი... გ.ლოლობერიძე, გ.მაჩაბელი, თ.მძინარიშვილი, ვ.კუხიანიძე, მ.თოდუა, ა.როგავა, მ.ბარათელი, ვ.ნატრიაშვილი, გ.რამიშვილი, შ.მაქანდარაშვილი, ვ.ჯაფიაშვილი, გ.სალუქვაძე, რ.ნაცვლიშვილი, მ.ქუმსიაშვილი, ნ.ყოჩიაშვილი, ი.ყოჩიაშვილი, თ.ჩხიკვაძე, თ.ბორჩხაძე, მ.მარსაგიშვილი, ვ.მაიერი, ა.მაიერი, მ.მეტრეველი, მ.ვარდოსანიძე, დ.შაფაქიძე, ი.სიმონია, ო.ავსაჯანიშვილი, გ.მათეშვილი, ნ.მათეშვილი, ი.მათეშვილი, ნ.ოღრაპიშვილი, გ.ჯავახიშვილი.**

წერილს მხარს უჭერენ და ხელმომწერთ უერთდებიან უცხოეთში დროებით მივლინებული მეცნიერ-თანამშრომლები: თ. კახნიაშვილი (კანზასის უნივერსიტეტი, აშშ), გ. მელიქიძე (ზელონა გორას ასტრონომიული ინსტიტუტი, პოლონეთი), ზ. ოსმანოვი (ტორინოს უნივერსიტეტი, იტალია), ბ. შერგელაშვილი და დ. ხეჩინაშვილი (ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი, ბელგია).

**შენიშვნა: ადრესატებთან წერილის გაგზავნის შემდეგ ხელმომწერთა რიცხვს დაემატენ: ა.კოროლი, პ.პეტაშვილი, რ.ინასარიძე, გ.ინასარიძე, ლ.ამბარცუმიანი, ვ.ამბარცუმიანი, ა.ამბარცუმიანი, მ.ბუტიკაშვილი, ნ.გადაძე, თ.ქინქლაძე, თ.ბარბლიშვილი, გ.გრძელიშვილი, ო.ჩილაშვილი, ნ.მერაბიშვილი, ნ.კაპანაძე, რ.აფრიამაშვილი, ლ.მამასახლისაშვილი, მ.თურმანიძე, ო.გიქოშვილი, მ.ურუშაძე, თ.შველიძე, ნ.შაბაშვილი, თ.ფირალიშვილი და ნ.კოლოშვილი.**

# როგორ შევაკეთოთ საკუთარი ლიფტი და სახურავი

*ბოლო რამდენიმე წელიწადია, წლების განმავლობაში უპატრონოდ მიტოვებული კორპუსებისთვის თბილისის ბიუჯეტიდან მცირედი თანხები გამოიყოფა. ეს თანხები აქამდე გამგეობებს ერიცხებოდა და, ძირითადად, ლიფტებისა და სახურავების შეკეთებას ხმარდებოდა. ამავე დანიშნულებით თანხები წლევანდელ ბიუჯეტშიც ზის. ამჯერად გამგეობის ნაცვლად ამ ფულს თვითონ მოსახლეობა განკარგავს. ოღონდ, საკუთარი ლიფტისა და სახურავის შესაკეთებლად საბიუჯეტო თანხას მხოლოდ აქტიური მოქალაქეები მიიღებენ.*



*მდუმარე ლიფტები.*

ნანა ქადაგიშვილი

თბილისის საკრებულოში შექმნილმა მონიტორინგის ჯგუფმა გასულ წელს კორპუსების ლიფტებისა და სახურავების აღდგენითი სამუშაოები შეამოწმა. როგორც საკრებულო გვპირდება, მონიტორინგის შედეგებს უახლოეს მომავალში გაგვაცნობს. მოსახლეობის ნაწილი კი გამგეობების საქმიანობით დიდად კმაყოფილი არ დარჩენილა. "ჩვენი კორპუსის სახურავი იმდენად ავარიულია, რომ ზედა სართულის ოთახებშიც ისევე წვიმს, როგორც გარეთ. გამგეობაში განცხადება რამდენჯერმე შევიტანეთ, მაგრამ უშედეგოდ. ჩვენზე გვიან შეტანილი განცხადებები კი დააკმაყოფილეს. ვისაც გამგეობაში ნაცნობი ჰყავდა, ფული და ჰუმანიტარული შიფერიც იმან მიიღო," - შემოგვჩივლეს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის ერთ-ერთი კორპუსის მობინადრეებმა. უკმაყოფილო მოქალაქეების მოძებნა სხვა რაიონშიც არ გაჭირდება.

წელს მერიამ მოსახლეობის დახმარების ისეთი გზა აირჩია, კორპუსის მობინადრეები ლიფტისა და სახურავის შეუკეთებლობას მხოლოდ საკუთარ სიზარმაცესლა დააბრალებენ. თუმცა, ქალაქის ხელმძღვანელობა იმასაც აცხადებს, რომ ეს მცირედი დახმარება კიდევ ერთი-ორი წელიწადი გაგრძელდება. შემდეგ კი მობინადრეებმა, როგორც კორპუსის მესაკუთრეებმა, საკუთარ ლიფტს, სახურავსა და ეზოს თვითონვე უნდა მოუარონ. ამ პასუხისმგებლობის აღებამდე კი წლევანდელ ბიუჯეტში ლიფტებისა და სახურავების შესაკეთებლად 2 230 ათასი ლარი ზის. ეს თანხა, ჯერჯერობით, სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის საქალაქო სამსახურს (იგივე "თბილისის კორპუსი") გადაეცა. აპრილიდან კი სამსახური მას მოსახლეობას გადაუნაწილებს. როგორც სამსახურის ხელმძღვანელობა გვარწმუნებს, ამჯერად ნაცნობობა ველარ გიშველით. თანხის მისაღებად საკმაოდ გრძელი პროცედურაა გასავლელი და მიზანს მხოლოდ აქტიური მობინადრეები მიაღწევენ. ეს პროცედურა მოსახლეობისთვის დღეს შეიძლება რთული ჩანს, მაგრამ სამომავლოდ დიდად წაადგებათ. თანაც ამ საშუალებით საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივად გამოყენების შანსიც მაქსიმალურად მცირდება.

**მოკლედ, რა უნდა ვქნათ, რომ ლიფტისა და სახურავის შესაკეთებლად ფული მივიღოთ? ამის შესახებ მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ჯერ კიდევ არაფერი იცის. უპირველესად, უნდა შევკრიბოთ თქვენი კორპუსის მოსახლეობის ნახევარზე მეტი, ჩავატაროთ კრება და შევქმნათ კორპუსის ამხანაგობა; ავირჩიოთ ამხანაგობის თავმჯდომარე და შევიმუშაოთ ამხანაგობის დებულება (დებულების ნიმუშს "თბილისის კორპუსში" მოგაწვდიან, ქალაქპროექტის შენობის მეორე სართულზე); შემდეგ ბანკში გახსნათ ანგარიში და შეარჩიოთ ლიცენზირებული სამშენებლო კომპანია (კომპანიების ჩამონათვალიც "თბილისის კორპუსშია" გამოკრული); ამ კომპანიამ უნდა შეამოწმოს თქვენი ლიფტი და შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება დაადგინოს. შემდეგ კრების ოქმთან, ამხანაგობის დებულებასა და ბანკის ანგარიშის ნომერთან ერთად "თბილისის კორპუსში" განცხადება უნდა მიიტანოთ. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს თქვენ მიერ შერჩეული კომპანიის დასახელება და შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება. "თბილისის კორპუსი" განცხადებების მიღებას მარტიდან დაიწყებს, თანხის გაცემას კი აპრილიდან.**

არის კიდევ ერთი პრობლემა - შესასრულებელი სამუშაოს, მინიმუმ, 25 პროცენტი სამშენებლო კომპანიას მოსახლეობამ უნდა გადაუხადოს. როგორც სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის საქალაქო სამსახურის უფროსი შალვა ცხაკაია აცხადებს, საბიუჯეტო თანხა მცირეა, ამიტომ უპირატესობა იმ კორპუსის მობინადრეებს მიენიჭებათ, დაფინანსებაში ვინც მეტ წვლილს შეიტანს. საკუთარი წილი მოსახლეობამ სამშენებლო კომპანიას ავანსად უნდა მისცეს. საბიუჯეტი თანხას კი იგი სამუშაოს შესრულების შემდეგ ბანკიდან მიიღებს (საბიუჯეტო თანხა ბანკში კორპუსის მობინადრეთა ანგარიშზე ჩაირიცხება). ოღონდ, კომპანიამ ბანკში შესრულებული სამუშაოს ხარჯთაღიცხვა და ბიუჯეტში გადახდილი გადასახადების ანგარიშფაქტურა უნდა წარადგინოს. "აღნიშნული პროცედურები არც მოსახლეობასა და არც სამშენებლო კომპანიას საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივად გამოყენების შანსს არ მისცემს," - აცხადებს ცხაკაია.

ასე რომ, ქალაქის ხელძღვანელობა ორი კურდღლის დაჭერას აპირებს. საბიუჯეტო თანხების ხარჯვასაც გააკონტროლებს და მოსახლეობასაც ამხანაგობების შექმნას აიძულებს (სხვათა შორის, 39-მდე კორპუსში ამხანაგობა უკვე შეუქმნიათ). მომავალში, როცა კორპუსის მობინადრეებს სახელმწიფო საერთოდ აღარ დაეხმარება, მათ საკუთარი თავის მოვლის გზა ეცოდინებათ, ანუ ეყოლებათ ამხანაგობა, რომელიც საკუთარი კორპუსის ლიფტსა და სახურავს თვითონ მიხედავს. ქალაქის ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ ამასობაში გაჩნდება ისეთი სერვისცენტრებიც, რომელთაც საშუალება ექნება, მოსახლეობას ყველანაირი სახის მომსახურება გაუწიოს.

# სანახევრო დახმარება

თამარ დვალი

*მიწისძვრით დაზარალებულები მორიგ აქციაზე ქალაქის მთავრობას იმ ბინების დაკანონებას სთხოვდნენ, რომელიც მათ წინა ხელისუფლების დროს გადასცეს. იანვრის ბოლოს ქალაქის ვიცე-პრემიერი უჩა გელაშვილი აქციის მონაწილეებს დაჰპირდა, რომ საქმის ვითარებაში გაერკვეოდა და პასუხს ორ კვირაში გასცემდა. მეორე აქციაზე გელაშვილმა კიდევ ერთი კვირა ითხოვა.*



*მორიგი აქცია მერიასთან.*

**"ყოველ მოსვლაზე შოუებს გვიტარებენ მერიაში და ნორმალურ პასუხს არავინ გვცემს. ამ დაპირებებში დრო გაჰყავთ, რომ მერე სათავისოდ შეცვალონ საბუთები. არსებობს ქალაქის იმდროინდელი მერის, ვანო ზოდელავას დადგენილება, რომელიც ადასტურებს, რომ დროთა განმავლობაში ეს ბინები ჩვენს საკუთრებაში უნდა გადმოსულიყო. არსებობს სააკაშვილის ხელმოწერილი დოკუმენტიც. ეს ბინები ხალხის შემოწირული ფულით გვიყიდეს და არა თავიანთი ჯიბიდან,"** - აცხადებენ მერიის შენობასთან შეკრებილი მოქალაქეები.

ქალაქის მთავრობა მიიჩნევს, რომ ეს ბინები მიწისძვრით დაზარალებულებს დროებით გადაეცათ და მათი დაკანონება არამართებული საქციელია.

**"ამ მოქალაქეებს ეს ბინები კერძო საკუთრებაში რომ გადავცეთ, გამოდის, რომ მიწისძვრით დაზარალებულებს არათანაბარ პირობებში ვაყენებთ. მათ შეუძლიათ მანამდე იცხოვრონ ამ ბინებში, სანამ დაზიანებული შენობების შეკეთება არ მოხერხდება,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას თბილისის პრემიერმა თემურ ქურხულმა. მერიაში იმასაც ამბობენ, რომ თუკი აქციის მონაწილეები ძველ სახლებს დათმობენ, მაშინ შეიძლება ადრინდელი მთავრობის მიერ გადაცემული ბინები დაუკანონდეთ. იშვიათი გამონაკლისის გარდა, მიწისძვრით დაზარალებულები ამ მოსაზრებას არ ეთანხმებიან.

**"რატომ უნდა დავთმო ჩემი ბინა, ეს რაღა დახმარება გამოდის? ბინები ქალაქგარეთ მოგვცეს და ისიც საშინელ მდგომარეობაში. ათასობით ლარი დავხარჯე მის შეკეთებაზე. თავიდანვე რომ ეთქვათ, ეს დროებითი საცხოვრებელიაო, მაშინ სხვანაირად მოვიქცეოდი,"** - ამბობს აქციის ერთ-ერთი მონაწილე მერი მამიაშვილი. მისივე თქმით, ფონდში რვა მილიონი ლარი იყო შემოსული, საიდანაც ხუთი მილიონი ლარიც კი არ დახარჯულა.

არსებობს დაზარალებულთა კიდევ ერთი კატეგორია, რომელსაც 2003 წელს გარკვეული ოდენობის თანხა დაურიგეს. დღეს მათი საკითხიც გაურკვეველია. მთავრობას ვერ გადაუწყვეტია, ვის მიაკუთვნოს ბინა, რომელიც სანახევროდ მთავრობის და სანახევროდ მოქალაქის შეძენილია.

როგორც მიწისძვრით დაზარალებულები ვარაუდობენ, ქალაქის მთავრობა ან ამ ბინების შესყიდვას შესთავაზებს, ან ძველ ბინებს ჩამოართმევს, რაც, მათი აზრით, დიდი უსამართლობაა.

შეგახსენებთ, რომ უკვე სამი წელიწადია, რაც მიწისძვრით დაზარალებულთა პრობლემა ქალაქის მთავრობისთვის ერთ-ერთი უმთავრეს და ძნელად მოსაგვარებელ პრობლემას წარმოადგენს. დღეისათვის თბილისში ოთხი ათასამდე ავარიული სახლია, რომელიც სასწრაფო შეკეთებას საჭიროებს.


MEDECINS DU MONDE
ECHO Humanitarian Aid Office
EUROPEAN COMMISSION

არასამთავრობო ორგანიზაცია MDM (France)-(Mйdecins du Monde), Gйorgie, Zugdidi (მსოფლიო ექიმები) აცხადებს ტენდერს სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების განსახორციელებლად

ქ. ზუგდიდში მდებარე სამ ობიექტზე: რესპუბლიკური საავადმყოფოს სამშობიარო განყოფილება (1 ობიექტი) და ამავე საავადმყოფოს დაქვემდებარებული კანისა და ვენერული დაავადებების დისპანსერი (2 ობიექტი).

სატენდერო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ვიწვევთ საქართველოში რეგისტრირებულ სამშენებლო ორგანიზაციებს რომლებსაც გააჩნიათ სახელმწიფო ლიცენზია საპროექტო-სამშენებლო სამუშაოების განხორციელებაზე. დაინტერესებულ ორგანიზაციებს შეუძლიათ წარადგინონ განცხადება და ასევე ძირითადი ინფორმაცია მათი მოღვაწეობის შესახებ ქვემოთ მითითებულ მისამართზე. განცხადების საფუძველზე ზემოთ აღნიშნულ ფირმებს/ორგანიზაციებს გადაეცემა საკონკურსო დოკუმენტაცია. საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება ობიექტების მიხედვით შეადგენს 20(ოცი), 40(ორმოცი), 40(ორმოცი) ლარს. განცხადებები მიიღება და საკონკურსო მასალები გაიცემა ამა წლის 24 თებერვალიდან - 10 მარტამდე და წინადადებები მიიღება 26 თებერვლიდან 14 მარტის ჩათვლით.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 70 დღის განმავლობაში.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება.

ზემოხსენებული კონკურსანტები ინფორმირებულნი იქნებიან ინდივიდუალურად ტენდერის გახსნის თარილის შესახებ.

მისამართი:
ქ. ზუგდიდი; ჩიჩუას ქ. N27; ტელ: 995/ 215 5 19 04(5)
საკონტაქტო პირი: ზვიად ლადუა
ქ. თბილისი; ფალიაშვილის ქ. N24; ტელ: 995/ 32 22 52 29


მოკლედ

## დირექტორებო, ეროვნული სასწავლო გეგმები პედაგოგებს გააცანით

2005 წლის 22 თებერვალს დასრულდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ახალი ეროვნული სასწავლო გეგმების (1-6 კლასები) დარიგების პროცესი. საქართველოს უკლებლივ ყველა რეგიონის პედაგოგიურ საზოგადოებას საშუალება ეძლევა, გაეცნოს ეროვნული სასწავლო გეგმების შინაარსს. მიმდინარე წლის 15 მარტამდე სკოლებმა უნდა წარმოადგინონ შენიშვნები და წინადადებები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში პედსაბჭოს სხდომის დამოწმებული ოქმების ფორმით. ამის შემდეგ მოხდება მისი კორექტირება და მიღებული შედეგების გათვალისწინებით დაიწყება საგნობრივი პროგრამების დანერგვა. სამინისტროს განცხადებით, მკაცრად დადგება კონკრეტული დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხი, თუ დადასტურდება, რომ ისინი დროულად არ აწვდიან პედაგოგებს ეროვნულ სასწავლო გეგმებს.

*24 საათი*

## თავდაცვის სამინისტროსგან ლიკვიდირებული განათლების სამინისტრომ ჩაიბარა

2005 წლის 16 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდმა პრეზიდენტის განკარგულებით კადეტთა კორპუსში სასწავლო პროცესის აღდგენის მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხა გამოუყო. სამინისტრომ აღნიშნული თანხა მიმართა მიზნობრივად, რაც კადეტთა კორპუსის მოსწავლეებს სასწავლო წლის დასრულების საშუალებას მისცემს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ატარებს კადეტთა კორპუსის მოსწავლეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისაკენ მიმართულ შემდგომ ღონისძიებებს და უზრუნველყოფს 2005-2006 სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა კონტინგენტის საქართველოს სხვადასხვა სკოლებში გადანაწილებას.

*24 საათი*


# ვაკანსია

ამერიკული კომპანია Procter&Gamble-ის
ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში
შპს "არტი" იწვევს 24 წლამდე ასაკის ვაჟებს სავაჭრო
წარმომადგენლის თანამდებობაზე.
**აუცილებელი მოთხოვნები**
ა) ასაკი - 24 წლამდე.
ბ) განათლება - უმაღლესი.
გ) უპირატესობა მიენიჭებათ ავტომანქანის მართვის
უფლების მქონე კანდიდატებს.
კონკურსანტთა შერჩევა მოხდება ტესტირებისა და
გასაუბრების საფუძველზე.
დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, ავტობიოგრაფია
(CV) გამოაგზავნოთ ფაქსზე: 94 18 94.
ელ-ფოსტაზე: hr@arti.ge

# სასამართლომ სამართალდამცველთა შეგნებული შეცდომა აღიარა

პირველი გვერდიდან

იმის შესახებ, რომ მესხეთის ფილიალის რექტორის დაპატიმრება ვილაცის ინტერესში შედიოდა და ის პირადი ანგარიშსწორების მსხვერპლი იყო, ბერიძის ახლობლებიც საუბრობდნენ და არასამთავრობო ორგანიზაცია "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წარმომადგენლებიც, თუმცა, ადვოკატებიც და ახლობლებიც მხოლოდ მინიშნებებს აკეთებდნენ იმის თაობაზე, თუ ვისი შეკვეთა შეასრულეს სამართალდამცველებმა.

**"მერაბ ბერიძესთან შეუთანხმებლად ვერაფერს ვიტყვით,"** - აცხადებდა ჩვენთან საუბარში "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წარმომადგენელი, მერაბ ბერიძის ინტერესების დამცველი ადვოკატი გირშელ ძებნიაური. ამასვე იმეორებდა ამავე ორგანიზაციის გამგეობის წევრი თინათინ ხიდაშელიც.

**"მერაბ ბერიძე ვანო მერაბიშვილისა და მისი მოადგილის ამირან მესხელის ანგარიშსწორების მსხვერპლი გახლავთ. რევოლუციისა და ასლან აბაშიძის საქართველოდან გაძევების შემდეგ ვილაცებს პირადი პატიმრები ჰყავთ. ბატონ მერაბს აქვს შიში, რომ თუ ის მერაბიშვილისა და მესხელისგან მომდინარე მუქარას გაამჟღავნებს, გამორიცხული არ არის, მას ახალი დანაშაულებრივი ყალბი მტკიცებულებები "შეუკერონ". სწორედ ამიტომ არ აძლევს მერაბ ბერიძე მის ახლობლებსა და ინტერესების დამცველებს ყველაფრის თქმის უფლებას. როგორც ჩანს, ჩვენთან ყველაფრის საშიშროება არსებობს. პოლიტიკოსების გამონათქვამები სერიოზულ ცენზურას გადის, რათა ხალხამდე სიმართლემ არ მიაღწიოს. ისეთი ქვეყანა, სადაც ასეთი შიში არსებობს, არ შეიძლება, სამართლებრივი სახელმწიფო იყოს,"** - ასეთი განცხადება გააკეთა საოლქო სასამართლოში ჩვენთან საუბრისას ოპოზიციონერმა დეპუტატმა კობა დავითაშვილმა, რომლის პარტიამაც საოლქო სასამართლოს, მერაბ ბერიძის გათავისუფლების მოთხოვნით, პარლამენტში შეგროვებული 42-კაციანი ხელმოწერა წარუდგინა.



*საოლქო სასამართლომ გადაწყვეტილება პარლამენტართა გარემოცვაში გამოიტანა.*

საოლქო სასამართლოში გამართული გუშინდელი დახურული პროცესის შედეგს, კობა დავითაშვილისა და ზვიად ძიძიგურის გარდა, სხვა დეპუტატებიც, მათ შორის, უმრავლესობის წევრებიც უცდიდნენ. მართლმსაჯულების მიერ მიღებული გადაწყვეტილება ყველასთვის ერთნაირად სასურველი და მისაღები აღმოჩნდა. პროცესს არ დასწრებია თავად ბრალდებული. გათავისუფლების შესახებ მერაბ ბერიძემ მეშვიდე იზოლატორში შეიტყო, საიდანაც ის მოსამართლე კაპანაძის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან რამდენიმე საათში გამოუშვეს.

# საზარელი მკვლელობის სასამართლო გამოძიება იწყება

*რამდენიმე დღეში, უზენაესი სასამართლო ერთი წლის წინ მომხდარი საზარელი მკვლელობის საქმის არსებით განხილვას დაიწყებს. განზრახ მკვლელობის მუხლით პატიმრობაში მყოფ თეიმურაზ კალატოზიშვილს ამჯერად სასამართლო დარბაზში, მართლმსაჯულების წინაშე მოუწევს იმ დღის გახსენება, როცა მან საკუთარი პედაგოგი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი, ნელი იმედაშვილი სადისტურად გამოასალმა სიცოცხლეს.*

შეგახსენებთ, რომ თბილისში, კუტუზოვის №17-ში მომხდარი საზარელი მკვლელობის საქმე, მკვლელობიდან ერთი კვირის თავზე გაიხსნა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორის, რუსული ენის სპეციალისტის, ნელი იმედაშვილის მკვლელობაში ეჭვმიტანილი სამართალდამცველებმა მკვლელობიდან ერთი კვირის თავზე დააკავეს. ნელი იმედაშვილის დასახიჩრებული გვამი საკუთარ საცხოვრებელ სახლში ნათესავმა ნახა. როგორც გაირკვა, მკვლელობა ცხედრის პოვნიდან ორი დღით ადრე მოხდა. მკვლელმა ნელი იმედაშვილის საცხოვრებელი სახლის კარი მკვლელობის შემდეგ მშვიდად დაკეტა და გასაღებიანად გაუჩინარდა. "ასეთი სისასტიკით ჩადენილ მკვლელობასთან კარგა ხანია, საქმე არ გვქონია," - ასეთ შეფასებას აძლევდნენ მაშინ სამართალდამცველები მომხდარს.

დაკავებული თეიმურაზ კალატოზიშვილის ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ სამართალდამცველები თავდაპირველად ვერაფერს ამბობდნენ. "სახეზეა შეზღუდული შერაცხადობა," - ჩვენი ინფორმაციით ასეთი გახლავთ კალატოზიშვილისთვის გამოძიების პერიოდში ჩატარებული სამედიცინო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის პასუხი, რომელიც ნელი იმედაშვილის მკვლელობის საქმეში დევს.

გამოძიების მასალებით, თემურ კალატოზიშვილი ნელი იმედაშვილის აბიტურიენტი იყო. კალატოზიშვილი მასთან სახლში გაკვეთილებზე კვირაში ორჯერ დადიოდა.

**"ერთ-ერთი ასეთი ვიზიტისას, 22 აპრილს, დაახლოებით დღის პირველ საათზე, მეცადინეობის დროს, ჩემსა და იმედაშვილს შორის საგნის სწავლებასთან დაკავშირებით შეკამათება მოხდა. იმედაშვილმა შეურაცხყოფა მომაყენა, რაც ვერ ავიტანე, იქვე მდგარი მაგიდიდან საოჯახო დანა ავიღე და ჭრილობა მივაყენე გულმკერდის არეში,"** - ასეთი გახლავთ განსასჯელის მიერ გამოძიებისთვის მიცემული ჩვენების მოკლე შინაარსი.

ნელი იმედაშვილს ცხედარი, სამართალდამცველთა ინფორმაციით, როგორც უკვე გითხარით, დასახიჩრებული იყო. საოჯახო დანით მას მარცხენა ხელის მტევნის საჩვენებელი თითიც ჰქონდა მოჭრილი.

გამოძიებამ მაშინვე დაადგინა, რომ სასტიკად მოკლული ლექტორის სახლიდან არაფერი იყო წაღებული და მკვლელობა ყაჩაღობას არ უკავშირდებოდა. ნელი იმედაშვილი სახლში მარტო ცხოვრობდა და, გამოძიების ინფორმაციით, მას არ გააჩნდა იმდენი ქონება, რომ ვინმეს დაყაჩაღების მოტივით მოეკლა.

*24 საათი*

# ადვოკატი მართლმსაჯულებას კონსტიტუციური უფლების დარღვევაში ადანაშაულებს

სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ყოფილი თავმჯდომარის, ბრალდებულ ზურაბ ჭანკოტაძის საქმის გამოძიება კარგა ხანია, დასრულდა და, შესაბამისად, თანამდებობის ბოროტად გამოყენების მუხლით აღძრული, სისხლის სამართლის საქმე პროკურატურამ სასამართლოს ასევე კარგა ხნის წინ გადაუგზავნა. თუმცა, ზურაბ ჭანკოტაძის საქმის არსებითი განხილვა ჯერ არ დაწყებულა. ჯერჯერობით, არც გამწესრიგებელი სხდომა ჩატარებულა.

**"გამოძიება 2004 წლის 31 აგვისტოს დასრულდა. 20 სექტემბერს საქმე ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს გადაეცა, თუმცა ეს საქმე სასამართლოს წარმოებაში დღემდე არ მიუღია. ამით ბრალდებულის კონსტიტუციური უფლება დაირღვა, ვინაიდან კონსტიტუციის თანახმად, წინასწარი პატიმრობის ვადა ცხრა თვის გასვლის შემდეგ იწურება, ჭანკოტაძე კი უკვე ორი თვეა, უკანონო პატიმრობაში იმყოფება,"** - აცხადებს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ყოფილი თავმჯდომარის ინტერესების დამცველი და პატიმრობიდან ჭანკოტაძის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას ითხოვს.

"იმ შემთხვევაში, თუ ქართული სასამართლო ჩემს მოთხოვნას არ დააკმაყოფილებს და ბრალდებულს წინასწარ პატიმრობას არ შეუწყვეტს, სტრასბურგის სასამართლოს მივმართავ," - იმუქრება ჭანკოტაძის ადვოკატი. მისივე მტკიცებით, ზურაბ ჭანკოტაძის საქმე სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმაც შეისწავლა და ის ადამიანის უფლების დარღვევის მაგალითად მიიჩნია. ადვოკატისვე განმარტებით, ომბუდსმენმა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს ჭანკოტაძის დაუყოვნებლივ გათავისუფლების რეკომენდაციის წერილიც გაუგზავნა, თუმცა, ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს არც ომბუდსმენის რეკომენდაციაზე მოუხდენია რეაგირება.

*24 საათი*

# დაზარალებულმა თაღლითი დაასახელა

ფინანსური პოლიციის თბილისის სამმართველოში თაღლითობის მუხლით სისხლის სამართლის საქმე მოქალაქე დემურ ადანაიას მიმართ აღიძრა. სისხლის სამართლის აღძვრის საფუძველი მოქალაქე ელიზავეტა ქავთარაძის საჩივარი გახდა.

მოკვლევით დადგინდა, რომ ქავთარაძემ დემურ ადანაია 2004 წლის ივნისის თვეში გაიცნო, რომელიც, მისივე თქმით, მუშაობდა კრასნოდარში და საქართველოში მივლინებით იყო ჩამოსული. ადანაიამ ელიზავეტა ქავთარაძეს ერთობლივი საქმიანობის დაწყება შესთავაზა, რაც საქართველოდან რუსეთში "ბორჯომის" გატანაში გამოიხატებოდა. საქმით დაინტერესებულმა ქავთარაძემ, ფულის საშოვნელად, თავისი საცხოვრებელი ბინა ჩადო ბანკში და მიღებული 10 700 დოლარი ადანაიას გადასცა.

როგორც ელიზავეტა ქავთარაძე ფინანსურ პოლიციაში მიცემულ ახსნა-განმარტებაში აღნიშნავს, დემურ ადანაია ფულის მიცემის შემდეგ, თავის მეგობარ ედუარდ ჭიჭინაძესთან ერთად, გაემგზავრა ბორჯომში, საიდანაც იგი პერიოდულად უკავშირდებოდა და ეუბნებოდა, რომ რუსეთში წასაღებ ბორჯომის წყალს ამზადებდა.

ქავთარაძის განმარტებითვე, ადანაია გარკვეული პერიოდის მერე მას უკვე აღარ უკავშირდებოდა და, მიუხედავად მოლაპარაკებისა, თანხას აღარ უბრუნებდა.

მოკვლევის დროს ახსნა-განმარტებები ჩამოერთვათ ედუარდ ჭიჭინაძეს და ადანაის მეუღლეს ლიანა ადანაიას, რომელთაც განაცხადეს, რომ დემურ ადანაია და მისი შვილი რუსეთში იმყოფებოდნენ. რაც შეეხება ქავთარაძის თანხას, მათ აღნიშნეს, რომ დემურ ადანაია, უბრალოდ, დაეხმარა ელიზავეტა ქავთარაძეს ბინის დაგირავებასთან დაკავშირებული ფორმალური საკითხების მოგვარებაში და მისგან ფული არ აუღია.

ფინანსურ პოლიციაში სისხლის სამართლის საქმე მოქალაქე ელიზავეტა ქავთარაძის კუთვნილი თანხის არაკანონიერად დაუფლების ფაქტზეა აღძრული.

*მედიანიუსი*

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

**ანკეტა**

**სახელი, გვარი**.............................................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**.............................................

**საკონტაქტო ტელეფონი**.............................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

[illegible]

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "[illegible]");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "[illegible]" [illegible] გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77. იურიდიული ოფისი "გაპი".

# ასაფეთქებელი მოწყობილობა სამართალდამცველებმა შემთხვევით იპოვეს

დიდი მოცულობის მსხვრევადი ასაფეთქებელი მოწყობილობა სამართალდამცველებმა ამჯერად ყულევის ტერმინალის მიმდებარე ტერიტორიაზე იპოვეს. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური წესრიგისა და კონსტიტუციური წყობილების დაცვის დეპარტამენტის სამეგრელოს რეგიონული სამმართველოს თანამშრომლები აცხადებენ, ყულევის ტერმინალთან ახლოს აღმოჩენილი მსხვრევადი ასაფეთქებელი მოწყობილობა განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ტროტილს შეიცავს.

დეპარტამენტის სამეგრელოს რეგიონული განყოფილების უფროსის ზვიად გვალიას განცხადებით, ნაპოვნი საშიში მოწყობილობა უკვე უსაფრთხო ადგილას არის გადატანილი და იმისთვის, რომ იმავე ტერიტორიაზე მსგავსი ასაფეთქებელი მოწყობილობების არსებობის ალბათობა გამოირიცხოს, შემთხვევის ადგილას დამატებითი სამუშაოები ტარდება.

ვის ეკუთვნის და საიდან შეიძლება მოხვედრილიყო ყულევის ტერმინალის მიმდებარე ტერიტორიაზე ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომელიც დიდი ოდენობით ტროტილს შეიცავს, სამართალდამცველებს ამასთან დაკავშირებით, ჯერჯერობით, პასუხი არ გააჩნიათ.

*24 საათი*

# ცვლილებები საპროცესო კოდექსში - ადამიანის უფლებების დასაცავად

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატან ცვლილებებს უცხოელმა და ქართველმა ექსპერტებმა სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" ორდღიანი შეხვედრა მიუძღვნეს.

ევროკომისიისა და ევროსაბჭოს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში, ექსპერტებთან ერთად, სახელისუფლებო, არასამთავრობო სექტორის და მართლმსაჯულების სისტემის წარმომადგენლები მონაწილეობენ.

როგორც შეხვედრის ერთ-ერთი მონაწილე, უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ნინო გვენეტაძე აცხადებს, საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, მნიშვნელოვნად შემცირდება წინასწარი პატიმრობისა და სასამართლო განხილვის დროს ბრალდებულის დაკავების ვადები. მისი თქმით, წინასწარი პატიმრობის ვადა 9-დან 4 თვემდე შემცირდება, ხოლო სასამართლოში საქმის განხილვის ვადა - 24 თვის ნაცვლად, 12 თვემდე.

როგორც მოსამართლე განმარტავს, ცვლილებების თანახმად, უქმდება საქმის მოკვლევის პროცედურა, რადგან მოკვლევა და გამოძიება იდენტურ პროცედურებად ჩაითვალა: "მოკვლევის პროცედურის გაუქმება გამოძიების გამარტივებას, გაიაფებას და ადამიანის უფლებების დაცვას შეუწყობს ხელს," - განაცხადა გვენეტაძემ.

*ინტერ-პრესი*

# მგზავრებს შორის შეიარაღებული ყაჩაღები აღმოჩნდნენ

ყაჩაღური თავდასხმა მოხდა გუშინ თბილისი-ბათუმის საავტომობილო მაგისტრალის სამტრედიის მონაკვეთზე.

"ფორდის" მარკის სამარშრუტო მიკროავტობუსის მგზავრებს შორის, რომლებიც თბილისიდან ოზურგეთის მიმართულებით გადაადგილდებოდნენ, პისტოლეტითა და დანებით შეიარაღებული სამკაციანი ყაჩაღური ჯგუფი აღმოჩნდა.

სამტრედიის რაიონის სოფელ იანეთთან, ყაჩაღებმა მიკროავტობუსის მძღოლი ელგუჯა ცეცხლაძე იარაღის მუქარით აიძულეს, გზიდან გადასულიყო. ამის შემდეგ, თავდამსხმელებმა მგზავრებსა და მძღოლს დაახლოებით 500 ლარი და მობილური ტელეფონები წაართვეს.

როგორც სამტრედიის პოლიციაში განაცხადეს, მგზავრთა ჩვენებებით დადგინდა, რომ ერთ-ერთი ბოროტმოქმედი სამართალდამცველების მიერ ძებნილი, სამტრედიის სოფელ ჯიხაისში მცხოვრები ვარდენ ძიძიგურია. ყაჩაღების დასაკავებლად ოპერატიული ღონისძიებები ტარდება.

*ინტერ-პრესი*

# ინტერპოლი ბიოტერორის საშიშროებაზე ალაპარაკდა

ტერორისტების მხრიდან ბიოლოგიური იარაღის გამოყენებით თავდასხმისათვის მსოფლიო ცუდად არის მომზადებული, - აცხადებს ინტერპოლის ხელმძღვანელი რონალდ ნოუბლი. მისივე თქმით, "ალ-ქაიდას" მხრიდან ახალი ტერაქტების საფრთხე 11 სექტემბრის შემდეგ არ განელებულა. ნოუბლი უარყოფს ვარაუდს იმის შესახებ, თითქოს პოლიტიკოსები, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, განგებ ტეხენ განგაშს ტერორისტული საფრთხის შესახებ.

**"არა მგონია, რომ ეს ტყუილუბრალო განგაში იყოს,"** - ამბობს ნოუბლი.

**"ბოლო ხანებში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში განხორციელებული თავდასხმების ტალღა მიანიშნებს, რომ "ალ-ქაიდა" ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის გამოყენებას გეგმავს. ამასთან, ორგანიზაციის მხრიდან იმის მტკიცება, რომ მას "4 მილიონი ადამიანის მოკვლის" უფლება აქვს, ძალზე სერიოზულ დაფიქრებას საჭიროებს,"** - მიიჩნევს ინტერპოლის ხელმძღვანელი.

**"თუ ტერორისტები ბიოლოგიურ შეტევას განახორციელებენ, რაც შედეგად მოიტანს გადამდები დაავადებების გავრცელებას, მთელს მსოფლიო თანამეგობრობაში ამისთვის მზად არავინ არის - არც ამერიკა, არც ევროპა და არც აფრიკა,"** - აცხადებს ნოუბლი.

"ბიბისისთვის" მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში ინტერპოლის შეფმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბიოლოგიური იარაღის გამოყენების პოტენციური შედეგები თვითდაჯერებულობის საფუძველს ნამდვილად არ იძლევა.

**"ბიოტერორიზმი დანაშაულის ისეთი სახეობა გახლავთ, რომელთანაც ბრძოლა პოსტფაქტუმ არ გამოდგება. მოყენებული ზიანი განუსაზღვრელი იქნება. როგორ გავიმართლებთ თავს, თუ მილიონობით, თუნდაც ათობით და ასობით ათასობით ადამიანი დაიღუპება იმ მიზეზით, რომ ბიოტერორიზმთან ბრძოლა ჩვენი პრიორიტეტული მიმართულებების ნუსხაში არ შედიოდა?"** - ამბობს ნოუბლი.

სწორედ ამ საკითხების განსახილველად შეიკრიბება 1 მარტს საფრანგეთის ქალაქ ლიონში 400 პოლიციელი და მედიკოსი. ისინი მონაწილეობას მიიღებენ ინტერპოლის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში, რომელზეც ბიოტერორიზმის წინააღმდეგ ეფექტური საშუალებები იქნება განხილული. კონფერენციის მიზანი გახლავთ, განიხილონ - რა ერთობლივი ღონისძიებების გატარება შეუძლიათ სხვადასხვა ქვეყნებს, რათა ამ საზარელ პოტენციურ საფრთხეს წინ აღუდგნენ.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ქართველმა მესაზღვრეებმა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე კონტრაბანდის მცდელობა აღკვეთეს. როგორც საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტში აცხადებენ, "ლაგოდეხის" სასაზღვრო საგუშაგო "რაჭისუბნის" მიმდებარე ტერიტორიაზე მესაზღვრეებმა სამი მოქალაქე დააკავეს. დაკავებულებს აზერბაიჯანიდან საქართველოში ცხენით 400 ლიტრი კონტრაბანდული დიზელის საწვავი შემოჰქონდათ. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მოკვლევა მიმდინარეობს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველო-თურქეთის საზღვრის სანაპირო ზოლზე ქართველი მესაზღვრეების მიერ ზღვის დაბინძურების ფაქტზე დაკავებული თურქული გემი ჯარიმის გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს. როგორც საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტში აცხადებენ, თევზმჭერი სეინერის "აბალ ბალიკ ჩილიკის" ეკიპაჟმა ჯარიმის სახით 65 ათასი ლარი გადაიხადა. აღნიშნული სეინერის დაკავების ღონისძიება ფოთის ოპერაციების სამმართველოს საპატრულო კატარღა "ო-106"-მა, ბათუმის პორტის პატრულირებისას, 15 თებერვალს განახორციელა. საქართველოს დროშის ქვეშ მცურავი თურქული თევზმჭერი გემი "აბალ ბალიკ ჩილიკი" ხოფის პორტიდან ფოთის პორტის მიმართულებით მიემართებოდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსური პოლიციის თბილისის სამმართველოს თანამშრომლებმა აღმოსავლეთ საბაჟოს მებაჟე გიორგი ჟვანია დააკავეს. მას მანქანების არასწორი განბაჟება ბრალდება; როგორც ფინანსური პოლიციის თბილისის სამმართველოს უფროსი ირაკლი პირველი აცხადებს, გიორგი ჟვანია თანამდებობრივ დანაშაულში იმხილება, რაც იმაში გამოიხატება, რომ მსუბუქი ავტომანქანების განბაჟების დროს, იმ მანქანებზე, რომელთაც განბაჟების ვადა გადაცილებული ჰქონდათ, არ იყო გამოყენებული დაწესებული საჯარიმო სანქციები, რითაც სახელმწიფო ბიუჯეტმა იზარალა.

ირაკლი პირველი არ გამორიცხავს, რომ ჟვანიას დაკითხვის პროცესში სხვა პირების ბრალეულობაც გამოიკვეთება. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი წუხელ, გვიან ღამით, ორდღიანი სამუშაო ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა. მერაბიშვილი აშშ-ს გამოძიების ფედერალური ბიუროს და ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის ხელმძღვანელებს შეხვდება. როგორც შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა აეროპორტში ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, აღნიშნული ვიზიტი სამი თვის წინ დაიგეგმა. მისი თქმით, FBI-ის წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს ორ ქვეყანას შორის სამომავლო თანამშრომლობის საკითხები განიხილება. როგორც ცნობილია, FBI-ს ექსპერტთა ჯგუფი საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით ექსპერტიზას ატარებს, რომლის დასკვნაც ქართულ მხარეს უახლოეს ხანში გადმოეგზავნება. **ინტერ-პრესი**

**1**

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

**2**

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქუპონის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებული იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში. (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქუპონები. ქსეროასლები არ განიხილება.) უფასო შეკითხვის ქუპონები გამოქვეყნდება ყოველდღიურად, გაზეთის A7 გვერდზე ხოლო ამომწურავ პასუხს მკითხველი მიიღებს ყოველ ხუთშაბათს გაზეთ "24 საათის" მეშვეობით.

მკითხველი, სურვილის მიხედვით, ავსებს უფასო შეკითხვის ქუპონის ქვემოთ გამოქვეყნებულ ანკეტას. ამავდროულად, სასურველია მკითხველმა მიუთითოს საკონტაქტო ტელეფონი, რათა საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს შეკითხვის დაზუსტება.

**3**

ყუთები განთავსებული არიან ქალაქ თბილისში მეტროს ვესტიბიულებში სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური „თავისუფლების მოედანი" (გალერეა);
2. მეტროს სადგური „მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური „სადგურის მოედანი";
4. მეტროს სადგური „წერეთელი";
5. მეტროს სადგური „[illegible] II";
6. მეტროს სადგური „[illegible]";
7. მეტროს სადგური „[illegible] II", (ყოფილი მეტროს სადგური „[illegible]");
8. მეტროს სადგური „[illegible] მოედანი I";
9. მეტროს სადგური „[illegible]";
10. [illegible] 45 "[illegible]" I სართული;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი „გაპის" ოფისი.

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქუპონი, სასურველობის შემთხვევაში [illegible], შეუძლია გამოაგზავნოს ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77 იურიდიული ოფისი "გაპი".

# უფასო იურიდიული კონსულტაცია

## "24 საათის" მკითხველისთვის

**ავთანდილ სონიშვილი**

გთხოვთ, გვიპასუხოთ კოოპერატივს რომელსაც არ გაუვლია ხელახალი რეგისტრაცია, შეუძლია თუ არა მის დამფუძნებელს დირექტორს სასამართლოს ძალით მოსთხოვოს მოვალეებს ქონება, რომელიც მათ ერგება შესრულების შემდეგაც. აქვს თუ არა უფლება დირექტორს და დამფუძნებელს, საწარმოს ლიკვიდაციის შემდეგ აწარმოოს სასამართლოს ძალით სამოქალაქო დავების საწარმოს მოვალეებთან მიუღებელი ქონების, დაბრუნების და დამფუძნებელთა შორის განაწილების მიზნით.

ბატონო ავთანდილ,

საქართველოს 1994 წლის 28 ოქტომბრის პარლამენტის დადგენილება "მეწარმეთა შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე" ადგენდა, რომ ძველი საწარმოები ექვემდებარებოდნენ ხელახალ რეგისტრაციას 1996 წლის 1 იანვრამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდებოდა მათი გაუქმება. ამის შემდეგ დაიწყებოდა საწარმოს ლიკვიდაცია. "მეწარმეთა შესახებ კანონის" მე-14.2 მუხლის თანახმად ლიკვიდაციას აწარმოებენ საწარმოს ხელმძღვანელები(თქვენს შემთხვევაში დირექტორები). რომელიმე მონაწილის შუამდგომლობით, თუ საამისო მნიშვნელოვანი საფუძვლები არსებობს, ლიკვიდაციის განმხორციელებელი პირები (ლიკვიდატორები) შეიძლება დაინიშნონ იმ სასამართლოს მიერ, რომლის ტერიტორიაზეც საზოგადოებას აქვს ადგილსამყოფელი; ასეთ შემთხვევაში სასამართლოში შეუძლია ლიკვიდატორებად დანიშნოს ის პირებიც, რომლებიც არ არიან დირექტორები.

14.2 მუხლის თანახმად, ლიკვიდატორებს უფლება აქვთ დაამთავრონ მიმდინარე საქმეები, განახორციელონ აქტივები და შეასრულონ საზოგადოების ვალდებულებები. ლიკვიდატორები წარმოადგენენ საზოგადოებას ლიკვიდაციასთან დაკავშირებულ გარიგებებში, შეუძლიათ წარმართონ ამასთან დაკავშირებული პროცესები, დაამთავრონ საარბიტრაჟო საქმეები ან გარიგებით დაასრულონ დავები, ხოლო, თუ საჭიროა, ჩაერთონ ახალ გარიგებებშიც. მათ შეუძლიათ თავისუფლად გაყიდონ აგრეთვე აქტივები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ლიკვიდატორს უფლება აქვს იდავოს იმ მოვალეების მიმართ, რომლებსაც აქვთ რაიმე ვალდებულება შესასრულებელი საწარმოს მიმართ.

**ავთანდილ სონიშვილი**

გთხოვთ, გვიპასუხოთ როგორი უნდა იყოს შეტყობინება კოპერატივის მიმართ თევზის მოსაშენებელი ტბორების გაუქმების ან მისი ფუნციონირების აკრძალვის შესახებ სიტყვიერი თუ წერილობითი.

ბატონო ავთანდილ,

აღნიშნულ საკითხზე ადმინისტრაციული ორგანო გამოსცემს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად გამოიცემა წერილობით. ამავე მუხლის 2-ე ნაწილის შესაბამისად კი გადაუდებელ შემთხვევაში, როცა დაყოვნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან პირის კანონით დაცულ ინტერესებს, ადმინისტრციული აქტი შეიძლება გამოიცეს ზეპირად. ხოლო ამავე მუხლის 3-ე ნაწილის თანახმად დაინტერესებული მხარის მოთხოვნით, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული აქტი ზღუდავს პირის კანონიერ უფლებებს და ინტერესებს, აგრეთვე კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში ზეპირი ადმინისტრაციული აქტი მიღებიდან 3 დღის ვადაში უნდა გამოიცეს წერილობით.

**ზაირა თოდაძე**

გთხოვთ, მომცეთ განმარტება. ჩემი სახლის ღობე სოფელში მდებარეობს ცენტრალურ გზაზე, ეზოს ღობეზე სოფლის მკვიდრმა მიადგა სავაჭრო ჯიხური, რომელიც მუშაობს, ეზოში შესასვლელი მაქვს ქუჩის მხრიდან, რომელიც ამჟამად მსურს გავაკეთო ცენტრალური გზის მხრიდან. მაინტერესებს აქვს თუ არა ჯიხურის მეპატრონეს დადგას აღნიშნული ჯიხურუი ჩემს ღობეზე და მაქვს თუ არა უფლება საერთოდ გადავადგმევინო ჩემი ეზოს ღობის პერიმეტრიდან აღნიშნული ჯიხური.

ქალბატონო ზაირა,

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა ხდება ნივთის ამოღების ან მისი ჩამორთმევის გარეშე, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია ხელის შემშლელს მოსთხოვოს ამ მოქმედების აღკვეთა. თუ ამგვარი ხელშეშლა კვლავ გაგრძელდება, მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მოქმედების აღკვეთა სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით.

ამრიგად, თუ თქვენ ხელი გეშლებათ ჯიხურის დგომით თქვენი ეზოთი სარგებლობაში, შეგიძლიათ მოიქცეთ მითითებული მუხლის შესაბამისად.

**ნოდარ აფრიმაშვილი**

100%-იანი სახელმწიფო წილის მქონე შეზღუდული პასუხისმგებელობის საწარმოში აქვს თუ არა მუშაობის უფლება პენსიონერს, თუ მას უკვე გაფორმებული აქვს მოხუცებლობის პენსია ანუ ანაზღაურების სახით ერთდროულად მიიღოს პენსიაც და ხელფასიც.

ბატონო ნოდარ,

საქართველოს 2003 წლის სავალდებულო სადაზღვევო პენსიების შესახებ კანონის 22-ე მუხლის პირველი ნაწილის გ ქვეპუნქტის თანახმად, საპენსიო ასაკს მიღწეულ პირს (65 წელი) პენსიის გაცემა უწყდება, თუ იგი ეწევა შრომით საქმიანობა რომელიმე საწარმოში (გარდა თვითდასაქმების შემთხვევაში). ამრიგად, თქვენ გაქვთ მუშაობის უფლება მიუხედავად საპენსიო ასაკისა, მაგრამ ამ შემთხვევაში შეგიწყდებათ პენსიის მიღება. იგი განახლდება თუ თქვენ შეწყვეტთ შრომით საქმიანობას საწარმოში.

**ნოდარ აფრიაშვილი**

საბიუჯეტო ორგანიზაცია თავის ერთ-ერთი ქვეგანყოფილების თანამშრომლებს მარალმთიან რეგიონში უხდიდა დანამატს: ხელფასის 30%-ს "მაღალმთიანობის", აგრეთვე ე,წ. "კვების ფულს" - 2 ლარი ერთი კალენდარულ დღეზე (ანუ 60 ლარი თვეში). 100%-იანი სახელმწიფო წილის შპს-დ გარდაქმნის შემდეგ აღნიშნული ორგანიზაციის თანამსრომლებს კანონით ეკუთნვით თუ არა იგივე დანამატები ხელფასზე.

ბატონო ნოდარ,

მოგახსენებთ, რომ 1999 წლის 1-ლი სექტემბრიდან სახაზინო საწარმოები გარდაიქმნენ სახელმწიფოს 100%-ნი მონაწილეობით შპს-ბად და სააქციო საზოგადოებებად. "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 70-ე მუხლის 2-ე ნაწილის თანახმად, რეორგანიზაციის შედეგად შექმნილი შპს ან სს წარმოადგენს სახაზინო საწარმოს უფლებამონაცვლეს, ე. ი. სამართალმემკვიდრეს. აღნიშნულიდან გამომდინარე არ შეცვლილა რა ახლად შექმნილი შპს მესაკუთრე, მის თანამშრომლებზე გავრცელდება აღნიშნული შეღავათები. აგრეთვე მოგახსენებთ, რომ თუ თქვენთვის ცნობილი შეღავათების დამწესებელი ნორმატიული აქტი არ შეცვლილა, მაშინ ორგანიზაციის თანამშრომლებზე გავრცელდება აღნიშნული შეღავათები.

**ქეთი ძლიერიშვილი**

რა თანხას შეადგენდა (უდრიდა) ეგრეთ წოდებული საპრივატიზაციო (ვაუჩერი) ბარათი, ოფიციალური და საბაზრო კურსების მიხედვით მისი გამოშვების დროს და იყო თუ არა სხვაობა გამოშვების დღესა და 1995 წლის 15 აგვისტოს შორის ოფიციალური და საბაზრო კურსების მიხედვით.

ქალბატონო ქეთი,

ჩვენ ვაწარმოებთ მხოლოდ იურიდიულ კონსულტაციას, მაგრამ განგიმარტავთ, რომ აღნიშნული კითხვით უნდა მიმართოთ საქართველოს ეროვნულ ბანკს, თავისუფლების მოედანზე, დაწეროთ განცხადება ან შიდასტრუქტურული ტელეფონით გაესაუბროთ უფლებამოსილ თანამდებობის პირს.

**ქეთი ძლიერიშვილი**

2004 წლის 4 ნოემბერს თქვენი საშუალებით მივიღე კონსულტაცია. დამატებით გთხოვთ განმარტებას, მსურს სადაზღვევო ხელშეკრულების მოშლა, ამასთან თქვენი განმარტებით მოშლა გულისხმობს მხარეთა ვალდებულებას დაუბრუნონ ერთმანეთს ყველაფერი ის, რაც ხელშეკრულების დადების შედეგად მიიღეს. როგორ უნდა მოვითხოვო სადაზღვევო თანხა (ხელშეკრულებით იყო 50.0 ათასი მანეთი, ხოლო მოგვიანებით ექვსი თვის შემდგომ გადარიცხული, გადახდილი მაქვს 54.6 ათასი მანეთი) ხელშეკრულების დადების დღის თარიღით თუ თანხის გადახდით თარიღით.

ქალბატონო ქეთი,

თქვენი კითხვიდან ირკვევა, რომ ხელშეკრულება დადებული გაქვთ ახალი სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე, 1997 წლის ნოემბრამდე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სამოქალაქო კოდექსის ამოქმედების გამო ძალადაკარგული ნორმატიული აქტების საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობების მიმართ გამოიყენება ეს ნორმატიული აქტები, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ურთიერთობის მონაწილეებს სურთ ერთმანეთს შორის ურთიერთობა ამ კოდექსით მოაწესრიგონ, ან, თუ სამოქალაქო კოდექსი უძრავი ნივთების შესახებ ახალ წესებს ითვალისწინებს.

ახალი სამოქალაქო კოდექსის 806-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად: დაზღვევა იწყება ხელშეკრულების დღის 24 საათზე; ხოლო 816-ე მუხლის მიხედვით კი: პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო შესატანის დროულად გადახდამდე მზღვეველი თავისუფალია თავისი მოვალეობისაგან. ამრიგად, თუ თქვენ და თქვენი მხარე თანახმა იქნებით, გაავრცელოთ თქვენს არსებულ სახელშეკრულებო ურთიერთობაზე ახალი სამოქალაქო კოდექსის ნორმები, იმოქმედებს აღნიშნული ნორმები და შეგეძლებათ, მოითხოვოთ თანხა იმ კურსით, რომელიც მოქმედებდა სადაზღვევო შესატანის შეტანისას.

განმარტებისათვის უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ იურიდიულ კონსულტაციას ვიძლევით მხოლოდ მოქმედი კანონების თანახმად.

**ნიკოლოზ ფეიქრიშვილი**

გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია "ინვალიდების" შეღავათებზე და მათი ორგანიზაციების გადასახადების შესახებ.

ბატონო ნიკოლოზ,

შეზღუდულ შესაძლებლობების პირთა უფლებები დაცულია საქართველოს კანონით "შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალირი დაცვის შესახებ". კანონის 1-ლი მუხლის თანახმად, საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობების პირთა სამართლებრივი მდგომარეობა განისაზღვრება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1975 წლის 9 დეკემბრის დეკლარაციით "შეზღუდული შესაძლებლობების პირთა უფლებების შესახებ", მის მიერვე 1993 წლის 20 დეკემბერს მიღებული "შეზღუდული შესაძლებლობების პირთათვის თანამშრომლობათა უზრუნველყოფის სტანდარტული წესებით", საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონითა და სხვა მოქმედი საკანონმდებლო აქტებით.

შეზღუდული შესაძლებლობების პირები, რომლებმაც დაზიანება მიიღეს პროფესიული მოვალეობის შესრულების, ტერიტორიული მთლიანობისათვის გამართული ბრძოლის დროს ან ომის ვეტერანები, მათ შესახებ მოქმედებს სპეციალური კანონები. თუ ამ კატეგორიას განეკუთვნებით, დაგვიკონკრეტეთ და გიპასუხებთ დეტალურად, ხოლო თუ არ განეკუთვნებით მიმართეთ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს განმარტებისთვის.

რაც შეეხება, იურიდიულ პირებს (ორგანიზაციებს), მათ მიმართ არავითარი შეღავათი არ ვრცელდება, მნიშვნელობა არ აქვს ვინ იქნება დამფუძნებელი. თუ დაგვიკონკრეტებთ რა ორგანიზაციაა და რა სამართლებრივი ფორმით (შპს, სს, სპს, რკ) მოგცემთ განმარტებას მათი გადასახადების შესახებ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით. გადასახადისგან თავისუფლდებიან ის ორგანიზაციები, რომლებიც ეწევიან საქველმოქმედო საქმიანობას.

**ია გვიანიძე**

დაკარგული მაქვს პირადობის მოწმობა. ჩაწერილი ვარ მარნეულში. შესაძლებელია თუ არა ჩავეწერო თბილისში (მაქვს ბინა) მარნეულში პირადობის მოწმობის აღდგენის გარეშე, თუ ჩემი საცხოვრებელი ადგილის რაიონის საპასპორტო განყოფილებაში წარვადგენ ცნობას საცხოვრებელი ადგილიდან, დაბადების მოწმობას, საზღვარგარეთის პასპორტს.

ქალბატონო ია,

საქართველოს კანონით "საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და პირადობის დადასტურების წესის შესახებ" მე-5 მუხლის თანახმად, რეგისტრაციისათვის საჭიროა განცხადება, პირადობის მოწმობა და საცხოვრისის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი. ამავე კანონის მე-20.3 მუხლის თანახმად, რომელშიც მითითებულია პასპორტის რეკვიზიტები, არაა მითითებული მისამართი საცხოვრებელი ადგილის შესახებ, ამრიგად, ამ კონკრეტულ შემთხვევაში პირადობის მოწმობას ვერ შეცვლის. აგრეთვე, უნდა მოგახსენოთ, რომ 16 წლის ასაკს მიღწეულ პირს აძლევენ პირადობის მოწმობას, ამიტომ დაბადების მოწმობა, როგორც თქვენი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტიც არ გამოდგება ამ შემთხვევაში. რადგან თქვენ დაკარგული გაქვთ პირადობის მოწმობა, უნდა აიღოთ იგი რეგისტრაციის ადგილას შესაბამის იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის ტერიტორიულ ორგანოში.

**დავით ქართველიშვილი**

სააქციო საზოგადოების დაფუძნებისას დაუდგინდა საწესდებო კაპიტალი, რომელიც დაყოფილი იქნა შესაბამისი რაოდენობის ერთ ლარიან აქციებად. მთლიან აქციათა 10% გადაეცათ საწარმოს აქციონერებს, ხოლო აქციათა 90% დარჩა სახელმწიფოს საკუთრებაში. გთხოვთ, განგვიმარტოთ, შემდგომში საწესდებო კაპიტალიდან საპრივატიზაციოდ ამოღებულ ქონების ნაწილზეც ვრცელდება თუ არა ადრე დადგენილი პროცენტული თანაფარდობა? ანუ, ამოღებული კაპიტალის 10% რჩება თუ არა აქციონერთა საკუთრებაში?

ბატონო დავით,

საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონის 51-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თქვენ ხართ აქციის მესაკუთრე. სააქციო საზოგადოების ქონებაში თქვენ გეკუთვნით მთლიანი ქონების ღირებულების ის რაოდენობა, წილი, რა პროცენტითაც ფლობთ აქციებს, ე. ი. თქვენს შემთხვევაში მთლიანი ქონების ღირებულების 10%. ამრიგად, თქვენ გეკუთვნით ამოღებული ქონების ღირებულების 1/10 ნაწილი. თუ სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ მიიღო სხვა რაიმე გადაწყვეტილება.

**ობიექტის ყოფილი თანამშრომლები (ყოფილი მეპაიეები)**

ობიექტის ყოფილ თანამშრომლებს მასალები გვაქვს გარკვეული თანხა, რომელიც უნდა გადმორიცხა ობიექტის ანგარიშზე დებიტორ ორგანიზაციას. ობიექტი გასხვისებული იქნა. ამჟამად დებიტორი ორგანიზაცია თანახმაა დაფაროს დავალიანება თუ ობიექტის ახალი ხელმძღვანელობა წერილობით დაადასტურებს ამ თანხის მიღებაზე თანხმობას, რომელიც შემდგომ უნდა გაიცეს ობიექტის ყოფილ თანამშრომლებზე. ობიექტის ახალი ხელმძღვანელობა, იმ მოტივით, რომ ეს თანხა ობიექტის ბალანსში არ ფიგურირებს, უარს აცხადებს აღნიშნული წერილის წარდგენაზე. კანონიერია თუ არა ეს მოტივი? რა კანონიერი გზა არსებობს აღნიშნული თანხის მისაღებად?

ბატონო მოქალაქენო,

იურიდიული პირის გასხვისების შემდეგ (შპს; სს; რკ) არ იცვლება მისი უფლება-მოვალეობები, თუ გასხვისების ხელშეკრულებით სხვა რამ არაა გათვალისწინებული. აქედან გამომდინარე, ახალი ხელმძღვანელობის ხელშიც თქვენს ობიექტს აქვს მოთხოვნის უფლება დებიტორულ ორგანიზაციისადმი. "მეწარმეთა შესახებ კანონის" მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან საწარმოს საქმიანობის დაწყებისა და ყოველი სამეურნეო წლის დამთავრებისას საინვენტარიზაციო აღწერილობაში შეიტანონ მონაცემები მიწის ნაკვეთების, მოთხოვნების და ყველა სხვა მატერიალურ ფასეულობათა შესახებ.

ამრიგად, ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან შეიტანონ ბალანსში საწარმოს ყველა მოთხოვნა სხვათა მიმართ. დაარღვიეს რა მათ აღნიშნული მოვალეობა, საწარმოს დამფუძნებლებს შეუძლიათ დასვან მათი პასუხისმგებლობის საკითხი საერთო კრებაზე.

**ობიექტის ყოფილი თანამშრომლები (ყოფილი მეპაიეები)**

ობიექტის გასხვისებამდე თანამშრომელთა თანხმობით (მეპაიეები) გაფორმდა ხელშეკრულება ობიექტსა ერთ-ერთ კერძო შ.პ.ს. შორის, ამ უკანასკნელის მიერ დებიტორი ორგანიზაციიდან ობიექტის კუთვნილი თანხის მიღებაზე, რომელიც შემდგომ უნდა გაიცეს ობიექტის ყოფილ თანამშრომლებზე (მეპაიეებზე).

დებიტორი ორგანიზაცია თანხმაა დავალიანება დაფაროს ურთიერთშეთანხმებული გრაფიკის მიხედვით, რომელზედაც უნდა იყოს ხელმოწერა დებიტორი ორგანიზაციის, შ.პ.ს-ა და ამჟამად გასხვისებული ობექტის ახალი ხელმძღვანელების. არის თუ არა აუცილებელი საჭიროება გრაფიკებზე გასხვისებული ობიექტის ხელმძღვანელის ხელმოწერა?

ბატონო მოქალაქენო,

როგორც აღნიშნული შეკითხვიდან ჩანს, თქვენმა ობიექტმა უფლება მისცა შ.პ.ს.-ს მიიღოს დებიტორი ორგანიზაციისაგან თქვენი ობიექტისადმი მისაცემი თანხა. აქედან გამომდინარე შეთანხმებით, რომლითაც მიღწეული იქნება თანხის გადახდის ვადების შესახებ შეთანხმება ,კერძოდ მისი გადახდის გრაფიკი, სავალდებულოა მხოლოდ შ.პ.ს.-ს ხელმძღვანელის და დებიტორი ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერები. მაგრამ თუ თქვენ ობიექტსა და შ.პ.ს.-ს შორის არსებული შეთანხმებით განსაზღვრულია ამ თანხის ამოღების სხვა წესი, მაშინ საჭირო იქნება თქვენი ობიექტის ხელმძღვანელის თანხმობა, რაც გამოიხატება წერილობით თანხმობაში ან/და მისი ხელმოწერით.

**შარაშენიძე ოთარი**

მქონდა საკუთარი ერთსართულიანი სახლი, რომელიც 1992 წელს სამოქალაქო ომის პერიოდში ხანძრის გაჩენის გამო დამეწვა. სახლი ალვადგინე და დავაშენე მეორე სართული. მაშინ საქართველოში განუკითხაობა იყო. მშენებლობის ნებართვა და გეგმა არ ამიღია. გთხოვთ მიპასუხოთ ვის უნდა მივმართო სახლის გეგმის დასამტკიცებლად და რა ხარჯებს მოიცავს ეს პროცედურა.

ბატონო ოთარ,

მართალია 1992 წელს განუკითხაობა იყო, მაგრამ თქვენ მაინც დარღვეული გაქვთ სამშენებლო ნორმები. აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად უნდა მიმართოთ ქ.თბილისის მერიის სპეციალურ სამსახურს (ქალაქის დაგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის სამსახური). რაც შეეხება ფასებს, ვერ დავაკონკრეტებთ, რადგან ისინი განსაზღვრულია შესაბამისი ორგანოების ნორმატიული აქტებით. მოითხოვეთ ეს ინფორმაცია და სათანადო ორგანო გაგაცნობთ აღნიშნული საკითხის გადასწყვეტად საჭირო ხარჯების შესახებ ინფორმაციას.

**მარინა ჩიტიძე**

გთხოვთ, განგვიმარტოთ, მე თბილისში მაცხოვრებელ მოქალაქეს, მეკუთვნის თუ არა, ჩემი ოჯახისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფა იმ სოფელში, სადაც დავიბადე და სკოლის დამთავრებამდე ვცხოვრობდი? ჩემი მშობლები ოჯახის სხვა წევრებთან ერთად ამჟამადაც იქ ცხოვრობენ. თუ მეკუთვნის, გთხოვთ, მირჩიოთ ვის უნდა მივმართო და რა საბუთები წარვადგინო?

ქალბატონო მარინა,

საქართველოს კანონი "სასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ", არეგულირებს რა სოფლად მიწაზე წარმოშობილ ურთიერთობებს მიწის ნაკვეთის გამოყოფას ითვალისწინებს მხოლოდ კომლის დაშლისას. რადგან თქვენ არ ბრძანდებით კომლის წევრი, თქვენზე არ ვრცელდება აღნისნული კანონის ნორმები. ამ კანონის თანახმად, თქენ შეგიძლიათ მხოლოდ შეისყიდოთ მიწის ნაკვეთი.

**ქრისტესაშვილი ციანა**

1. ვარ კოოპერატიული ბინის მფლობელი, ქვრივი. ბინაში ჩაწერილი მყავს ორი შვილიშვილი. მაქვს თუ არა უფლება გავყიდო ბინა მათი თანხმობის გარეშე. მყავს ორი ვაჟი, რომლებსაც აქვს ცალ-ცალკე ბინები.

2. ბინის გაყიდვის შემთხვევაში როგორ ნაწილდება თანხა მფლობელსა და ჩაწერილ პირებს შორის.

ქალბატონო ციანა,

თუ თქვენი შვივილიშვილები დარეგისტრირებული გყავთ საჯარო რეესტრში, მაშინ ისინი ითვლებიან ამ ბინის თანამესაკუთრეებად და ბინის გაყიდვისას, თუ ისინი არასრულწლოვნები არიან, საჭიროა მათი კანონიერი წარმომადგენლების (მშობლების) თანხმობა, ხოლო თუ სრულწლოვნები არიან, მათი თანხმობა. თუ თქვენი შვილიშვილები თანამესაკუთრეები არიან, ბინის გაყიდვისას მიიღებენ თანხის იმ ნაწილს, რა წილიც ეკუთვნოდათ ამ ბინაში. თუ ისინი არ არიან რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, როგორც თანამესაკუთრეები, თქვენ უფლება გაქვთ გაყიდოთ ბინა მათი თანხმობის გარეშე და აღებული თანხაც მთლიანად თქვენი იქნება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 311-ე მუხლის თანახმად საჯარო რეესტრში შეიტანება უძრავ ნივთებზე საკუთრების და სხვა სანივთო უფლებები, ხოლო 173-ე მუხლის თანახმად საერთო საკუთრება წარმოიშობა კანონის ძალით ან გარიგების საფუძველზე, რაც ასევე გულისხმობს თანაზიარ ან წილად საკუთრებას. 956-ე მუხლის თანახმად საზიარო საგანს მონაწილენი მართავენ ერთობლივად.

ნება, პასუხისმგებლობა, სიამოვნება...



B2

ფედერაციას ყველა დახმარება აღუდგინეს



B4

მადონა ფილმში უფასოდ ითამაშებს



B8

ქეთევან სადღობელაშვილი

BBC "24 საათში"

# TV მეხუთე დრო



ხანდახან, თუნდაც თვეში ერთხელ, ქართული ტელეეთერისაგან რომ დავისვენოთ და სანიტარული დღე მოვიწყოთ, ამერიკული და ევროპული (შეძლებისდაგვარად, აღმოსავლური და აზიური) ტელეკომპანიებიც გავიცნოთ, ვნახოთ, ვინ არიან, რას აკეთებენ და როგორ. რამდენ არხსაც უნდა უყურებდეთ თქვენს ტელევიზორში, მაინც ფრაგმენტულ სურათს მიიღებთ იმასთან შედარებით, რაც ხდება მსოფლიო ტელებაზარზე, სადაც ერთმანეთს ებრძვიან კომერციული, საზოგადოებრივი და საკაბელო ტელეკომპანიები. დავიწყოთ იმ ტელევიზიით, რომელსაც ყველაზე დიდი ტრადიციები და, შესაბამისად, გამოცდილებაც გააჩნია. მაშ, ასე: "24 საათი" მასპინძლობს საზოგადოებრივ "ბი ბი სი"-ს.

**ისტორია:** დიდი ბრიტანეთი მაღალი ინფორმაციული კულტურის საყოველთაოდ აღიარებული ქვეყანაა. რადიოსადგურ "ბი ბი სი"-ს 1922 წელს ჩაეყარა საფუძველი. 1936 წელს კი "ბი ბი სი"-ს ტელესადგურმა დაიწყო რეგულარული გადაცემები, რომელმაც 1939 წლამდე გასტანა. ტელეეკრანები ომის დაწყებამ მხოლოდ დროებით ჩააქრო. თავისი არსებობის მანძილზე "ბი ბი სი"-მ ხელისუფალთა ზეწოლა სულ რამდენჯერმე განიცადა. 1926 წელს, ინგლისში საყოველთაო გაფიცვის დროს, ხაზინის კანცლერმა უინსტონ ჩერჩილმა მთავრობის პროპაგანდის მიზნით რადიო "ბი ბი სი"-ს კონტროლზე აყვანა სცადა. "ბი ბი სი"-ს გენერალური დირექტორი ლორდი რეისი ჩერჩილის წინააღმდეგ გამოვიდა და გაიმარჯვა კიდეც. 1956 წელს კი სუეცის არხის კრიზისის დროს, საომარ მოქმედებათა დაწყებასთან დაკავშირებით პრემიერმა იდენმა "ბი ბი სი"-ს კონტროლზე აყვანის შესახებ განაცხადა, რასაც მმართველთა საბჭო მტკიცედ დაუპირისპირდა და პრემიერი ამ შემთხვევაშიც დამორჩილდა. ბოლო დროის ინციდენტის შესახებ კი მთელმა მსოფლიომ გაიგო. 2003 წლის მაისში "ბი ბი სი"-სა და ხელისუფლებას შორის მკვეთრი დაპირისპირება მოხდა. გადაცემა "თუდეის" სიუჟეტის მიხედვით, ინგლისის მონაწილეობა ერაყის ომში მთავრობამ იმით გაამართლა, რომ შეთითხნა დოსიე, რომელიც ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის არსებობის დამადასტურებელი ფაქტებით იყო სავსე. პრემიერ-მინისტრის, ტონი ბლერის საქმეში უშუალო ჩარევის მიუხედავად, "ბი ბი სი"-ს მმართველთა საბჭომ "თუდეიში" გასული სიუჟეტი დაიცვა. კონფლიქტი რამდენიმე დღეში კიდევ უფრო გამწვავდა. აშკარა იყო, რომ გადაცემის რედაქტორებს რაღაც გამოეპარათ, გამოიკვეთა უამრავი ლაფსუსი. ივლისში კი მოხდა ფაქტი, რომელმაც ორივე დაპირისპირებული მხარე შოკში ჩააგდო. მთავრობის მრჩეველმა შეიარაღების საკითხებში დევიდ კელიმ და "თუდეის" ზემოთ ხსენებული სიუჟეტის წყარომ თავი მოიკლა. დაიწყო გამოძიება, რომელსაც ლორდი ჰატონი ხელმძღვანელობდა. 2004 წლის 28 იანვარს, ჰატონის გამოძიების შედეგების გამოქვეყნებისთანავე, "ბი ბი სი"-ს მმართველთა საბჭოს თავმჯდომარემ გევინ დეივისმა თანამდებობა დატოვა. მეორე დღეს საბჭოს წევრებმა დააკმაყოფილეს "ბი ბი სი"-ს გენერალური დირექტორის გრეგ დაიკის განცხადებაც გადადგომის შესახებ. ასე რომ, შეცდომისაგან არავინაა დაზღვეული, ისეთი მდგრადი რეპუტაციის მქონეც კი, როგორიც "ბი ბი სი"-ა.

იურიდიულად, მთავრობასა და პარლამენტს "ბი ბი სი"-ს პროგრამებზე ვეტოს დადების უფლება აქვთ, რასაც იშვიათად იყენებენ, რადგან, თუ ერთეულ შემთხვევებს გამოვრიცხავთ, "ბი ბი სი"-ს დამოუკიდებლობის პრინციპები მეტად მტკიცედაა ჩამოყალიბებული იმისათვის, რომ პოლიტიკოსებმა მასზე ხელი აღმართონ.

**სტრუქტურა:** კორპორაცია "ბი ბი სი" სამეფო ბრძანებულებით არის დაარსებული და ინგლისელები მას ისეთივე პატივისცემით ეპყრობიან, როგორც ბრიტანეთის გვირგვინს. ტელეკომპანიის მმართველთა საბჭოს, რომელიც 12 კაცისაგან შედგება, დედოფალი ნიშნავს 5 წლის ვადით. საბჭო ირჩევს აღმასრულებელ გენერალურ დირექტორს, თვითონ კი ერთგვარი დამცველის როლს ასრულებს ანუ საკუთარ თავზე იღებს პოლიტიკოსებისა და საზოგადოების კრიტიკასა თუ საყვედურებს. საბჭოს გადაწყვეტილება, რომელიც გასაჩივრებას არ ექვემდებარება, როგორც წესი, ობიექტურობით, ზომიერებითა და კარგი გემოვნებით გამოირჩევა. "ბი ბი სი"-ს სააბონენტო გადასახადს ქვეყნის პარლამენტი ამტკიცებს.

**ღირებულებები და სტანდარტები:** "ჩვენი მიზანია, ვიყოთ მსოფლიოს ყველაზე შემოქმედებითი და სანდო ტელე-რადიო პროგრამების შემქმნელი ორგანიზაცია. ვეძებოთ გზები, რათა დავაკმაყოფილოთ ჩვენი მაყურებელი საინფორმაციო, საგანმანათლებლო და გასართობი პროგრამებით, შევავსოთ მათი ცხოვრება იმ გადაცემებით, რასაც მხოლოდ საინფორმაციო ბაზარი ვერ წვდება. ჩვენი მიზანია, საზოგადოების ინტერესებით ხელმძღვანელობა, სიახლის მაძიებელი, ნიჭიერი ადამიანების წახალისება, დამოუკიდებელი მოქმედება სამართლიანობის სასარგებლოდ და უმაღლესი ეთიკური სტანდარტებისაკენ სწრაფვა" - ასეთია "ბი ბი სი"-ს დევიზიც, მიზანიცა და სამოქმედო გეგმაც. უფრო კონკრეტულად: მიუკერძოებლობა, სიზუსტე, სამართლიანობა, ხალხთა და კულტურათა შესახებ სრული და ზუსტი თვალსაზრისის გამოხატვა, სარედაქციო სამართლიანობა და დამოუკიდებლობა, სხვისი საიდუმლოს დაცვა, გემოვნებისა და ზნეობის სტანდარტების გათვალისწინება, ბავშვთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რესპონდენტის მიმართ სამართლიანი დამოკიდებულება, აუდიტორიის მრავალფეროვნების გათვალისწინება, კომერციული ინტერესებისაგან თავის არიდება და ა.შ.

ქართულ ტელებაზარზე "ბი ბი სი"-ს პაკეტები რამდენიმე ტელეკომპანიამ ერთდროულად შეიძინა, თითქმის ყოველ საღამოს შეგვიძლია "ბი ბი სი"-ს დოკუმენტურ, სამეცნიერო პოპულარულ ფილმებსა და ბიოგრაფიულ პორტრეტებს ვუყუროთ. მშობლიური კულტურა აღარავის აინტერესებს, თორემ, რა სჯობს "ბი ბი სი"-ს მიერ გადაღებული გემოვნებიანი, ბრიტანული ეთიკითა და ზომიერებით გამორჩეული ტელეპროდუქციის ცქერას. თუმცა, ერთი უხერხულობა ექმნებათ ქართველ ტელებოსებს. მიეჩვევა მაყურებელი კარგ გადაცემებსა თუ დოკუმენტურ ფილმებს და სპირიდონა სულანჯიასი არ იყოს, უფრო მეტს მოთხოვს "ბი ბი სი"-ს მოდელმორგებულ საზოგადოებრივ ტელევიზიას. გემოვნებადახვეწილი მაყურებელი კი, იმედი ვიქონიოთ, აღარ წაუყრუებს დღევანდელივით მდარე პროდუქციის გასაღების მცდელობას.

ცოტა ხნის წინათ "ბი ბი სი"-მ შექმნა საერთაშორისო სატელევიზიო სამსახურები, რომლებიც მთელი მსოფლიოს მრავალფეროვან აუდიტორიას აცნობს ახალ ამბებს, წარუდგენს დოკუმენტურ ფილმებს, მხატვრულ და გასართობ გადაცემებს. "ბი ბი სი"-ს საერთაშორისო სატელევიზიო სამსახურებს კომერციული დაფინანსებაც გააჩნიათ. "ბი ბი სი" გაერთიანებულია ბრიტანეთის ერთობლივ კომერციულ სამსახურებშიც. ინგლისში შექმნილმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ "კამპანია ხარისხიანი ტელევიზიისათვის" აიძულა პარლამენტარები, მიეღოთ გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ბიზნესმენები კომერციულ არხებზე მაუწყებლობის ლიცენზიას მხოლოდ მაუწყებლობის მაღალი ხარისხის გარანტიით მიიღებენ. პარლამენტმა შექმნა "დამოუკიდებელი ტელევიზიის კომისია", რომელმაც დაამუშავა პროგრამების ხარისხისა და მრავალფეროვნების მკაცრი მოთხოვნები. მაგ: ახალი ამბების სავალდებულო პროგრამა კვირაში არანაკლებ საათნახევრის მოცულობით, საბავშვო გადაცემები, კვირაში არანაკლებ 10 საათი. რელიგია - 2 საათი და ა.შ. წარმოიდგინეთ, ჩვენი დამოუკიდებელ-კომერციული არხები ასეთი ვალდებულებებით, რამდენ ხანს "გაქაჩავდნენ"?

**პროგრამირება:** "ბი ბი სი"-ში ყოველთვის ახსოვთ ერთი ისტორიული თარიღი, 1969 წელი, როცა საზოგადოებრივი ტელევიზიის არხზე პირველად გავიდა ფილმი "სამეფო ოჯახი". მომდევნო წლებში, "ბი ბი სი"-ს აბონენტთა რიცხვის ზრდასთან ერთად, თანდათან იხვეწებოდა არხის პროგრამირების სტრატეგიაც. მაყურებელს სულ უფრო ამბიციურ პროექტებს სთავაზობდნენ. სწორედ ამ დროს გამოჩნდა ეთერში დევიდ ატენბორო გადაცემით "ზოო ძიება" (Zoo Quest) და იმონ ენდრიუსი გადაცემით "ეს თქვენი ცხოვრებაა" (This is Your Life). 50-იანი წლების ტელე-ჰიტებს შორის იყო "პანორამაც" - გადაცემა, სადაც პრინცესა დაიანამ ღიად ილაპარაკა პრინც ჩარლზთან ქორწინების უსიამოვნო დეტალებზე (ეს უკვე 90-იან წლებში).

თუ პროგრამირების მხრივ "ბი ბი სი"-ს "ოქროს ხანის" ძიებას დავიწყებთ, ისტორიკოსთა უმეტესობა გვეტყვის, რომ ეს პერიოდი 70-იან წლებში უნდა ვეძებოთ, რადგან ამ ათწლეულში საგრძნობლად გაიზარდა აბონენტთა რიცხვი და გადაცემების შინაარსიც სულ უფრო სიღრმისეული, გამომსახველი და მრავალფეროვანი გახდა (ამას დაერთო ფერადი ტელევიზიის გავრცელებაც). შეიცვალა დოკუმენტური სურათების თემატიკა, ხოლო 1974 წელს შექმნილი გადაცემა "ოჯახი"(The Family), შეიძლება ითქვას, რომ რეალისტური ტელევიზიის პირველი ნიმუში იყო.

70-იან წლებშივე "ბი ბი სი"-მ შეიძინა "შინაურული თეატრის" მეტსახელიც, რადგან 1978 წლიდან დაიწყეს შექსპირის პიესების ტელეტრანსლაცია. პირველად ეთერში "რომეო და ჯულიეტა" გავიდა, მას სხვა პიესებიც მოჰყვა. თავისი ტელეჰიტები, ცხადია, 80-იან წლებსაც ჰქონდა. გადაცემა "EastEnders"-ი "ბი ბი სი"-ს ყველაზე რეიტინგული პროგრამა გახდა. დღემდე მას 12-მილიონიანი აუდიტორია ჰყავს.

90-იან წლებში გაჩნდნენ ისეთი პერსონაჟებიც, რომელთაც მთელ მსოფლიოში გაითქვეს სახელი, "Teletubbies" - იგივე ტელეღიპუცები. სერიალი 75 ქვეყანაშია გაყიდული და 45-მდე ენაზე თარგმნილი.

2000 წელი და ახალი ათასწლეული "ბი ბი სი"-მ ისტორიული გადაცემებისადმი გამძაფრებული ინტერესით დაიწყო. დიდი პოპულარობით სარგებლობდა პროგრამების სერია "რა გააკეთეს ჩვენთვის რომაელებმა, ვიქტორიანელებმა და სტიუარტებმა". მოგვიანებით, საიმონ შამა "ბრიტანეთის ისტორიის" შესახებ გადაღებული სერიებით გავიდა ეთერში. ამავე წელს "ბი ბი სი"-ში გაჩნდა დღეს უკვე რუსულ და ქართულ ტელესივრცეში გადმოღებული "სუსტი რგოლიც". ენ რობინსონის გადაცემას უკვე მრავალ ქვეყანაში უყურებენ. საკმაოდ დიდი ტელეაუდიტორია ჰყავს გადაცემას "ლურჯი პლანეტა" და სიტუაციურ კომედიას "ოფისი".

დღეს "ბი ბი სი"-ს პროგრამები რამდენიმე ძირითად კატეგორიად იყოფა, ესენია: ახალი ამბები; ფაქტები; საზოგადოებრივი ცხოვრება; გართობა; მუსიკა; ბავშვები; სპორტი. ამ ქვეთავებშიც გადაცემები სულ ცოტა, ხუთამდე თემატურ რგოლშია გაერთიანებული. მაგალითად, მუსიკაში ცალკე გადაცემები ეძღვნება ჯაზს, ჰიპ-ჰოპს, პოპს; ფაქტები შეიცავს: ხელოვნებას, რელიგიას, ბუნებას, მეცნიერებას, ტექნოლოგიას. საზოგადოებრივი ცხოვრება კი მოიცავს: მოგზაურობას, მებაღეობას, კულინარიას, ჯანმრთელობას და სხვა. "ბი ბი სი"-ს გააჩნია მკვეთრად განსაზღვრული პრინციპი საეთერო დროის დაგეგმვასა და ე.წ. "გარდატეხის მომენტთან" დაკავშირებით, რომელიც საღამოს ცხრა საათიდან იწყება და მაყურებლის, მათ შორის ბავშვების ინტერესებს ითვალისწინებს. ჩვენგან განსხვავებით, ამ დროს აკრძალულია ყოველგვარი ძალადობის, უბედურებების, სექსის, უხამსობებისა და სხვა ამგვარი სცენების ჩვენება. "ბი ბი სი" თავის კორპორაციაში აერთიანებს შემდეგ ტელეარხებს": "ბი ბი სი 1"; "ბი ბი სი 2"; "ბი ბი სი 3"; "ბი ბი სი 4"; "სი ბი ბი სი" საბავშვო; "ბი ბი სი ნიუსი"; "ბი ბი სი პარლამენტი". იმისათვის, რომ საერთო წარმოდგენა შეგვექმნას, ერთ-ერთ არხს მაინც გავეცნოთ.

"ბი ბი სი 1" ხარისხიანი პროგრამირებით არის განთქმული. ხელმძღვანელობა ცდილობს, სრულად მოიცვას ყველა სატელევიზიო ჟანრი და თითოეული მათგანი მაქსიმალური ოდენობითა და მასშტაბით წარმოადგინოს. ჩვენგან განსხვავებით, დიდი დრო ეთმობა ეროვნული მნიშვნელობის თემატიკისა და მოვლენების გაშუქებას, "ბი ბი სი"-ს ცნობილი პროგრამების წარდგენას და სპეციფიკური თემების გასაცნობად ახალ-ახალი გზების ძიებას.

"ბი ბი სი 1" მაქსიმალურ ყურადღებას უთმობს საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე თემების გაშუქებასაც. ამისთვის არხი თემატურ დღეებს ან სულაც სეზონს აწყობს - ვთქვათ, საფეხბურთო ჩემპიონატების დროს.

გადაცემები "პოლიტიკური შოუ" (Politics Show) და "ამ კვირაში" (This Week) პოლიტიკურ მოვლენებს უკეთებს ანალიზს.

სპეციფიკური დოკუმენტური გადაცემები ეძღვნება თანამედროვე ცხოვრებას. "ბრიტანეთის საიდუმლო სირცხვილი" (Britain's Secret Shame) და "ერთი ცხოვრება" (One Life) საბავშვო პრობლემატიკას მოიცავს. "Watchdog - დიდ კორპორაციებში არსებულ პრობლემებს და სამუშაო პირობებს წარმოაჩენს. რამდენიმე გადაცემის მუდმივი სამიზნე აუდიტორია კი სამომხმარებლო საზოგადოებაა.

"ბი ბი სი 1" მაყურებელს ეროვნული და საერთაშორისო ახალი ამბების ბიულეტენსაც სთავაზობს. საღამოს ათი საათის საინფორმაციო გამოშვება ანალიტიკურია.

დიდი ყურადღება ეთმობა ბრიტანეთის მრავალფეროვანი ეთნიკური კულტურის გაშუქებასაც. ამ მიზნით არხის ხელმძღვანელობას გარკვეულ რისკზე წასვლა და კომედიურ-გასართობი გადაცემების გადასხვაფერებაც მოუხდა, რათა პროგრამებში სხვადასხვა კულტურული თავისებურებები გაეთვალისწინებინა.

ცალკე პროიორიტეტად ითვლება ბრიტანული იუმორი. შესაბამისად, სამამულო წარმოების სიტუაციური კომედიები მზარდი პოპულარობით სარგებლობს. "მამაჩემი პრემიერ-მინისტრია", "ჩემი ოჯახი", "კერი და ბერი" - ის შოუებია, რომელთაც ბრიტანელები დიდი სიამოვნებით უყურებენ.

"ბი ბი სი 1"-ზე დიდი დოზითაა წარმოდგენილი დოკუმენტური და დრამატული ფილმები - სერიალებისა და ერთჯერადი პროექტების სახით. მიზანი ასეთია - მაყურებელს შეულამაზებლად წარუდგინონ ბრიტანული ყოფა-ცხოვრების დეტალები. სცენარებს ცნობილი ავტორები წერენ. ეთერში გადის ისეთი ცნობილი, გასართობი სერიალები, როგორიც EastEnders-ია.

"ბი ბი სი 1" თეატრის მოყვარულებსაც გულშემატკივრობს. დიდი დრო ეთმობა ისტორიის, მეცნიერების და კულტურული ამბების გაშუქებასაც. ერთჯერადი და სერიალებად წარმოდგენილი გადაცემები - "როლფი წარმოგიდგენთ კულტურულ სიახლეებს", "უნიკალური ბრიტანული ხელოვნება", "კოსმოსური ოდისეა", "ვიქტორიანული მკვლელობის საიდუმლო", "ჩინგიზ ხანი", "ჰიმალაის ხალხის კულტურა და გეოგრაფია" - სწორედ ამის დასტურია.

ეს ფრაგმენტული სურათი "ბი ბი სი"-ს ცხოვრებიდან მაგალითია იმისა, თუ როგორ ეპყრობიან ბრიტანელები საკუთარ ისტორიას, კულტურას, ყოფას და პირველ რიგში, საკუთარ ხალხს, ვისთვისაც უნდა მუშაობდეს ტელევიზიაც და ხელისუფლებაც.

ასეთი იყო **BBC** "24 საათში".

მომავალ შეხვედრამდე!

**e-mail:**
**ksadgobelashvili@24hours.ge**



# აფიშა

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
პატრიკ ზიუსკინდის მიხედვით
"კაფე როსინი"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
რალფ კნიგი
ET CETERA
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
ნოდარ დუმბაძე
"მე, ბებია, ილიკო და ილარიონი"
რეჟისორი: გოჩა კაპანაძე
ფასი: 3 და 5 ლარი
დას: 19:00 სთ.

**სამეფო უბნის თეატრი**
თემურ ჩხეიძის შემოქმედებითი სახელოსნოს სპექტაკლი
"აქ, ამ სავანეში"
(ოთხი ერთმოქმედებიანი პიესა)
ფასი: 2-5 ლარამდე.
დას: 19:00 სთ.

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
"იადონას თეატრი"
დას: 18:00 სთ.

## კინოთეატრები

**კინოს სახლი**
ფრანგული ფილმების რეტროსპექტივა
დას: 19:00 სთ.

**გოეთეს ინსტიტუტი**
გია ჭუბაბრიას დოკუმენტურ-მხატვრული ფილმის
"გაფითრებული თებერვლის ლანდების" საპრემიერო ჩვენება
დას: 18:00 სთ.

**რუსთაველი**
"წყევლა"
დას: 11:30; 14:00; 16:30 სთ.
"სიახლოვე"
დას: 19:00; 21:30 სთ.

**ამირანი**
"33 უიღბლობა"
დას: 19:30; 22:00 სთ.

"ოუშენის 12 მეგობარი"
დას: 12:00; 14:30; 17:00 სთ.

## გალერეები

**ისტორიის მუზეუმი "ქარვასლა"**
გამოყენებითი ხელოვნების ნამუშევართა გამოფენა
(ორგანიზატორი: აშშ-ს საელჩო)

**TMS**
ხუტა ირემაძის ნამუშევართა მემორიალური გამოფენა (ფერწერა)

**საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
გამოფენა "შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნება"

**ეროვნული გალერეა**
იზა მღებრიშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა)

ელდარ ქავშბაიას ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (ფერწერა)

**თანამედროვე ქართული ტექსტილის გალერეა "ათინათი"**
"მეტამორფოზები"
(თინა კლდიაშვილი და დავით მონავარდაშვილი)

**ორნამენტი**
მუდმივმოქმედი ექსპოზიცია "ტიხრული მინანქარი"

**ჰობი**
თანამედროვე ქართველი მხატვრების ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა)

**თბილისის კულტურისა და ხელოვნების უნივერსიტეტის საგამოფენო დარბაზი**
პლაკატებისა და მხატვრული ფოტოს გამოფენა
(პროექტ - "აივ/შიდსისა და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების პრევენცია ახალგაზრდებს შორის" - ფარგლებში)

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

## წიგნის სახლი წარმოგიდგენთ

**ხუთშაბათს, 27 თებერვალს, 17 საათზე** - ზაალ სამადაშვილის ციკლი "ჩემი სამაგიდო წიგნები". თემა: ახალი წიგნების განხილვა.

**კვირას 30 თებერვალს, 14 საათზე** - გია აბესალაშვილი ბავშვებისთვის წაიკითხავს ოტია იოსელიანის "დაჩის ზღაპრებს".

# ნება, პასუხისმგებლობა, სიამოვნება...

ნათია ვადაჭკორია

ცნობილი პროდიუსერისა და კინორეჟისორის, წარმოშობით რუმინელი მარინ კარმიცის შემოქმედებას სამი კომპონენტი აერთიანებს - ნება, პასუხისმგებლობა და სიამოვნება. საფრანგეთში მოღვაწე 64 წლის კინემატოგრაფისტი მიიჩნევს, რომ ფილმის სცენარის წაკითხვიდან მაყურებელთა დარბაზში მის ჩვენებამდე, შემოქმედმა სწორედ ეს გზა უნდა გაიაროს. თავის დროზე ცნობილი რეჟისორების - ანჯეი ვაიდას და ჟან-ლუკ გოდარის ასისტენტი, შემდგომში თვად ხდება კინორეჟისორი და ამავდროულად აარსებს უდიდეს კინოსაწარმოს სახელწოდებით MK2 (მარინ კარმიცი 2), რომელიც მთელი კომპლექსია თავისი სტუდიებით, ბიბლიოთეკებით, რესტორნებით, მაყურებელთა დარბაზებით და ა.შ.

მარინ კარმიცზე საუბრის საფუძველი მოგვცა კინოს სახლში 22 თებერვალს გახსნილმა ფრანგული ფილმების კვირეულმა სახელწოდებით "30 წელი ფრანგულ კინოში", რომელიც კინემატოგრაფისტის შემოქმედებას ეძღვნება.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დახმარებით მოწყობილი კვირეული, ტრადიციისამებრ, საქართველოში საფრანგეთის საელჩოს კულტურის ატაშემ ფრანსუა ლორანმა გახსნა. ხელოვანის შემოქმედების მოკლე მიმოხილვის შემდეგ, ფრანსუა ლორანმა ჩვეული ფრანგული თავაზიანობით მადლობა გადაუხადა კინოს სახლის დირექტორს და მის ტექნიკურ პერსონალს თანადგომისა და სტუმართმოყვარეობისთვის. ამ ფაქტზე ყურადღებას არ გავამახვილებდით, რომ არა თითქმის ტრადიციად ქცეული ტექნიკური ხარვეზები. ამ ბოლო დროს კინოს სახლში რატომღაც ხშირად ხდება მსგავსი ფაქტები. იმედია, ეს ხარვეზიც მალე გამოსწორდება.

პირველ დღეს წარმოგვიდგინეს შაბროლის ფილმი "ქალთა საქმე", რომლის გმირს - მარის უკანონო აბორტების კეთების გამო სიკვდილით სჯიან. მარი იყო ერთ-ერთი უკანასკნელი ქალი, ვინც საფრანგეთში სიკვდილით დასაჯეს.



თავად მარინ კარმიცის პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმი გახლავთ "შვიდი დღე სხვაგან", რომლის შესახებ ფრანგულ ჟურნალ "ექსპრესში" გამოქვეყნებულ ინტერვიუში კინორეჟისორი ამბობს: "ჩემი პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმის "შვიდი დღე სხვაგან" წარუმატებლობა იმან გამოიწვია, რომ 1968 წლის მაისის ცნობილი მოვლენების შემდეგ გამოვიდა, დროის ამ შუალედში კი "პატარა ბურჟუას" სოციალურ გარემოსთან შეუგუებლობის ისტორია უძლური ხდება". მარინ კარმიცი ალბათ თავმდაბლობის გამო ამბობს ამას.

რაც შეეხება მისივე ფილმს "კალკუტის ბნელი ღამე", რომელიც მარგერიტ დიურასის სცენარის მიხედვით არის შექმნილი, თავად მწერალი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.

რას წარმოადგენს მარინ კარმიცისთვის ნამდვილი პოლიტიკა? ფილმით "მეგობრები" მარინ კარმიცმა შეძლო შეექმნა იოლი, სასიამოვნო და სანახაობრივად საინტერესო სპექტაკლი, რომელსაც პოლიტიკური სიმღერები გასდევს ფონად. ლამაზი ფერები, ნატიფი კადრები, ნათელი საუბრები, - აი, ეს არის პოლიტიკა.

მოკლედ, საქმიანი კაცი, გამოცდილი კინემატოგრაფისტი მარინ კარმიცი ფრანგულ კინოინდუსტრიაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს.

ფრანგული კინოს მოყვარულებს კი 28 თებერვლის ჩათვლით კინოს სახლში შეუძლიათ იხილონ ალენ რენეს "მელო", კიაროსტამის "ქარი თან წაგვიღებს", კისლოვსკის "სამი ფერი: ცისფერი", ჰანეკის "უცნობი კოდი" და ჟაკ დუალონის "უმცროსი ძმები". იმედია, საფრანგეთის საელჩო კვლავაც გაგვანებივრებს საინტერესო ღონისძიებებით.

# განწირული გენიოსი





გოგი ჩაგელიშვილი

ის, რაც დღეს უნდა გაკეთდეს, ხვალისთვის არ უნდა გადაიდოს. ქართული კინოს ფირების დაწვის შემდეგ განგაში დამეწყო. რამდენიმე დღის წინ საქართველოს ხელოვნების მუზეუმში ნანახმა კიდევ უფრო გამიღრმავა შიში.

წარმოვიდგინე, ამ მუზეუმში რომ ხანძარი გაჩნდეს და ამის საშიშროება რეალურია. საგამოფენო დარბაზები თვითნაკეთი ელექტროღუმელებით თბება, უფრო სწორად, ელექტროღუმელებით ექსპოზიციის ზედამხედველები თბებიან.

იქ, სადაც ფერწერული სურათების საცავია, თვითნაკეთი ელექტროღუმელი ფერწერული ტილოებით არის შემორაგული, რასაც ზემოდან ფიროსმანის მონუმენტალური მრავალსიუჟეტიანი სურათი დასცქერის.

დიდი მიხვედრა არ უნდა იმას, თუ ელექტროღუმელის თავზე ჩამოკიდებულ სურათს ცხელი ჰაერი რა ზიანს მიაყენებს.

ძველ, გამომშრალი ხის ჩარჩოებში ჩასმული ლაქგადასმული ტილოები ადვილად აალებადია, დარბაზებში ნავთის სუნი დგას, ალბათ ამ ხსნარით წმენდენ იატაკსაც.

დარბაზებში ცივა, რაც დამთვალიერებელს ყოველგვარ სიამოვნებას უკარგავს. იქ, სადაც ობობები ნებივრობენ დამსკდარ კედელთან ფანჯრების თავზე ნიკო ფიროსმანაშვილის შედევრებია "გამოკიდებული", გარედან შემოტყორცნილი სინათლე მაყურებელს თვალს უბნელებს და შეუძლებელია სურათის ნორმალურად ნახვა. ზოგიერთი დარბაზი გადამყიდველის სადგომს მოგაგონებს, სადაც კედელზე ერთად არის ძვირფასი და იაფფასიანი სურათები.

წარმოუდგენელია, ფიროსმანი გქონდეს და სივიწროვის გამო საცავში ამოახრჩო ან ფანჯრების თავზე ჩამოკიდო, კედლები კი იაფფასიან ბაზრის მხატვრობას დაუთმო.

ხომ ძნელია დიდი მხატვრობის შექმნა, მაგრამ ასევე ძნელი ყოფილა მისი ამოცნობა და წარმოჩენა. საუკუნის წინ დატოვებულ საგანძურს ერმა თავშესაფარი ვერ მოუნახა.

ადრე, ბევრი თანამემამულე ბულგარეთს დამცინავად, საბჭოთა კავშირის მეთექვსმეტე რესპუბლიკად მოიხსენებდა. ბულგარეთის პატარა ქალაქ გაბროვოს, რომელიც გორის ხელა თუ იქნება, მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მუზეუმი აქვს. შენობა კომუნისტების დროსაა აშენებული. ჩვენთან არც მაშინდელი ხელისუფლება და არც მხატვართა კავშირის ბევრი ჩინოვნიკი მხატვარი სათანადოდ ვერ აფასებდა ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედებას. სამარცხვინოა. თბილისში და ქვეყანაშიც მუზეუმი ან საგამოფენო დარბაზი არ აშენებულა - ღარიბი კაცივით შემოქმედებას გამონაცვალში, გადაკეთებულ შენობებში ვახრჩობთ. ვინ იცის, ქართველი კაცის დაუდევროვბამ, უყურადღებობამ, ღორმუცელობამ რამდენი ღირებული ნივთი, ისტორიული ნაშრომი გაანადგურა არც ისე განებივრებულები ვართ შედევრებით. კაშკაშა ვარსკვლავი ციმციმებდეს შენს თავზე და ვერ დაინახო?!

თავმომწონე ერი ვართ. გინახავთ ჩვენი მუზეუმების ან საერთოდ "ქვეყნის" ტუალეტები? ეს ის ადგილია, რომელიც აუცილებლად უნდა მოინახულოს სტუმარმა. რამდენჯერ გავწითლებულვარ ამ მიზეზით, მაგრამ რა გინდა, რომ ქნა?!

ქვეყანაში დიდი "რემონტია", ყველაფრის გადაფასება ხდება. ყოველგვარ რეფორმას სიფრთხილით მოპყრობა სჭირდება, ის ღირებული რომ არ გავანადგუროთ, რაც წინაპრებმა დაგვიტოვეს.

გრანდიოზული მშენებლობებით მსოფლიოს ვერ გავაკვირვებთ, აი, ნიკო ფიროსმანაშვილის სურათებს კი შეუძლია მსოფლიოს ათქმევინოს - "მათ ფიროსმანი აქვთ". მაინც რა ბედი ჰქონია ნიკალას - სიღატაკეში დალია სული, უპატრონოდ, ყველასგან მიტოვებულმა. მისი საფლავის გაქრობაც, ქვეყნისადმი მისი სულის პროტესტია, ღმერთმა ნუ ქნას, მისი შემოქმედებაც ცეცხლს გავატანოთ.

ვიყენებთ ნიკო ფიროსმანაშვილის სახელს იმიტომ, რომ პირადი სარგებელი ვნახოთ. თვითონ ნიკალას და მის შემოქმედებას კი უდიერად ვეპყრობით.

ტელევიზიით ვიგებთ, რომ პარიზში აღმოუჩენიათ ფიროსმანი, სურათი ფრანგს ეკუთვნის. ქართველი ჟურნალისტი შეწუხებულია, იქნებ რომელიმე ქართველმა ბიზნესმენმა შეიძინოს სურათი და საქართველოს დაუბრუნოსო. ამის შემყურე და გამგონე გულს ასკდები, შე დალოცვილო, ასზე მეტი სურათისთვის ვერ მოგივლია და კიდევ ერთის საცავში გამოკეტვა გინდა (ისე, სიფრთხილეც საჭიროა, ძალიან გამრავლდა ფიროსმანის ნახატები!)?

დიდსა და პატარა ქვეყნებს, ყველას ჰყავს გმირი, მაგრამ არიან გენიოსები, რომელთა შემოქმედებაც საკუთარი ქვეყნის საზღვრებს სცილდება და მსოფლიოს საგანძურის ნაწილი ხდება. ასეთი ბრილიანტი ნიკალას შემოქმედებაა.

მთის ძირში მდგომი, მწვერვალის სიდიადეს ვერ შეაფასებ, თუ ზევით არ აიწიე. ამჯერად ნიკო ფიროსმანის შემოქმედების განხილვას არ ვაპირებ, მინდა, ჩემი განგაში ახალგაზრდებს გადავცე. მათ ქვეყანაში დიდი ძალა

# ქართული "ჰამლეტი" და "სტიქსი" კიევში

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში სეზონის გახსნამდე თეატრის დასი გასტროლებზე კიევში გაემგზავრება. უკრაინის დედაქალაქში ქართველი მსახიობები ორ სპექტაკლს - "ჰამლეტსა" და "სტიქსს" ითამაშებენ. გასტროლები აპრილის დასაწყისშია დაგეგმილი.

როგორც ცნობილია, ამჟამად რუსთაველის თეატრის შენობაში სარეკონსტრუქციო სამუშაოები გრძელდება. თეატრის ხელმძღვანელობის განცხადებით, სეზონი სავარაუდოდ 2005 წლის მეორე ნახევარში გაიხსნება.

# ბიბლიის თარგმანთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება

ბიბლია რჩება ყველა დროისა და ხალხის ყველაზე ხშირ გამოცემად. დღეისათვის ძველი და ახალი აღთქმა მსოფლიოს 2377 ენაზეა ნათარგმნი, - იტყობინებიან შტუდტგარტში არსებული მსოფლიოს გერმანული ბიბლიური საზოგადოებიდან.

2003 წელს, რომელიც ბიბლიის წლად გამოცხადდა, "წიგნთა წიგნი" 52 ენაზე ითარგმნა, რასაც შარშან 22 ენაზე შესრულებული თარგმანი მიემატა. ბიბლიის მშობლიურ ენაზე გაცნობის საშუალება მიეცათ ისეთ მცირერიცხოვან ერებს, როგორებიც არიან, მაგალითად, ირაკვები (ტანზანიაში), სჰავები (ბირმაში) და ჰუმუსები (ეთიოპიაში). ბიბლიური საზოგადოების მონაცემების მიხედვით, წმინდა წერილი დღეისათვის სრულად გამოცემულია 422 ენაზე. ამასთან, ბიბლიის თარგმნა მოითხოვს მაღალკვალიფიციურ ლინგვისტებს, თეოლოგებსა და სოლიდურ ფინანსურ ხარჯებს.

# მარინე იაშვილის ვარიაციები თემაზე



26 თებერვალს, მოსკოვში, გალინა ვიშნევსკაიას საოპერო სიმღერის ცენტრში მარინე იაშვილისა და მისი მოწაფეების კონცერტი გაიმართება. კონცერტის სახელწოდებაა "ვარიაციები თემაზე..." პროგრამაში შეტანილია: ვერდის, პუჩინის, ბიზესა და სენ-სანსის საოპერო შედევრების თემების პარაფრაზები, ვარიციები.

რუსეთის დამსახურებული და საქართველოს სახალხო არტისტი, მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის კონსერვატორიის პროფესორი, შესანიშნავ დირიჟორებთან (კურტ მაზური, ფრანც ანდრე, გენადი როჟდესტვენსკი) ერთად სხვადასხვა დროს დიდი წარმატებით გამოსულა იტალიაში, ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთში, ჰოლანდიაში, შვეციაში, ჩეხეთში, ისრაელში, სამხრეთ ამერიკასა და თურქეთში გამართულ კონცერტებზე. მევიოლინის რეპერტუარშია თითქმის ყველა ჟანრი - დაწყებული კლასიკით, თანამედროვე მუსიკამდე. დღეისათვის მარინე იაშვილი მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორი და არაერთი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატია.

# ადამიანის "სათადარიგო ნაწილები"

## ტრანსპლანტაციის 50 წელი

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ-ში

1954 წლის 23 დეკემბერს ბოსტონის ქალთა ჰოსპიტალში დოქტორმა ჯოზეფ მერიმ გააკეთა ადამიანის ორგანოების ტრანსპლანტაციის პირველი წარმატებული ოპერაცია. მისი პაციენტი გახლდათ ამერიკის შეერთებული შტატების სანაპირო დაცვის ჯარისკაცი, 23 წლის რიჩარდ ჰერიკი, რომელსაც მისი ტყუპისცალის რონალდის თირკმელი გადაუნერგეს. რეციპიენტმა ოპერაციის შემდეგ 8 წელი იცოცხლა.

ასე დაიწყო ადამიანის ორგანოების ტრანსპლანტაციის ერა, რომელმაც ახლხანს აღნიშნა ნახევარსაუკუნოვანი იუბილე.

თუ ზედმეტად სკრუპულოზურები ვიქნებით, მაშინ უნდა ითქვას, რომ ტრანსპლანტაციად ითვლება სისხლის გადასხმაც. 1900 წელს სისხლის ჯგუფების აღმოჩენის შემდეგ სისხლის გადასხმა რუტინად იქცა. 1905 წელს ექიმებმა პირველად გააკეთეს თვალის რქოვანი გარსის ტრანსპლანტაცია და ამის შემდეგ დაიწყო შტურმი "მკვრივ" ორგანოებზე. მაგრამ მრავალი წლის მანძილზე ეს შტურმი უშედეგო გახლდათ. 1906 წელს ფრანგი ექიმების მიერ გაკეთებული თირკმელის გადანერგვის ოპერაციით დაწყებული, ორმოცი მომდევნო ანალოგიური ოპერაცია პაციენტის დაღუპვით მთავრდებოდა. 1950 წელს ჩიკაგოელმა ქირურგმა თავის პაციენტს გაუკეთა თირკმელის ტრანსპლანტაცია და მან ამ თირკმლით 53 დღე იცოცხლა. შემდეგ კი ორგანიზმმა გადანერგილი ორგანო უარყო. მართალია, ამ ქალმა კიდევ ხუთი წელი იცოცხლა, მაგრამ საკუთარი თირკმლის რეგენერაციის ხარჯზე. მიუხედავად ამისა, ტრანსპლანტაციის ეპოქის ათვლის წერტილად მაინც 1954 წლის 23 დეკემბერი ითვლება. რატომ? როგორც დოქტორი ნიკოლას ტილნი განმარტავს წიგნში "ტრანსპლანტაცია: მითიდან რეალობამდე", ჰერიკსისთვის გაკეთებული ოპერაცია აღიარებულია პირველ ტრანსპლანტაციად, რადგანაც ექსპერტები მსგავს ოპერაციას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევენ წარმატებულად, თუ გადანერგილი ორგანო, სულ ცოტა, ერთი წლის მანძილზე მაინც ფუნქციონირებს ნორმალურად.

როგორია ტრანსპლანტაციის სტატისტიკა განვლილი ნახევარი საუკუნის მანძილზე?

**გული.** (პირველი ტრანსპლანტაცია გაკეთდა 1967 წელს კეიპტაუნში). გაკეთებულია 2057 ოპერაცია. მხოლოდ 2003 წელს ოპერაციის შემდეგ (გარდაცვლილი დონორის ორგანოს გადანერგვის შემდეგ) ერთი წელი მაინც იცოცხლა პაციენტთა 83-მა პროცენტმა, ათ წელზე მეტ ხანს კი 49 პროცენტმა.

**ღვიძლი.** (პირველი ოპერაცია 1967 წელს, დენვერში) 5671 ოპერაცია. ცოცხალი დონორებისგან გადანერგილი ორგანოთი ერთ წელიწადზე მეტ ხანს იცოცხლა პაციენტთა 90 პროცენტმა, 78 პროცენტმა კი 10 წელი და მეტიც. გარდაცვლილი დონორების ორგანოთი ერთ წელზე მეტი იცოცხლა 60 პროცენტმა, 10 წელი და მეტი - 56-მა.

**თირკმელი.** (პირველი ოპერაცია 1954 წელს ბოსტონში) სულ 15 138 ოპერაცია. ცოცხალი დონორებისგან გადანერგილი ორგანოთი ერთ წელიწადზე მეტ ხანს იცოცხლა 97 პროცენტმა, 80 პროცენტმა 10 წელი და მეტიც. გარდაცვლილი დონორების ორგანოთი ერთ წელზე მეტი იცოცხლა 93 პროცენტმა, 10 წელი და მეტი - 64-მა.

**ფილტვები.** (პირველი ოპერაცია 1963 წელს დენვერში) 2015 ოპერაცია.

**გულის აორტა**. (პირველად 1955 წელს ტორონტოში)

**კუჭქვეშა ჯირკვალი**. (პირველად 1968 წელს მინეაპოლისში) 502 ოპერაცია. გარდაცვლილი დონორების ორგანოთი ერთ წელზე მეტი იცოცხლა 87 პროცენტმა, 10 წელი და მეტი - 52-მა.

**კუჭ-ნაწლავის ტრაქტი**. (პირველად 1987 წელს პიტსბურგში) სულ 116 ოპერაცია.

**ძვლის ტვინი.** (პირველად 1968 წელს მინეაპოლისში) მარტო 2002 წელს 6480 ოპერაცია.

**საკვერცხე.** (პირველად 2004 წელს სენტ-ლუისში) გაკეთებულია ერთადერთი ოპერაცია.

**ხელები.** (პირველად 1998 წელს საფრანგეთში, ლიონში) ეს ოპერაციაც მხოლოდ ერთეული შემთხვევა გახლდათ.

უკანასკნელი მონაცემებით, 2003 წელს მსოფლიოში გაკეთდა ადამიანის ორგანოების გადანერგვის 46 436 ოპერაცია.

გადანერგილი ორგანოთი სიცოცხლის ხანგრძლივობის რეკორდსმენი ვირჯინიის შტატის მცხოვრები, სატვირთო მანქანის მძღოლი რობერტ ფილიპსია. 1963 წელს ის თირკმლის მძიმე დაავადებისგან იღუპებოდა, როცა მისმა დამ რუთმა გაზეთში წაიკითხა დენვერში გაკეთებული ოპერაციის შესახებ, რომლის დროსაც შვილს დედის თირკმელი გადაუნერგეს. ის მაშინვე დაუკავშირდა დენვერელ ექიმებს და სთხოვა მისი თირკმელი ავადმყოფი ძმისთვის გადაენერგათ. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის ანალიზის თანახმად, მათ განსხვავებული სისხლის ჯგუფები ჰქონდათ, ექიმები ოპერაციაზე მაინც დათანხმდნენ. ისინი იმედოვნებდნენ, რომ 37 წლის რობერტს სიცოცხლის ორ წელიწადს აჩუქებდნენ, მაგრამ 2 წელი 42-მდე გაგრძელდა. "რეკორდსმენი" ახლაც ცოცხალია. 2000 წელს იგი პენსიაზე ისე გავიდა, რომ ერთი დღეც კი არ უავადმყოფია. ცოტა ხნის წინ მას გულის სამგზის შუნტირება გაუკეთეს და ახლა თავს შესანიშნავად გრძნობს.

უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე ქირურგებმა ადამიანის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ორგანოს გადანერგვა ისწავლეს. ახლა ჯერი კიდურებსა და სახის გადანერგვაზე მიდგა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში 1982 წლიდან გაკეთებულია გულის, თირკმლის, ღვიძლის, ფილტვების, კუჭქვეშა ჯირკვლის და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის 416 457 ოპერაცია.

გაზეთ "ნიუ იორკ თაიმსის" მედიცინის განყოფილების უფროსი, დოქტორი ლოურენს ალტმანი წერს: **"ახლა ქირურგები ორგანოების გადანერგვას დიაბეტით დაავადებულ პაციენტებსაც კი უკეთებენ, რაც ადრე სასტიკად იკრძალებოდა. მეცნიერებმა გააუმჯობესეს გარდაცვლილი დონორების ორგანოების შენახვის ტექნოლოგია, ასევე შექმნეს ძალზე ეფექტური პრეპარატები ორგანოს** ორგანიზმის **მიერ ჩამოშორების თავიდან ასაცილებლად. თუ სულ ცოტა ხნის წინ გადანერგილი ორგანოს** მოშორება **ჩვეულებრივი მოვლენა იყო, ახლა ეს დიდი იშვიათობაა"**.

და, აი, რას ამბობს ტრანსპლანტაციის ქირურგიის ერთ-ერთი პიონერი, ტომას სტარცლი, ექიმი, რომელმაც ოპერაცია გაუკეთა "რეკორდსმენ" ფილიპსს: **"პროგრესი, რომელიც ტრანსპლანტაციამ ნულოვანი ნიშნულიდან დღევანდელ დონემდე განიცადა, ნამდვილად ზღაპრულად გამოიყურება. მაგრამ ეს ფანტაზია რეალობად რომ იქცა, ამაში დიდი წვლილი ჩვენი პაციენტების სიმამაცეს მიუძღვის. 50-იან წლებში ვერც ერთი ჩვენთაგანი ვერ წარმოიდგენდა, რომ ტრანსპლანტაცია ასეთი სიმაღლეების დაპყრობას შეძლებდა და ასე შეცვლიდა მედიცინის სახეს. ტრანსპლანტაციამ საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში შეაღწია, ამის მაგალითად გამოდგება ადამიანის სიკვდილის კრიტერიუმად ტვინის სიკვდილის აღიარება, "ანატომიური საჩუქრების" შესახებ კანონის მიღება და ბიომედიცინის ეთიკის პროგრესი"**. მისივე თქმით, ტრანსპლანტაციის პიონერებს ანტივივისექციონისტების გამალებული თავდასხმების მოგერიება მოუხდათ - ისინი აპროტესტებდნენ ცხოველებზე ექსპერიმენტების ჩატარებას. არადა, ამის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ადამიანის ორგანოების გადანერგვის ტექნიკის დახვეწა. პიონერები სხვა საფრთხის წინაშეც იდგნენ - ნებისმიერ წარუმატებლობას, პროცესი შეიძლებოდა ათწლეულობით უკან დაეწია. უკვე ის ფაქტი, რომ მათ უწევდათ დონორისთვის ჯანმრთელი ორგანოს ამოღება, აიძულებდათ, საყრდენი ეძიათ რელიგიურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ლიდერებს შორის. დოქტორი სტარცლი იხსენებს, როგორ დასცინოდნენ მის მოხსენებებს ტრანსპლანტაციის შესახებ სამეცნიერო სიმპოზიუმებზეც კი.

მოცემულ ეტაპზე ტრანსპლანტაციის მთავარი პრობლემა საოპერაციო ტექნიკა კი არა, ორგანიზმის მიერ გადანერგილი ორგანოს მიუღებლობაა. პირველი ტრანსპლანტაციიდან მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ დაიწყეს ქირურგებმა მიუღებლობის წინააღმდეგ ისეთი პრეპარატების მოხმარება, როგორიც აზატიოპრინი და ციკლოსპორინია. 90-იანი წლების დასაწყისში კი ექიმებმა ყურადღება მიაქციეს ასეთ ფენომენს: ზოგიერთი პაციენტი, მიუხედავად იმისა, რომ რეგულარულად არ იღებდა ამ პრეპარატებს, მიუღებლობის ეფექტს არ განიცდიდა. ამის გამო დოქტორმა სტარლცმა, იმ იმედით, რომ მიუღებლობის თავიდან ასაცილებელი პრეპარატების გარეშეც მოახერხებდა "არსებობას", გადაწყვიტა, წამლებით აღარ გაეტენა თავისი სახელგანთქმული პაციენტი ფილიპსი. ახლა მეცნიერები სწავლობენ, როგორ და როდის იწყებს ადამიანის ორგანიზმი ხელოვნური იმუნოდეპრესანტების ფუნქციის ჩანაცვლებას.

ეს პრეპარატები სახიფათოა შობადობისთვისაც. დაფიქსირებულია 11-დან 30 ათასამდე ბავშვის გაჩენა იმ ქალების მიერ, რომლებსაც ტრანსპლანტაციის ოპერაცია ჩაუტარდათ. ინგლისის ნიუკასლის უნივერსიტეტის პროფესორის, დოქტორ ჯონ დევიდსონის თქმით, ეს ადასტურებს, რომ ტრანსპლანტაცია არ იწვევს უშვილობას. თუმცა, ისიც საგულისხმოა, რომ ამ ბავშვებში ძალზე მაღალია ყოველგვარი გართულებების მაჩვენებელი. სამედიცინო ლიტერატურის თანახმად ტრანსპლანტაციაგადატანილ ქალთა უმრავლესობას ნაადრევი მშობიარობა ჰქონდათ. მათ მიერ გაჩენილი ბავშვების 30 პროცენტი ჰიპერტონიით ავადდებოდა, 30 პროცენტიც სხვადასხვა ინფექციებით. მერე და მერე ამ ბავშვებს საკმაოდ უჭირდათ სწავლა სკოლასა და კოლეჯში. ტრანსპლანტანტების მემკვიდრეობითობაზე საუბრისას სან დიეგოელი მეცნიერი, დოქტორი იანა მაქეი ამბობს: **"ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი რამ არ ვიცით და კიდევ ბევრი რამის შეტყობა მოგვიწევს"**.

სიტყვა "ბევრი" კი გვახსენებს კიდევ ერთ პრობლემას, რომელიც ბოლო ხანებში ძალზე მწვავედ დადგა ტრანსპლანტაციის წინაშე - დონორების დეფიციტი. ერთ-ერთი პიონერი, დოქტორი ჩარლზ კარპენტერი ჩივის: **"ორგანოების გადანერგვა პროგრესირებს, მაგრამ თავად ორგანოების უკმარისობის გამო, ჩვენ არ შეგვიძლია მისი შესაძლებლობების სრულად გამოყენება"**.

როგორც წესი, ამჯობინებენ ახალგაზრდა დონორების ორგანოებს, მაგრამ ხშირად ხანდაზმულებითაც კმაყოფილდებიან. რეკორდი ამ თვალსაზრისით 92 წლის ქალის ღვიძლს ეკუთვნის, რომელიც 62 პაციენტს გადაუნერგეს. ეს ოპერაცია დოქტორმა უილიამ უომმა ლონდონის ჯანდაცვის ცენტრში გააკეთა 1993 წელს. პაციენტმა გადანერგილი ღვიძლით ოთხწელიწადნახევარი იცოცხლა.

ორგანოების დეფიციტი ექიმებსა და პაციენტებს სულ უფრო ხშირად აიძულებთ, ცოცხალ დონორებს მიმართონ და არა ყოველთვის ავადმყოფების ნათესავებს. ამგვარად, 2001 წელს ცოცხალი დონორებისგან გადანერგილი თირკმლების რაოდენობამ, გარდაცვლილი დონორებისას გადააჭარბა. მიუხედავად ამისა, დეფიციტი ამოუწურავია. ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში 10 103-მა ადამიანმა გაიღო თავისი თირკმელი ტრანსპლანტაციისთვის, მაგრამ რიგში კიდევ 87 292 პაციენტი დგას. დეფიციტს კიდევ უფრო აღრმავებს ის, რომ ბევრ ავადმყოფს ერთის კი არა, რამდენიმე ორგანოს გადანერგვას ჭირდება. დეფიციტში თავისი "წვლილი" შეაქვს იმ ფაქტს, რომ ცოცხალი დონორების ორგანოები გაცილებით "სიცოცხლისუნარიანია".

საბედისწერო დეფიციტს მრავალი მიმართულებით ებრძვიან. ერთ-ერთი ყველაზე სტრატეგიული მიმართულება ამ ბრძოლისა საერთოდ, ჯანმრთელობის ხარისხის გაუმჯობესება გახლავთ - მაგალითად, პრევენტული ზომები C ჰეპატიტისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ მნიშვნელოვნად ამცირებს ტრანსპლანტაციის საჭიროების აუცილებლობას. მეორე მიმართულება გახლავთ ავადმყოფისთვის აუცილებელი ორგანოს მიხედვით უჯრედების ლაბორატორიულ პირობებში გამოყვანა. დაბოლოს, მეცნიერები ცდილობენ ტრანსპლანტაციისთვის ცხოველების ორგანოების გამოყენებას. ამ შემთხვევაში ადამიანის საუკეთესო მეგობარი ძაღლი კი არა, ღორი გამოდგა. ბსოტონის მასაჩუსეტსის უნივერსიტეტში მეცნიერების ჯგუფი, რომელსაც დოქტორი დევიდ საქსი ხელმძღვანელობს, ღორის ორგანოებზე ექსპერიმენტებს ატარებს. გამოკვლევებისას, ღორის ორგანოები ადვილად გადაენერგათ სხვა ცხოველებს, თანაც იმუნოსაპრესიული პრეპარატების გამოყენების გარეშე. დოქტორი საქსი ფრთხილად გამოთქვამს ვარაუდს, რომ ქსენოტრანსპლანტაცია - ადამიანი-ღორი - შესაძლოა, 21-ე საუკუნის პირველივე ათწლეულში გაკეთდეს.

ტრანსპლანტაციაზე საუბრისას დოქტორმა სტარცლმა ერთხელ თქვა: **"რამდენად მდიდარი იქნებოდა ჩვენი სამყარო, მოცარტისთვის თირკმლის ტრანსპლანტაცია რომ გაეკეთებინათ და 34 წლის ასაკში თირკმლის უკმარისობისგან არ გარდაცვლილიყო"**.

სამწუხაროდ, მათ შორის, ვინც ტრანსპლანტაციამ გადაარჩინა, მოცარტის მსგავსი არავინ ყოფილა. სამაგიეროდ, სპორტსმენმა-სნოუბორდისტმა ქრის ქლიუგმა 2002 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, კალათბურთელი ალონზო მორნინგი კი დღესაც თამაშობს NBA-ში. მაგრამ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ თითოეული ადამიანის სიცოცხლე ძვირფასია, მიუხედავად იმისა, დაწერა თუ არა მან "დონ ჟუანი" ან დაამყარა თუ არა ოლიმპიური რეკორდი. ტრანსპლანტაციის საშუალებით კი მეცნიერება თავის ვალს იხდის კაცობრიობის წინაშე.

ისარგებლეთ ლაი·ლაი
&
იკითხეთ 24 საათი

1 აქციაში მონაწილეობის მიღება შეუძლია „24 საათი"-ს ყველა მკითხველს

2 შეაგროვეთ სამი ქვემოთ მონიშნული კუპონი და მიიღეთ საჩუქრად ლაი-ლაის სიმ-ბარათი

3 კუპონები ამოჭერით მითითებულ ადგილას და შეაგროვეთ ისე, რომ დაკომპლექტდეს ნუმერაცია 1, 2, 3 (მნიშვნელობა არ აქვს რომელი თარიღის გაზეთიდანაა ამოჭრილი კუპონი).

4 კუპონები წარადგინეთ ჯეოსელის თბილისისა და რეგიონების სარეალიზაციო წერტილებში ან სადილერო ქსელში. თქვენ იხდით 10 ლარს ისევ თქვენი სასაუბრო დროისთვის და იღებთ ლაი-ლაის სრულ სასტარტო პაკეტს (ლაი-ლაის სიმ-ბარათი + 10 ლარის ღირებულების სასაუბრო დრო)

| ქალაქი | მისამართი |
|---|---|
| თბილისი | რუსთაველის გამზ. №38 |
| | კოსტავას №37 |
| | ბაქოს №2 |
| | შეშელიძის №3 |
| | ჯავახეთის №44 |
| | ქ. წამებულის გამზ. №75 |
| | კინოთეატრი "რუსთაველი" |
| | გამსახურდიას გამზ. №24 |
| | რუსთაველის გამზ. №31 |
| | მარჯანიშვილის №19 |
| | წერეთლის გამზ. №141ა |
| | ყაზბეგის გამზ. №41 |
| | მ.კოსტავას №22 |
| | მ.კოსტავას №7 |
| ზესტაფონი | ჭანტურიას № 2 |
| ქუთაისი | თამარ მეფის №25 |
| სამტრედია | რუსთაველის № 27 |
| სენაკი | რუსთაველის № 211 |
| ზუგდიდი | კოსტავას №5ა |
| ხობი | დადიანის № 238 |
| ფოთი | 26 მაისის № 2 |
| ბათუმი | ერას №54/62 |
| ქობულეთი | აღმაშენებლის №135 |
| ოზურგეთი | ჭავჭავაძის № 6 |
| ჩოხატაური | დუმბაძის №7 |
| ლანჩხუთი | თავისუფლების №2 |
| რუსთავი | ხალხთა მეგობრობის №10 |
| მარნეული | რუსთაველის №37 |
| ბოლნისი | ს.-ს. ორბელიანის № 44 |
| თელავი | კოსტავას № 3 |
| ყვარელი | ილია ჭავჭავაძის №64 |
| ლაგოდეხი | 26 მაისის №14 |
| წნორი | სტალინის №11 |
| დედოფლისწყარო | რუსთაველის № 4 |
| მცხეთა | სამხედროს №11 |
| კასპი | სტალინის №98 |
| გორი | სტალინის №15 |
| ცხინვალი | ცელინიკოვის №211/39 |
| ხაშური | რუსთაველის №16 |
| ბორჯომი | რუსთაველის № 121 |
| ახალციხე | ნათენაძის № 76 |
| ახალქალაქი | კლარა ცეტკინის №77 |

24 საათი 3 ლაი·ლაი

აქცია ძალაშია: 2005 წლის 1 თებერვლიდან 1 აპრილამდე.

კუპონების მიღება შესაძლებელია: 2005 წლის 15 აპრილამდე.

სიმ-ბარათის აქტივაციის ბოლო ვადა: 2005 წლის 30 აპრილი.

პაულო კოელიოს სვეტი

# რატომ მედიტაცია? რეალობის აღქმა



(ნაწილი მეორე)

წინა კვირას ჩვენ ლორენს ლეშანის თეორიებს ვეცნობოდით. ავტორი მედიტაციასა და ფიზიკურ გამაჯანსაღებელ ვარჯიშებს ადარებდა ერთმანეთს და ასკვნიდა, რომ შეიძლება ვიღაცას პანტელების აწევაზე ენერგიის ხარჯვა აბსურდულად ეჩვენოს, როგორც ერთ ადგილზე ჯდომა და მიზანის სიცხადე, რომლისთვისაც ჩვენ სხეულის ვარჯიშით მიიღწევა. მედიტაციის შემთხვევაშიც ადამიანის მიზანია არა უბრალოდ მშვიდად ჯდომა და სუნთქვის გაკონტროლება, არამედ რეალობის ახლებურად აღქმა.

მაშინ კი ისმის კითხვა - ნუთუ, ასე აუცილებელია ამ ახლებური ხედვის გახსნა?

ლეშანი აღნიშნავს, რომ ეს მარტოოდენ ძალიან კომპლექსური საკითხია და ცალსახა პასუხის მოძიებაც - შესაძლებელია, რთულია. ერთი მხრივ, ადამიანს შეუძლია წარმატებით იცხოვროს იმ სამყაროში, რომელიც მისთვის ხილულია და რომელსაც კარგად იცნობს. მეორე მხრივ, ვერც ისეთი მოღვაწეების მიმართ მალავს ის აღფრთოვანებას, როგორებიც - განდი, დედა ტერეზა, ანდა ბუდა იყვნენ; ანუ მოღვაწეების, რომლებიც ცდილობდნენ, რეალობა სხვა თვალით აღექვათ. ამ მიზნით მათ მიერ გადადგმული ნაბიჯებიც საეტაპო იყო; ისეთი, შემდეგ მთელი კაცობრიობის ბედს რომ ცვლის.

ფიზკულტურაში ასეა - კარგი მწვრთნელი და ინსტრუქტორი ყოველთვის ინდივიდუალურ ვარჯიშებს უნიშნავს თითოეულ კლიენტს. მედიტაციაშიც ერთი ტექნიკა, ერთი მიდგომა არ არსებობს. ყველა, ვინც მედიტაციით დაინტერესდება, საკუთარ მეთოდს უნდა მიაგნოს. თუმცა, იმ რელიგიებსა და კულტურებს, რომლებიც მედიტაციას, როგორც შინაგანი სიმშვიდის მოპოვების გზას აღიარებენ, მაინც აქვთ საერთო ბაზისი. ახლა სწორედ ამ ბაზისური ცოდნის გადმოცემას შევეცდები (თან ისევ ლორენს ლეშანის შესანიშნავ წიგნს "როგორ მივმართოთ მედიტაციას?" დავეყრდნობი).

**პირველი - უნდა დაუახლოვდეთ საკუთარ სუნთქვას.** ყოველ ორ წუთში ერთხელ ჩასუნთქვა-ამოსუნთქვის რაოდენობის დათვლა გვეხმარება, ყურადღება გადავიტანოთ იმაზე, რასაც მანამდე ავტომატურად ვაკეთებდით. ამით კი თანდათან გონებიდან განვდევნით ყოველდღიურ ფიქრებს. შეიძლება, ეს წესი ბევრს ზედმეტად მარტივად ეჩვენოს, მაგრამ ნუ მოგატყუებთ საკითხისადმი მიდგომის პრიმიტიულობა: ყველა, ვინც ამ სავარჯიშოს გაკეთებას შეუდგება, მალევე გაიაზრებს, რომ ეს არც ისე იოლია. სუნთქვის ვარჯიში საკმაოდ დიდ დროსა და მოთმინებას მოითხოვს ჩვენგან. თუმცა, თანდათან, ვარჯიშის პროცესში (ეს კი ყველგან შეგვიძლია, ვაკეთოთ - ძილის წინ, ანდა გზად სამსახურისკენ, ავტობუსში ან მატარებლის ვაგონში), თანდათან გავიცნობთ ჩვენივე პიროვნების უცნობ მხარეებს და თავსაც უკეთ ვიგრძნობთ.

**მეორე - ადგილის შერჩევა.** მეორე ფაზაა, ისეთი მშვიდი კუთხის მოძებნა, სადაც ყოველდღე 10-15 წუთით მაინც განვმარტოვდებით. სწორედ იქ უნდა ვაკონტროლოთ სუნთქვა და ვისხდეთ მშვიდად (ისე, როგორც ძენ-ბუდისტები აკეთებენ). ამ სიმშვიდეში ფიქრები აუცილებლად მოვა, თუნდაც ჩვენგან დამოუკიდებლად, და ამ დროს კარგია, თუ გავიხსენებთ, რას ამბობდა დედა ტერეზა ადამიანის გონების შესახებ: "ველური ცხენი ყველა მხარეს გაიწევს, მაგრამ არა იქეთ - საითაც მხედარს სურს წასვლა".

**მესამე - გონების ჩაჩუმება ძალადობის გარეშე.** ბოლოს, დროთა განმავლობაში (და აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ეტაპის მიღწევას ორ-სამთვიანი წვრთნა მაინც სჭირდება), გონება მთლიანად იცლება, თანაც, თავისით, ბუნებრივად და ყოველდღიური ცხოვრებაც უდრტვინველი, ჰაერივით მსუბუქი და გამჭვირვალე ხდება.

რაც არ უნდა დაუძლეველი გვეჩვენოს პრობლემები, რაც არ უნდა სტრესული -ცხოვრება, ეს 15 წუთი რეალობის ძირფესვიანად შეცვლაში აუცილებლად დაგვეხმარება. მეტიც, შეიძლება, ქვეცნობიერად, მაგრამ მაინც, ამ 15 წუთმა ჩვენს წინაშე არსებული, ერთი შეხედვით, გადაულახავი ბარიერებიც გააქროს.

ძენ-ბუდიზმში არის ერთი ცნობილი იგავი. ლაო შე ეკითხება თავის ოსტატს, ვანგ ტეის:

"რა უნდა გავაკეთო იმისთვის, რომ ღმერთს უფრო დავუახლოვდე?"

ვანგ ტეიმ სთხოვა, მთის მწვერვალისკენ გაჰყოლოდა. უკვე ზევით იყვნენ ასულები, როცა ტეიმ ჯიბიდან სანთელი ამოიღო და შეგირდს გაუწოდა, აანთეო. ლაო შემ რამდენჯერმე სცადა, მაგრამ ამაოდ.

"ქარი ქრის, ვერ ვანთებ".

"მაგრამ აქედან ერთ მილზე ქარი აღარ იქნება".

"მერედა, რა გამოვიდა? ერთი მილი უნდა ვიარო იმისთვის, რომ უქარო ადგილს მივაგნო და სანთელი ავანთო?"

"ზუსტად ასევე ხდება ღმერთთან მიმართებაშიც. თუ გინდა, ღვთიური ცეცხლი დაამკვიდრო შენს სულში, თუ გინდა განათლდე, იმდენი უნდა იარო და იმდენი უნდა ეძიო, სანამ მშვიდ ადგილს არ იპოვი" - უპასუხა ვანგ ტეიმ.

ასე რომ, სხვადასხვა სიტუაციებს ხშირად ერთი და იგივე ჭეშმარიტება მიესადაგება ხოლმე: არ აქვს მნიშვნელობა ღმერთს ეძებ, თუ საკუთარ თავს, თუ ამას მედიტაციის გზით აკეთებ, აუცილებლად იპოვი მშვიდ კუთხეს, სადაც განმარტოვდები და სამყაროს სულ სხვა თვალით შეიცნობ.

*ქართულად გამოცემულია პაულო კოელიოს საერთაშორისო ბესტსელერები: "თერთმეტი წუთი", "ალქიმიკოსი", "რიო-პედრას ნაპირას ჩამოვჯექი და ავტირდი" და "ვერონიკამ სიკვდილი გადაწყვიტა". იკითხეთ წიგნის მაღაზიებში.*

ინფოთეკა

### ბრიჯს ოპერაცია გაუკეთეს

ლონდონის "ჩელსის" ხელმძღვანელობა ადასტურებს, რომ კვირას "ნიუკასლის" წინააღმდეგ თამაშის დროს ტრავმირებულ უეინ ბრიჯს ოპერაცია გაუკეთეს.

ფეხბურთელმა მატჩის მეორე ტაიმში ალან შირერთან შეჯახების დროს ფეხის ტრავმა მიიღო. იგი მოედნიდან გაიყვანეს, მაგრამ თამაშის გაგრძელება ვეღარ მოახერხა. მალევე წაიყვანეს საავადმყოფოში.

სხვათა შორის, ბრიჯს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები სეზონის დასაწყისშივე ჰქონდა. თუმცა, გასულ თვეს მან ძირითად შემადგენლობაში საკუთარი ადგილის დაბრუნება მოახერხა.

### "არსენალი" საშინელ ფორმაშია

ლონდონის "არსენალის" მთავარი მწვრთნელის არსენ ვენგერის აზრით, მისმა გუნდმა ჩემპიონთა ლიგაში შვიდი წლის მონაწილეობის მანძილზე ყველაზე საშინელი მატჩი ჩაატარა "ბავარიასთან" (ლონდონელები დამარცხდნენ 1:3). ბოლო წუთზე კოლო ტურეს მიერ გატანილმა გოლმა მათ რაღაც შანსი მაინც დაუტოვა.

"ჩემი აზრით, საშინელ ფორმაში ვართ - ეს ჩვენთვის ყველაზე წარუმატებელი მატჩი იყო. ერთადერთი დადებითი ფაქტორი ის გახლავთ, რომ ჯერ კიდევ ტურნირის ფარგლებში ვრჩებით, თუმცა, ამას ნამდვილად არ ვიმსახურებთ," - განაცხადა ვენგერმა.

### სალგადომ, შეიძლება, ვეღარ ითამაშოს

მადრიდის "რეალის" ფეხბურთელმა მიჩელ სალგადომ, რომელმაც ტურინის "იუვენტუსის" წინააღმდეგ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური მატჩის დროს ტრავმა მიიღო, შეიძლება ორი თვე ვეღარ ითამაშოს.

შეგახსენებთ, რომ სალგადომ იტალიური კლუბის ფეხბურთელ პაველ ნედვედთან შეჯახების დროს მიიღო მუხლის ტრავმა პირველი ტაიმის მესამე წუთზე. ექვსი წუთის შემდეგ კი ტრავმირებულმა ფეხბურთელმა მოედანი დატოვა.

ესპანური გამოცემის "Marca"-ს ცნობით, სალგადო ალბათ აპრილამდე ვერ მოახერხებს ფორმაში ჩადგომას. არც ისაა გამორიცხული, რომ მან ეს სეზონი საერთოდ ვეღარ ითამაშოს.

### "ნიუკასლის" მწვრთნელის სურვილები

"ნიუკასლის" მთავარი მწვრთნელი გრემ სუნესი სეზონის დასასრულამდე აპირებს, მადრიდის "რეალს" მაიკლ ოუენში 20 მილიონი გირვანქა სტერლინგი შესთავაზოს. სუნესი ინგლისის ნაკრების ფორვარდს კრეიგ ბელამის შემცვლელად მოიაზრებს. გარდა ამისა, მისივე თქმით, ზაფხულში სამიდან ხუთამდე ახალი ფეხბურთელის შეძენა აქვს გადაწყვეტილი.

სხვათა შორის, სუნესი იმედოვნებს, რომ კლუბის თავდამხმელი ალან შირერი ფეხბურთიდან წასვლის გადაწყვეტილებას შეცვლის და მათთან დარჩება.

"მინდა, რომ შირერმა, სულ ცოტა, ერთი წელი კიდევ ითამაშოს. ვერ წარმომიდგენია, რომ ალანი ასე უბრალოდ წავა და ჯეკი მილბერნის რეკორდს არ მოხსნის," - განაცხადა მწვრთნელმა.

"როიტერსის" ცნობით, 34 წლის ალან შირერი, რომელსაც "ნიუკასლის" შემადგენლობაში სხვადასხვა ტურნირში 187 გოლი აქვს გატანილი, მილბერნს მხოლოდ 13 ბურთით ჩამორჩება.

### რონალდინიოს ყველაფრის მოგება უნდა

ესპანეთის "ბარსელონას" ლიდერმა რონალდინიომ "როიტერსთან" ინტერვიუში თავის მომავალ გეგმებზე ისაუბრა. "ყველაფრის მოგება მინდა: ესპანეთის ჩემპიონატის, ჩემპიონთა ლიგის, "ფიფას წლის ფეხბურთელის" ჯილდოს და "ოქროს ბურთის", - 24 წლის ფეხბურთელმა გაამხილა თავისი მიზნები, რომელთაგან პირველი ორი კატალონიური გუნდისას ემთხვევა. "ვიცი, რომ ეს ადვილი არ იქნება. თუმცა, ჯერჯერობით მეც და ჩემი გუნდიც სწორი გზით მივდივართ".

"ჩელსისთან" გასამართ ჩემპიონთა ლიგის მატჩზე საუბრისას, რონალდინიომ აღნიშნა: "ბარსელონა" დიდებული გუნდია. ასეთივეა "ჩელსიც". თუმცა, არ ვეთანხმები იმათ, ვინც ამბობს, რომ ჩვენი შეხვედრა ვადაზე ადრინდელი ფინალია. ტურნირში მრავლადაა სხვა ძლიერი მოწინააღმდეგე გუნდიც, იქნებ "ჩელსიზე" უფრო ძლიერებიც კი".

# ვერისბაღელები



## მეტი ყურადღება ბავშვთა ფეხბურთს

რუბრიკას უძღვება
ნინო სვანიძე

*რუბრიკის სტუმრები არიან ვახო ცხადაძე და პაატა ყუფარაძე - შუა თაობის ვერისბაღელები; საუბრის თემა - ისევ ბაღის ნოსტალგია და ქართული ფეხბურთის ავ-კარგი; მომავალი ფეხბურთელების აღზრდაზე მსჯელობა.*

**ვახო ცხადაძე:**"მინდა, გავიხსენო, როგორ მოვხვდი ამ ბაღში. ვერის ბაღის შესახებ გაგონილი მქონდა, მაგრამ იმ დროს მე კალათბურთს ვთამაშობდი და, ეტყობა, არ მეცალა; მერე რაღაც მცირე დროით (ვერის ბაღში რაღაც მშენებლობა მიმდინარეობდა) იქაურებმა ოპერის ბაღში დაიწყეს შეკრება; მე ერთი გოგო მომწონდა, რომელიც რუსთაველზე ცხოვრობდა და იმას რომ მივაცილებდი, ოპერის ბაღში შევივლიდი ხოლმე. იქ შეკრებილებიდან ზოგიერთს კარგად ვიცნობდი, ზოგსაც - შორიდან; თანდათან ისე მომეწონა იქაურობა, რომ მერე ვერაზე რომ დაბრუნდნენ, იქ უკვე საგანგებოდ მივდიოდი; თანაც ჩვენს ახალგაზრდობაში თავშეყრის ადგილები საერთოდ არ არსებობდა, მით უმეტეს - ასეთი; ეგრეთ წოდებულ ძირითად შემადგენლობაში ისე ადვილად კი ვერ მოხვდებოდი - თავიდან დამკვირვებელი უნდა ყოფილიყავი, მერე, თუ დაიმსახურებდი, შენც მოგისმენდნენ"...

**პაატა ყუფარაძე:**"აბა რა! იქ ისეთი საინტერესო და განათლებულ ადამიანებს შორის იმართებოდა კამათები, რამე ჭკვიანური თუ არ გქონდა სათქმელი, შენ თვითონ მოგერიდებოდა ადამიანს; პირველად იმათ რომ მოვუსმინე, ინტერესისგან თვალები გამიფართოვდა. პრინციპში, დროთა განმავლობაში ეს ხალხი აღმოჩნდა ქართული ინტელექტუალური ელიტა - რეზო გაბრიაძე დადიოდა, ძმები ბერძენიშვილები, ზურაბ სოტკილავა და, რა მოთვლის - უამრავი საინტერესო ადამიანი... ისეთი არგუმენტები მოჰყავდათ და ისეთ ავტორებს ასახელებდნენ, უმეცარი კაცი ვერაფერს გახდებოდა. თანაც ფეხბურთი პირველი ნაწილი იყო; მოგვიანებით, შემთხვევითი ხალხი რომ გაიკრიბებოდა, უფრო საინტერესო საუბრები იმართებოდა. მე, პირადად, წიგნის კითხვა ყოველთვის მიყვარდა, მაგრამ ვერის ბაღში სიარული რომ დავიწყე, გაცილებით მეტის წაკითხვა მომინდა"...

**ვახო ცხადაძე:**"ახალბედები თავიდან კითხვების დასმით ვიწყებდით, ოღონდ კითხვაც ჭკვიანური უნდა დაგვესვა; მერე ნელნელა აზრსაც გკითხავდნენ. მე, საერთოდ, კომუნიკაბელური, უშუალო ადამიანი ვარ, ალბათ იუმორის გრძნობაც დამეხმარა და, თითქოს, არ გამიჭირდა ეს პროცესი - რამდენიმე ხანში გოგი დემეტრაძემ გამოაცხადა, - ვახო ცხადაძე მიღებულიაო. თქვენ იცინეთ და, ბაღის ძირითად შემადგენლობაში ჩარიცხვა სამედიცინო ინსტიტუტში მოხვედრას უდრიდა. მოკლედ, მე მალევე გამიმართლა".

**პაატა ყუფარაძე:**"ერთ ძველ ვერისბაღელს ვიღაც ახალმოსულმა კამათი დაუწყო. მერამდენედ ხარ ბაღშიო, - ჰკითხა ძველმა ბაღელმა. მეორედ მოვედიო,- უპასუხა იმან. მე ათი წელია, აქ დავდივარ და სად გელოდო ახლა მე შენო,- და აღარ გაუგრძელა კამათი.

ფეხბურთშიც სრულიად გამორჩეული და ორიგინალური გემოვნება ჰქონდათ ბაღელებს. ჯერ ერთი, ყველაფრის საქმის კურსში ვიყავით. 12-15 წლის ასაკიდან ვადევნებით თვალს მომავალ ფეხბურთელებს - ზეპირად ვიცოდით, ვის როგორი დარტყმა ჰქონდა, ვინ როგორ დარბოდა.

ძირითადად, გურმანები ვიყავით - სანახაობა გვიზიდავდა. თუმცა, რეზულტატისტებიც გვყავდა. მაგალითად, ლევან ჭაჭიაშვილს შეეძლო ეთქვა ვინმე სახელგანთქმულ ფეხბურთელზე, - არ მომწონს, მე მაგ ფეხბურთელს მოედანზე ვერ ვხედავ, მხოლოდ ტაბლოზე ვხედავო; რაზეც გოგი დემეტრაძეს სულ ერთი პასუხი ჰქონდა, - "აუ, როგორ მიყვარს ტაბლო"?!

**ვახო ცხადაძე:**"ერთი სიტყვით, ბაღი ჩვენთვის გატაცებაზე მეტი იყო; ხომ აქვს ყველას რაღაც გატაცება - ზოგი ნადირობს, ვიღაც თევზაობს... ერთხელ გადავწყვიტეთ, - ჩვენც ხომ არ გვენადირათქო (მეგობარი გვყავდა, ბაღელი,ნამდვილი არისტოკრატი - ბახვა ჯაყელი, რომელიც სულ ნადირობდა); ლევან ჭაჭიაშვილმა თქვა, - არა, ბატონო, ჩვენ ეგ საქმე არ გამოგვივა; მონადირეები დილის ხუთ საათზე იწყებენ ნადირობას, ჩვენ კიდევ ოთხზე ვიძინებთო"...

**პაატა ყუფარაძე:**"აბა! რა უნდა მოხდეს ახლა, რომ ღამის თერთმეტ და ზოგჯერ პირველ საათზეც სახლიდან გავიდე და დილის ოთხ საათამდე იქ დავრჩე. თავიდან არც ჩვენი ოჯახის წევრები იჯერებდნენ, რომ ამდენი ახირებული კაცი ღამით სადღაც ბაღში იკრიბება და ლაპარაკში ათენებს ღამეებს; როცა ღამე მანქანა გამოგყავს, მიდიხარ ფხიზელი და დილის ხუთ საათზე ისევ ფხიზელი ბრუნდები, როგორ გინდა, ცოლი დაარწმუნო, რომ კარგ საქმეზე დადიხარ; იყო ცოლების ეჭვიანობაც, ბუჩქებიდან ჩუმი დაზვერვებიც. ერთი-ორმა ცოლმა ღამით მეგობრებიც კი მოიყვანა დასარწმუნებლად, - აი, ბატონო, რო არ გჯერათ, ჩემი ქმარი ღამ-ღამობით ნამდვილად აქ დადისო"...

**ვახო ცხადაძე:**"მერე ოჯახებითაც ვმეგობრობდით - ცოლებით, შვილებით...

ბაღში გვიან ცოტანი რომ დავრჩებოდით, გვიქეიფია კიდეც. იქვე ახლოს ცხოვრობდა "კუდა" - ჩემპიონი იყო მაგიდის ჩოგბურთში - ისეთი საჭმელები გადმოქონდა სახლიდან, ადრე გასინჯულიც არ გვქონდა; თან - უგემრიელესი"...

**პაატა ყუფარაძე:**"და რამდენს იქვე სკამზე ჩასძინებია; სერიოზული ხალხი იყო - იღლებოდნენ დღის განმავლობაში, მაგრამ იქაურობა არ ეთმობოდათ და სკამზე თვლემა ერჩივნათ სახლში ნასვლას... მეც, იცით, როგორ მენატრება იქაურობა?! - ეს იყო ჩემი ცხოვრების ყველაზე ნათელი პერიოდი. ყველა ეროვნების ადამიანი დადიოდა - რუსები, ებრაელები, სომხები, ოსები; და ყველანი თბილისელები ვიყავით - არ არსებობდა არავითარი ეროვნული მიკერძოება. რა ვიცი, ასეთი ფენომენი, ალბათ, აღარ განმეორდება"...

**ვახო ცხადაძე:**"რატომ, იქნებ დროთა განმავლობაში გაჩნდეს კიდევ რაიმე ახალი, მსგავსი"?!

**პაატა ყუფარაძე:**"იყო რაღაც მცდელობა, ვითომ იმ ბაღის იდილიის აღსადგენად; ადგილიცაა გამოყოფილი ვერის ბაღში შენობისთვის, მაგრამ დამფინანსებელი არავინაა"...

**ვახო ცხადაძე:**"ახლა ფული ისეთ ადამიანებს აქვთ, ვისაც ეგ სულ არ აინტერესებს"...

**პაატა ყუფარაძე:**"თანაც ყველაფერს თავისი ასაკი აქვს, ხომ იცით; ბაღელებიდან ბევრი ძალიან საყვარელი ადამიანი წავიდა, ბევრი მოხუცდა, პატარა ბიჭები აღარც ჩვენ ვართ, ასე რომ"...

**ვახო ცხადაძე:**"ფეხბურთი, ფეხბურთი რომ აღარ არის, თითქმის"?!...

**პაატა ყუფარაძე:**"არა, ამ ეროვნულ ჩემპიონატს მე ვერ ვუყურებ, არ შემიძლია. მე ფეხბურთის გურმანი ვარ და ამ კლასის ფეხბურთი აღარ მაინტერესებს, რა ვქნა. იმ დროს საკავშირო თამაშებით იმაღლებდნენ ფეხბურთელები კლასს. საერთაშორისო შეხვედრებს ამხანაგური ერქვა, მაგრამ ნაკრებების დონეზე შეხვედრა უკვე სხვა პასუხისმგებლობა იყო და სანახაობაც. ჰოდა, კარუზოს მოსმენას რომ მიეჩვევი, მოუსმენ იმის მერე ვიღაც უსმენოს?!

ქართულ ფეხბურთს რა ეშველებაო, - რომ ამბობენ; ჯერ საქართველოს უნდა ეშველოს. ისე, ჩემი აზრით, საქართველოს ოდესმე რამე ეშველება, ალბათ - მაგრამ, თვითონ საქართველოს ჩემპიონატი მაღალი რანგის ვერასოდეს იქნება. შეიძლება მოვიდეს ერთი პლეადა ნიჭიერი ფეხბურთელებისა, რომლებიც ძლიერ ნაკრებს შექმნიან. აქ ნიჭიერი ფეხბურთელი რომ გამოჩნდება, აუცილებლად უცხოეთში უნდა წავიდეს და იქ გაიზარდოს; აბა, აქ სტადიონზე ორასი კაცის მეტი რომ არ მივა, ასეთ ვითარებაში რანაირად გაიზრდება. ახლა ხომ ხელფასს სახელმწიფო აღარ იძლევა, ყველაფერი სტადიონის გავსებაზე, რეკლამაზე, ფინანსებზეა დამოკიდებული. ასე რომ, საკლუბო ფეხბურთის პერსპექტივა ჩვენში ძალიან ულიმღამოა"...

**ვახო ცხადაძე:** "ჰო, ბევრი და ძლიერი კლუბი აქ, ალბათ, არასოდეს იქნება - ძალიან პატარა ქვეყანაა. ჩვენში კი არა, ჩვენსავით პატარა და გაცილებით წარმატებულ ქვეყნებში - დანიაში, შვედეთში არ არსებობს მაღალი კლასის საკლუბო ფეხბურთი"...

**პაატა ყუფარაძე:** "შეიძლება ოდესმე ნაკრები გაკეთდეს - მაგალითად, როგორც პორტუგალიის, ჰოლანდიის. ეს შეთამაშება რომ აუჩემებიათ - მაღალი კლასის ფეხბურთელებს მართლა დიდი დრო კი არ სჭირდებათ შესათამაშებლად - უცბადვე ერგებიან ერთმანეთს; ეს ყველაფერი არაპროფესიონალების პრობლემაა"...

**ვახო ცხადაძე:** "ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანი როლი აკისრია იმ ხალხს, ვინც მომავალ თაობას ზრდის. მეტი პროფესიონალიზმი ჰმართებთ. ბავშვის ფიზიკური მომზადების ცოდნაც ხომ ძალიან სპეციფიკურია"...

**პაატა ყუფარაძე:**"მახსოვს, ზურიკო მაისურაძე ბავშვებს რომ ავარჯიშებდა, ბაღელებმა ურჩიეს, პატარებს თავით თამაში ფრენბურთის ბურთით ასწავლე - მსუბუქია და თავიდან ასე უკეთესიაო. როგორც ვიცი, ზურას ძალიან გამოადგა ის რჩევა. ჩვენ დილეტანტები ვიყავით, მაგრამ ჩვენებურად ვზრუნავდით და გული შეგვტკიოდა. ასეთი მზრუნველობა და, რასაკვირველია, პროფესიონალიზმი მწვრთნელებსაც არ აწყენდათ. არადა, ბავშვთა ფეხბურთში უმეტესად შემთხვევითი ხალხია მისული. მშობლებს რამე გამოსძალონ, იმაზე არიან გამეცადინებულები; ან გაყიდონ ვინმე - თან ჩარეული ჰყავთ ამ საქმეში შავი სამყარო და ათასგვარი სიბინძურე ტრიალებს. არ არსებობს სწორი აღზრდა.ზოგიერთი ისეთი დაბალი დონის მწვრთნელია, იმან სულ რომ არ ასწავლოს, უკეთესია; იმიტომ, რომ მერე ბავშვი კარგი მწვრთნელის ხელში რომ მოხვდება, ვიდრე კარგად ასწავლის, ჯერ ის ცუდად ნასწავლი უნდა დაავიწყოს".

**ვახო ცხადაძე:**"არადა, ძველად მწვრთნელები, განსაკუთრებით პატარა თაობის, შეწირული ხალხი იყო - ვოვა ელოშვილი, კარლო ხურციძე და სხვები...

მშობლებიც ბევრს სცოდავენ - შეიძლება საკუთარ შვილზე ფსონის დადება"?!

**პაატა ყუფარაძე:** "ყველას კახა კალაძისნაირი კონტრაქტი უნდა - ნაკლებზე თანახმა არ არიან. ობიექტურად ვერ აფასებენ საკუთარი შვილის შესაძლებლობებს. ვარსკვლავობა უნდა ყველას. ნუ იქნება ვარსკვლავი - იყოს შენი შვილი ჯანმრთელი და სოციალურად უზრუნველყოფილი, ცუდია?! ეს ვარსკვლავობა ღმერთისგან არის - გაკოცებს ღმერთი და იქნები შევჩენკო, არა და - გამოხვალ ხასაია".

ჭადრაკი

## ფიდე თბილისში

ბიბი ბურასაშვილი

როდესაც გურამ აზსანძე ქართული საჭადრაკო სამყაროს ხელმძღვანელად აირჩიეს, სამომავლო გეგმებში ახლად არჩეული პრეზიდენტი საქართველოში მნიშვნელოვანი საერთაშორისო ტურნირების ჩატარებაზეც ამახვილებდა ყურადღებას. თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ თბილისი ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის (ფიდე) ლამის ყველა ხელმძღვანელ პირს უმასპინძლებს, მისივე პრეზიდენტის კირსან ილუმჟინოვის მეთაურობით. მაღალჩინოსანთა სტუმრობა საქმიანი ხასიათისაა, უმთავრესი მიზანი კი ფიდეს საპრეზიდენტო საბჭოს სხდომაა, რომლის დღის წესრიგიც საკმაოდ გადატვირთული და მრავალფეროვანია, თუმცა, საინტერესო მათთვის, ვისაც საჭადრაკო სამყაროს შიდა სამზარეულო აინტერესებს. უთუოდ ხაზგასასმელია ის, რომ ამგვარი სხდომა საქართველოში პირველად ტარდება (25-28 თებერვალი).

ქართულ მხარეს დიდი სურვილი აქვს, საქართველოში გაიხსნას ჭადრაკის საერთაშორისო აკადემია, რომლის დარიც მხოლოდ ბერლინსა და სინგაპურშია.

გუშინ, როდესაც ვერის ბაღში ნონა გაფრინდაშვილის სახელობის ჭადრაკის სასახლეს ვეწვიეთ, ფედერაციის პრეზიდენტმა გურამ აზსანძემ და ვიცე-პრეზიდენტმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა სწორედ ფიდეს საპრეზიდენტო საბჭოს სხდომის დღის წესრიგი გაგვაცნეს. ისიც შევიტყვეთ, რომ საბჭოს სხდომაზე აირჩევენ ფედერაციის გენერალურ მდივანს, იმსჯელებენ მსოფლიო ჭადრაკის გაერთიანების საკითხზე, რაც დღეს ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანია. ჭადრაკის გულშემატკივართათვის უცხოა არაა ის, რომ მსოფლიო საჭადრაკო სამყარო ორადაა გაყოფილი. და კიდევ, რაც ასევე ძალზე მნიშვნელოვანია, ამ შემთხვევაში ჩვენთვის, განიხილავენ ზურაბ აზმაიფარაშვილის სასამართლოს საკითხსაც, რომელსაც ესპანეთში მომხდარ ინციდენტთან მივყავართ.

დღის წესრიგში კიდევ არაერთი საკითხია, მათ შორის ერთ-ერთი ახალგაზრდებს შორის 2005 წლის ბელფორის მსოფლიოს ჩემპიონატიდან მოწვევასაც ეთმობა. მსოფლიო ჩემპიონატზე იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ გუშინვე დასრულდა 14 წლამდელ გოგონათა და ვაჟთა საქართველოს ჩემპიონატი, რომლის შედეგებიც პირდაპირ კავშირშია საფრანგეთში, ბელფორში (18-30 ივლისი) გასამართ მსოფლიო ჩემპიონატთან (ახალგაზრდებს შორის) და სერბეთში, ბუდვაში (13-24 სექტემბერი) გასამართ ევროპის ჩემპიონატთან.

საქართველოს ჩემპიონები ეუფლებიან მსოფლიო ჩემპიონატის საგზურს, ხოლო მეორე ადგილზე გასულები - ევროპის ჩემპიონატისას. ვაჟებს შორის შარშანდელი ევროპის ჩემპიონატის პრიზიორებს ლუკა პაიჭაძესა და დავით ბენიძეს იმავე შედეგებით უკვე განაღდებული აქვთ სერბეთში გასამგზავრებელი საგზურები (მაგრამ არა მსოფლიო ჩემპიონატისა).

სხვათა შორის, საქართველოს ჩემპიონატის გამარჯვებულებს უფლება აქვთ, თავად აირჩიონ ერთ-ერთი საგზური - ევროპის ან მსოფლიო ჩემპიონატისა. ანუ საქართველოს ჩემპიონს შეეძლება მსოფლიო საგზური მეორე ადგილზე გასულს გაუცვალოს, თუ, რა თქმა უნდა, ამას ისურვებს. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მოჭადრაკე საგზურს არ გამოიყენებს, იგი ავტომატურად გადაეცემა მომდევნო ადგილზე გასულს.

ტურნირი შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად ტარდებოდა. მასში 34 გოგონა და 80-მდე ვაჟი მონაწილეობდა.

ინფოთეკა

### კუსტურიცა მარადონაზე ფილმს გადაიღებს

მსოფლიოში ცნობილი კინორეჟისორი ემირ კუსტურიცა მარტის შუა რიცხვებში ლეგენდარულ არგენტინელ ფეხბურთელ დიეგო მარადონაზე სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის გადაღებას გეგმავს. გადაღებები 16 მარტს დაიწყება ბუენოს-აირესში, გაგრძელდება ნეაპოლში, ბარსელონასა და კუბაში.

"კონცეპტუალურად ეს საკმაოდ რთული ფილმი იქნება. ფილმის ძირითადი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ მაყურებელს აუხსნას, რატომ ვერ მიაღწია დიდმა ფეხბურთელმა თავისი ცხოვრების მთავარ მიზანს - ოჯახურ ჰარმონიას," - განაცხადა კუსტურიცამ.

რეჟისორის თქმით, გადაღებები სამ ან ოთხ ეტაპად გაიმართება.

### "მანჩესტერ იუნაიტედის" მეკარე წასვლას აპირებს

გაზეთ "სანის" ცნობით, "მანჩესტერ იუნაიტედის" ძირითადმა მეკარემ როი კეროლმა კლუბთან ახალი კონტრაქტის დადებაზე უარი განაცხადა. ამის გამო ვარაუდობენ, რომ კეროლი კლუბს ზაფხულში დატოვებს.

### "არსენალის" აპელაცია არ დააკმაყოფილეს

ინგლისის თასის შეხვედრაში "შეფილდ იუნაიტედის" წინააღმდეგ მატჩის არბიტრმა მინდვრიდან გააძევა ლონდონის "არსენალის" ჰოლანდიელი ფორვარდი დენის ბერგკამპი. ამის გამო კლუბმა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციაში აპელაცია შეიტანა. ახლახან ცნობილი გახდა, რომ ლონდონელთა აპელაცია არ დააკმაყოფილეს და მსაჯის გადაწყვეტილება ძალაში დარჩა.

ცნობილია, რომ ამ დავიდარაბის ნამდვილი მიზეზი ესპანელი ხოსე ანტონიო რეიესი იყო. ეს ვიდეომასალამაც დაადასტურა. თუმცა, ამის მიუხედავად, ასოციაციამ მსაჯის ვერდიქტი ძალაში დატოვა და დისკვალიფიკაციის ვადაც დაადგინა. დენის ბერგკამპი თავის გუნდს მომდევნო სამ შეხვედრაში ვერ დაეხმარება.

### ისლანდია ფიშერისთვის იბრძვის

ისლანდიის საიმიგრაციო სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება, მსოფლიოს ექსჩემპიონს ჭადრაკში ამერიკელ ბობი ფიშერს მისცეს "პასპორტი უცხოელი მოქალაქეებისთვის". უახლესი ინფორმაციით, ეს დოკუმენტი 61 წლის ფიშერს საშუალებას მისცემს, დაუბრკოლებლად გადაადგილდეს შენგენის ზონაში, მაგრამ აშშ-ში მას გზა მოჭრილი აქვს.

1972 წელს სწორედ ისლანდიაში ბობი ფიშერმა დაამარცხა საბჭოთა მოჭადრაკე ბორის სპასკი და მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ამიტომ ამ ჩრდილოევროპულ ქვეყანაში ფიშერს ბევრი მომხრე ჰყავს. ფიშერის საკითხში ეს დიდი შემოტრიალება მას შემდეგ მოხდა, რაც გასულ კვირას ისლანდიის პარლამენტმა უარყო 61 წლის დიდოსტატის მომხრეთა თხოვნა, მოჭადრაკისთვის ისლანდიის მოქალაქეობა მიენიჭებინა. როგორც საპარლამენტო კომიტეტის წარმომადგენელმა გუდრუნ ოგმუნდსდოტირმა განმარტა, ასეთი გადაწყვეტილებები წელიწადში მხოლოდ ორჯერ - დეკემბერსა და აპრილში მიიღება.

დოკუმენტები, რომლებიც უკვე მზად არის, გაიგზავნება იაპონიაში, ქალაქ უსიკუში, არალეგალური იმიგრანტებისთვის განკუთვნილ ციხეში, სადაც ამჟამად ფიშერი იმყოფება.

ფიშერი იაპონიის საერთაშორისო აეროპორტში შარშან, 13 ივლისს დააკავეს. მან აეროპორტის თანამშრომლებს წარუდგინა პასპორტი, რომელიც ამერიკული ხელისუფლების მიერ ანულირებული იყო. მას შემდეგ აშშ-ის მთავრობა ფიშერის გადაცემას ითხოვს. სამშობლოში ფიშერს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება ყოფილი იუგოსლავიის მიმართ სანქციების კანონის დარღვევის გამო.

1992 წელს ფიშერმა ბელგრადში საჭადრაკო მატჩი გამართა სპასკისთან და ამ საქმეში 3,3 მილიონი დოლარი მიიღო. ამერიკელებმა ეს საქციელი უკანონო ქმედებად გამოაცხადეს, რადგან იმ პერიოდში იუგოსლავიის მიმართ სანქციები იყო დაწესებული.

უცხოელი მოქალაქეებისთვის საჭირო პასპორტის იაპონიაში გაგზავნა ფიშერს გათავისუფლებაში შეუწყობს ხელს - მიაჩნიათ მოჭადრაკის მხარდამჭერებს. "იაპონიის ხელისუფლებასთან მოჭადრაკის უთანხმოება პირველ რიგში კანონიერი პასპორტის არქონამ განაპირობა," - ამტკიცებენ მსოფლიოს ექსჩემპიონის მხარდამჭერები

ფეხბურთი

# სანამ პლატინი ჩამოვა...

## ფედერაციას ყველა დახმარება აღუდგინეს

მიხეილ აბაიშვილი

გუშინ საბოლოოდ დადასტურდა, რომ მცირე ხნის წინ ფიფას და უეფას მიერ საქართველოსთვის შეწყვეტილი საგრანტო პროგრამები აღდგენილია. ეს განცხადება სფფ-ს პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ ფედერაციის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

ჟორდანიასთან ერთად პრესკონფერენციაში მონაწილეობდნენ სფფ-ს გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია, ვიცე-პრეზიდენტი რომან შოთაძე და ფედერაციის პრესატაშე ლევან სალუქვაძე.

"ვალერი ჩოლარიას პირადი დამსახურებაა, რომ ფიფამ და უეფამ აღგვიდგინეს დაფინანსების ყველა პროგრამა. ბატონი ვალერი სულ ოთხი თვის წინ დაბრუნდა ფედერაციაში. ამ მოკლე დროში მან მოაწესრიგა ურთიერთობები საერთაშორისო საფეხბურთო ორგანიზაციებთან და ფეხბურთის ფედერაციაც ჩვეულ, საქმიან კალაპოტში დააბრუნა. პირადად ჩემთვისაც მოულოდნელი იყო პროგრამა "გოლის" დაფინანსებაში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გათვალისწინება. წინდაწინ იყო ცნობილი, რომ ამ პროგრამით გათვალისწინებულ დაფინანსებას ევროპის არც ერთი ქვეყანა არ მიიღებდა. თუმცა, ჩოლარიას მიერ მომზადებულმა პროექტმა ფიფას შესაბამის კომიტეტში, რომელსაც მიშელ პლატინი უდგას სათავეში, მოწონება დაიმსახურა და საქართველო ევროპის ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც ამ პროექტის ფარგლებში დაფინანსებას მიიღებს. ამის დამადასტურებელი ოფიციალური შეტყობინება ფედერაციაში უკვე მოგვივიდა", - აღნიშნა ჟორდანიამ.

ამ პროექტებზე "24 საათს" არაერთხელ გაუმახვილებია ყურადღება. ამიტომ მოკლედ შეგახსენებთ, რომ ფიფას და უეფას გრანტებით გაგრძელდება საქართველოს მსაჯთა აკადემიის კურსების, მწვრთნელთა ლიცენზირების, რეგიონული ათი ფედერაციისთვის ოფისებისა და ხელოვნურსაფარიანი მინისაფეხბურთო მოედნების მშენებლობის, ეროვნული ნაკრების საწვრთნელი ბაზისთვის ხელოვნურსაფარიანი სტანდარტული მოედნის მშენებლობის დაფინანსება. ფიფას პრეზიდენტის იოზეფ ბლატერისა და სფფ-ს ხელმძღვანელთა შეხვედრაზე გადაწყდა, რომ ფიფა დააფინანსებს შესარჩევ ტურნირში გასვლით თამაშებზე ეროვნული და 21 წლამდე ასაკის ნაკრები გუნდების გამგზავრების ხარჯებს.

ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებს 26 და 30 მარტს უმნიშვნელოვანესი შესარჩევი მატჩები ელით. უეფამ უკვე დაამტკიცა მსაჯთა ბრიგადები და ის ოფიციალური პირები, რომლებიც ამ მატჩებს მოემსახურებიან. საქართველოს და საბერძნეთის ეროვნული ნაკრები გუნდების თამაში 26 მარტს, "ლოკომოტივის" სტადიონზე 20 საათსა და 30 წუთზე დაიწყება. მატჩს განსჯიან იტალიელი მსაჯები რობერტო როსეტი (მთავარი მსაჯი), ალესანდრო გრისელი, მარკო ივალდი (გვერდითი არბიტრები) პასკუალე როდომონტი (სათადარიგო მსაჯი). მსაჯების ინსპექტორია მანუელ ლოპეს ფერნანდესი (ესპანეთი), ხოლო ფიფას ოფიციალური დელეგატი - რობერტ სტერქსი (ბელგია).

ახალგაზრდული ნაკრები გუნდები ერთი დღით ადრე, 25 მარტს, ეროვნულ სტადიონზე ითამაშებენ. ამ მატჩს შოტლანდიელი არბიტრები (ჩარლზ რიჩმონდი, ჯეიმს ლიონი, ჯეიმს ბი, ბრაიან ვინტერი) განსჯიან.

საქართველოსა და თურქეთის ეროვნული ნაკრები გუნდები 30 მარტს შეერკინებიან "ლოკომოტივის" სტადიონზე. ისიც 20 საათსა და 30 წუთზე დაიწყება. მატჩს განსჯიან ნორვეგიელი არბიტრები ტერი ჰაუგე (მთავარი მსაჯი), სტეინარ ჰოლვიკი, არილდ სანდეტი (გვერდითი არბიტრები), ტომი სკიერვენი (სათადარიგო მსაჯი). მსაჯების ინსპექტორია ვლადიმერ საინი (სლოვაკეთი), ხოლო ფიფას ოფიციალური დელეგატი - პერტი ალაია (ფინეთი).

ახალგაზრდული ნაკრები გუნდების შეხვედრა კი 29 მარტს შედგება და ბულგარელი მსაჯების (კოსტადინ კოსტადინოვი, ვენცისლავ გავრილოვი, დეტელინ ბეიალტზალიევი, რადან მირიანოვი) ზედამხედველობით ჩაივლის.

"ზედიზედ ორი ასეთი დონის თამაშისთვის საქართველოს ჯერ არ უმასპინძლია. ჯერ ევროპის მოქმედ ჩემპიონს, საბერძნეთის ნაკრებს ვეთამაშებით, ხოლო შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორს ვუმასპინძლებთ. ამ თამაშებს უდიდესი სატურნირო და ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვს. სფფ ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ნაკრებ გუნდებს მომზადებისთვის საჭირო ყველა პირობა შეუქმნას. პრემირების განსაკუთრებული რეჟიმი გვაქვს შემუშავებული. ამ თამაშებზე ბილეთების რეალიზაციიდან შემოსული მთელი თანხა, ბიუჯეტში გადასახადის გამოკლებით, ნაკრები გუნდის პრემიებს მოხმარდება. ფედერაცია დამატებით თანხებსაც ეძებს. თუ ნაკრებმა წარმატებას მიაღწია, ფეხბურთელები ისეთ პრემიებს მიიღებენ, როგორიც ევროპის წამყვან საფეხბურთო ქვეყნებსაც კი განაცვიფრებთ", - ჟორდანიას ეს სიტყვები ადასტურებს, რომ სტიმულირების თვალსაზრისით ყველაფერი წესრიგშია.

აქვე გამცნობთ, რომ ფედერაციის ხელმძღვანელების თქმით, თამაშებამდე ერთი თვით ადრე უკვე ყველა საორგანიზაციო საკითხი მოგვარებულია და მატჩები მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩაივლის.

სფფ-ს პრეზიდენტის გაოცება გამოიწვია იმ საკითხმა, რომ საქართველოს სპორტის და კულტურის სამინისტროს მიერ სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა სიაში ვერ მოხვდა ფეხბურთი.

"ის ფაქტი, რომ 13 პრიორიტეტულ სახეობას შორის ფეხბურთი ვერ მოხვდა, ძალზე უცნაურია. მე ვერც ვიტყვი, თუ რა კრიტერიუმების მიხედვით შეადგინეს სია. თუმცა, ძალიან მიხარია, რომ, სამინისტროსგან განსხვავებით, აბსოლუტურად საპირისპირო პოზიცია აქვს საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს. მე მცირე ხნის წინ შევხვდი სეოკის პრეზიდენტს ბატონ ბადრი პატარკაციშვილს, რომელმაც მაქსიმალური მხარდაჭერა აღმითქვა. ვისაუბრეთ ძალიან საინტერესო ერთობლივ პროექტებზეც. ბატონმა ბადრიმ პირველი სერიოზული ნაბიჯი უკვე გადადგა. მოგეხსენებათ, იგი საფეხბურთო კლუბ თბილისის "დინამოს" პრეზიდენტიცაა და მან წინადადება მოგვცა, "დინამოს" დიღმის ბაზა ნაკრები გუნდების საწვრთნელი შეკრებისთვის გამოვიყენოთ. ამისთვის დიდ მადლობას ვუხდით ბატონ ბადრი პატარკაციშვილს და "დინამოს" სხვა ხელმძღვანელებს", - აღნიშნა სფფ-ს პრეზიდენტმა.

8 მარტს მოსკოვში გაიმართება გერმანიაზე გამარჯვების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი ამხანაგური მატჩი პოსტსაბჭოთა ქვეყნებისა და მსოფლიოს ნაკრებ გუნდებს შორის. თამაში ფიფას პატრონაჟით ჩატარდება. პოსტსაბჭოთა ნაკრების მწვრთნელად ნიკიტა სიმონიანთან და ოლეგ ბლოხინთან ერთად ალექსანდრე ჩივაძეა მიწვეული.

"ამ ნაკრებში ერთ ფეხბურთელზე მეტის გამოყვანის უფლება მიიღეს მხოლოდ რუსეთმა, საქართველომ, უკრაინამ და ბელორუსმა. ბატონი ალექსანდრეს რეკომენდაციით, ნაკრებში გამოიძახეს და მსოფლიო ნაკრების წინააღმდეგ ითამაშებენ კახა კალაძე, ლევან კობიაშვილი, მალხაზ ასათიანი და შოთა არველაძე", - განაცხადა მერაბ ჟორდანიამ.

დაბოლოს: საქართველოსა და თურქეთის მატჩზე დასასწრებად ჩამოვა საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციისა და ფიფას ვიცე-პრეზიდენტი მიშელ პლატინი. ის 29 მარტს გვეწვევა და 1 აპრილს დატოვებს საქართველოს.



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

თურქებთან თამაშისთვის მიშელ პლატინი აპირებს ჩამოსვლას.

# "მილანს" თავი ქუდში აქვს

"ოლდ ტრაფორდზე" თამაშის დაწყებამდე "მილანის" მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ განაცხადა, რომ ანდრეი შევჩენკო გუნდისთვის დიდი დანაკლისია, მაგრამ ჩვენს განკარგულებაში ერნან კრესპო და კაკა არიანო. გაუმართლა კიდეც არგენტინელმა თავის მწვრთნელს. 78-ე წუთზე კრესპო მანჩესტერელთა საჯარიმო მოედანში საჭირო ადგილზე დაუხვდა ბურთს და შეხვედრის ერთადერთი გოლი გაიტანა, რამაც "მილანს" "ოლდ ტრაფორდზე" გამარჯვება მოაპოვებინა - 1:0. ეს კი ნიშნავს, რომ იტალიური და ევროპული ფეხბურთის ერთ-ერთი გრანდი ცალი ფეხით მეოთხედფინალშია.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ნაკრების ლიდერმა კახა კალაძემ მთელი მატჩი ითამაშა და თავის მოვალეობას კარგადაც გაართვა თავი. მატჩის შემდეგ კარლო ანჩელოტიმ ალექს ფერგიუსონის გუნდის მიმართ კომპლიმენტები არ დაიშურა და აღნიშნა, რომ ყველაფერი ორი კვირის თავზე მილანში გადაწყდება.

"მილანის" მსგავსად, უფრო სწორად, მასზე უკეთ მოაგვარა საქმე საფრანგეთის ჩემპიონმა "ლიონმა". ფრანგებმა ბრემენში "ვერდერისგან" ქვა-ქვაზე არ დატოვეს და პრაქტიკულად გაინაღდეს მომდევნო ეტაპის საგზური. გერმანელთა განადგურება მე-9 წუთზე ვილტორდმა დაიწყო. 77-ე და მე-80 წუთებზე კი თავი დიარამ და ჟუნინიომ გამოიჩინეს.

უაღრესად საინტერესოდ განვითარდა მოვლენები ბარსელონაში "ნოუ კამპის" სტადიონზე. "ბარსელონა" ლონდონის "ჩელსის" დაუპირისპირდა. ინგლისელთა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ ესპანელთა მუქარაზე უპასუხა, რომ "ბარსას" მწვრთნელ ფრანკ რაიკაარდს ჯერ არაფერი მოუგია. მან კი სამწვრთნელო საქმეში ტიტულები და დიდი გამოცდილება შეიძინა, ამიტომ "ჩელსი" კატალონიელთათვის სულაც არ იქნება საჩუქარიო, - ამბობდა ჟოზე მოურინიო.

თუ მატჩის პირველი ნახევრით ვიმსჯელებთ, "ბარსელონა" მართლაც ვერაფერს აკლებდა ამბიციურ "ჩელსის". საკმარისია, ითქვას, რომ კატალონიელებმა პირველ ტაიმში მხოლოდ ორჯერ დაარტყეს კარის მიმართულებით და ერთი საკუთარ კარში გაიტანეს. რაიკაარდის გუნდმა მას შემდეგ გაილაღა, რაც მინდვრიდან ორი ყვითელი ბარათის გამო დიდიე დროგბა მიაბრძანეს. ამის შემდეგ ესპანელთა უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა და "ჩელსის" დაცვის ორგანიზებული თამაში რომ არა, არავინ იცის, როგორ დამთავრდებოდა მატჩი. ასე კი "ბარსამ" - 2:1 მოიგო და ეჭვგარეშეა, რომ ამ წყვილში გამარჯვებულს ლონდონური მატჩი გამოავლენს.

ჩემპიონთა ლიგის შარშანდელმა გამარჯვებულმა "პორტუმ" მილანის კიდევ ერთი გუნდი "ინტერი" მიიღო. აღსანიშნავია, რომ "ინტერს" წლევანდელ სეზონში მარცხი არ განუცდია. მილანელებმა არც პორტუგალიელებს გაუყადრეს თავი და თავიდანვე აგრძნობინეს, რომ დაცვაში ჩასაჯდომად არ ჩამოსულან. მატჩის 24-ე წუთზე მარტინსმა გახსნა ანგარიში, რასაც 61-ე წუთზე რიკარდუ კოშტას საპასუხო გოლი მოჰყვა და გუნდები მშვიდობით გაეყარნენ ერთმანეთს. საპასუხო მატჩში მცირე უპირატესობა ბუნებრივია, რომ მილანელთა მხარეს იქნება.




კრესპოს გოლმა "მილანს" მომდევნო ეტაპზე გასვლის კარგი შანსი მისცა.

## ვანდერლეი ლუშემბურგო:

# "გასვლის კარგი შანსი გვაქვს"

"რეალი" - "იუვენტუსის" დაპირისპირების შემდეგ "სამეფო კლუბის" მთავარმა მწვრთნელმა ვანდერლეი ლუშემბურგომ ჟურნალისტებისთვის მოიცალა.

**- შედეგით კმაყოფილი ბრძანდებით?**

- დიახ, კმაყოფილი ვართ, რადგან ჩვენ ერთი გოლი გავიტანეთ, მათ კი - არც ერთი. ჩვენ ჩვენი მომენტები გამოვიყენეთ. შედეგი ძალიან კარგია და საუკეთესო შანსი გვაქვს მეოთხედფინალში გასასვლელად.

**- "იუვე" უფრო მეტ ყურადღებას აქცევდა თქვენი შეტევების განეიტრალებას, ვიდრე საკუთარ თამაშს.**

- "იუვენტუსი" ხისტად თამაშობდა, მაგრამ ამ ხისტ თამაშს ლამაზი კომბინაციებით ამაგრებდა.

**- თქვენი გუნდის თამაშით კმაყოფილი ბრძანდებით?**

- დიახ. ვიცოდით, რომ "იუვენტუსი" დახურულ თამაშს შემოგვთავაზებდა, შეეცდებოდა, კონტრშეტევებზე ეთამაშა.

**- როგორ ფიქრობთ, ამ თამაშში დაუნიშნავი პენალტები იყო?**

- დიახ. ერთი სამუელზე იყო, მეორე - რაულზე.

**- მატჩის წინ 1:0-ზე დათანხმდებოდით?**

- არ ვიცი, რადგან თამაშის წინ მხოლოდ იმაზე ფიქრობ, როგორ ითამაშო და სხვა არაფერზე.

**- გუნდმა რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა. ფორტუნამ ზურგი გაქციათ?**

- რომ გაგვმართლებოდა, უფრო მეტ გოლს გავიტანდით. ჩვენ ეს გამარჯვება გვჭირდებოდა. ახლა მუშაობა უნდა განვაგრძოთ. მე უკვე მომავალ მატჩებზე ვფიქრობ როგორც ლა ლიგაში, ისე ჩემპიონთა ლიგაშიც.

**- მოკლედ, თქვენი ფეხბურთელების თამაშით კმაყოფილი ბრძანდებით?**

- შედეგი არა ერთი რომელიმე ფეხბურთელის გარჯით, არამედ მთელი გუნდის ძალისხმევით მიიღწევა. საჭიროა ასი პროცენტით დაიხარჯო.

**- ეტყობოდა, რომ თქვენს მიერ შესრულებული საჯარიმოები წინასწარ დამუშავებული იყო. სტანდარტულ მდგომარეობებზე სპეციალურად მუშაობდით?**

- გუნდის ბოლო ვარჯიშზე 30-40 ჯარიმა მაინც დავამუშავეთ. ვიცოდით, რომ "იუვენტუსთან" მატჩში გამოგვადგებოდა. ზედმიწევნით ზუსტად ვიცოდით, ამა თუ იმ შემთხვევაში რა უნდა გვეკეთებინა. ბექჰემი სტანდარტული მდგომარეობების შესრულებისას პასუხისმგებელი იყო.

**- რატომ გამოიყენეთ რაულ ბრავო მარჯვენა ფრთაზე, როცა ის მარცხენა მცველია?**

- მე მოთელვა დავავალე რაულ ბრავოს და პავონს, მაგრამ ბრავო ვარჩიე, რადგან ფლანგზე თამაშს ის უფრო მიჩვეულია. ბრავო უაღრესად სწრაფი ფეხბურთელია. თუმცა, მას ვთხოვე, შეტევებში ძალიან არ გართულიყო. ბექჰემსაც ესმოდა, რომ უკან უნდა დაეხია და ბრავოს დახმარებოდა.

**- მიჩელ სალგადოს ტრავმა შეიძლება სერიოზული გამოდგეს. ეს ძალიან გაღელვებთ?**

- დიახ. იმის გამო, რომ ამ პოზიციის სხვა ფეხბურთელი არ გვყავს. მე ფეხბურთელები დუბლშემადგენლობაში მყავს და ამ დღეებში მათთან საუბარი მომიწევს.

**- ნედვედის დაკარგვით "იუვენტუსს" ბევრი დააკლდა?**

- მინდა, კაპელოს მივულოცო, რომ მისი გუნდები მინდორზე ყოველთვის ექსტრაორდინარული განწყობით გამოდიან. ნედვედი დიდი ფეხბურთელია. ის ფენომენალურ გადაცემებს ახორციელებს. მათ ნედვედი დაკარგეს, ჩვენ კი - სალგადო...

**- "იუვენტუსზე" შთაბეჭდილება წაგიხდათ?**

- მე სწორედ ასეთ "იუვეს" მოველოდი - კონტრშეტევაზე მოთამაშეს, გრძელი გადაცემების შემსრულებელსა და გოლის გატანის მსურველს.

**- ტურინში ისინი შეტევაზე წავლენ?**

- მატჩის წინ ვთქვი, რომ წინ 180 წუთი გვაქვს სათამაშო. ახლა ჯერ მხოლოდ პირველი ტაიმი დასრულდა და ჩვენ უპირატესობას ვფლობთ. ტურინში ისე ვითამაშებთ, როგორც დიდი გუნდი - შეტევაზე გადავალთ და გოლებს გავიტანთ. ერთადერთი, რაც ახლა შემიძლია გითხრათ, ის არის, რომ ორთაბრძოლის საბოლოო შედეგი ტურინში დაფიქსირდება. ამიტომ მზად უნდა ვიყოთ.

**- იმ კრიტიკის შემდეგ, რაც ბილბაოს "ატლეტიკთან" მატჩის შემდეგ დაიმსახურეთ, კმაყოფილი ბრძანდებით, რომ სეზონის საუკეთესო მატჩი ითამაშეთ?**

- არ გავლიზიანებულვარ. მხოლოდ იმას ვითხოვ, რომ პატივი სცენ ბრაზილიაში ჩემს მიღწევებს. ამას გამართლებას ვერ დაარქმევ. ეს მუშაობის შედეგია. ხოლო ის, რაც შაბათს მოხდა, უკვე წარსულია. ახლა წინ უნდა გავიხედოთ. სხვა არაფერი.



მეორე რაუნდი "დელე ალპიზე" გაიმართება.

ინფოთეკა

### ჯერარდს გამარჯვების იმედი არა აქვს

ინგლისური კლუბის "ლივერპულის" კაპიტანმა სტივენ ჯერარდმა აღიარა, რომ მის გუნდს ამ სეზონზე ჩემპიონთა ლიგის მოგების ძალიან მცირე შანსი აქვს.

"რეალისტები ვიყოთ. ჩემპიონთა ლიგაში იმდენი შესანიშნავი გუნდი მონაწილეობს... უბრალოდ, შევეცდებით, ტურნირში დავრჩეთ, თანაც, რაც შეიძლება დიდხანს, თუმცა, გაცნობიერებული გვაქვს, რომ ძალიან მცირე შანსი არსებობს იმისა, რომ ამ სეზონზე გავიმარჯვოთ", - განაცხადა ჯერარდმა..

### ორივეს ვერ დავიტოვებთ

ფორმულა 1-ის გუნდის "უილიამსის" მფლობელმა ფრენკ უილიამსმა განაცხადა: საჯინიბოს ფინანსური მდგომარეობა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ მომავალ წელს გუნდმა ორივე ძირითადი პილოტი - რალფ შუმახერი და კოლუმბიელი ხუან პაბლო მონტოია შეინარჩუნოს.

გუნდის მფლობელმა და დირექტორმა პატრიკ ჰედმა განაცხადა: "BMW-სთან ხუთწლიანი კონტრაქტის პირობების შესაბამისად, რომელიც უფრო უარესია, ვიდრე ადრინდელი, ჩვენ არ გვეყოფა ფინანსები იმისთვის, რომ ერთბაშად ორ ტოპ-პილოტს გადავუხადოთ ხელფასი".

BMW-ს წარმომადგენელმაც დაადასტურა, რომ, ახალი კონტრაქტის თანახმად, "უილიამსი" ბევრად უფრო ნაკლებ თანხას მიიღებს, ვიდრე წინა წლებში.

**მოამზადა ნინო ტიკარაძემ**

TV-სპორტი

### ხუთშაბათი. 24 თებერვალი

**НТВ+ФУТБОЛ**
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:20 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. "პორტუ" - "ინტერი"
14:15 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. "ვერდერი" - "ლიონი"
16:10 თავისუფალი დარტყმა
16:25 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. "ბარსელონა" - "ჩელსი"
18:20 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. "მანჩესტერ იუნაიტედი" - "მილანი"
20:15 თავისუფალი დარტყმა
20:30 სახვალიო ტელეპროგრამა
20:35 საუიკენდო მატჩების ანონსი
20:40 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
21:10 "ფეხბურთი ჭრილში"
21:40 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალური მატჩების მიმოხილვა
23:40 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
00:35 თავისუფალი დარტყმა
00:50 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა

**НТВ+ПЛЮС**
10:00, 13:15, 16:00, 19:00, 21:30 პრესცენტრი
10:20, 21:45 "ქრონიკა"
10:25 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 ჰოკეი. რუსეთის ჩემპიონატი. "მეტალურგი" - "ხიმიკი"
12:45 "თოვლის სამყარო". ტელეჟურნალი
13:30 "სპორტისიმო"
14:15 "ვატერპოლე"
14:45 ბილიარდი "US Open". მე-9 ნაწილი
16:15 წყლის თხილამურები. მსოფლიო თასი ინგლისში
16:45 ჰოკეი. "სტენლის თასის რეტროსპექტივა". 1999 წელი. ფინალი. "BUFFALO SABRES" - "DALLAS STARS". მე-6 მატჩი
19:15 "ჩქაროსნული სამყარო" - ტელეჟურნალი
19:45 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა
20:15 "მოტოვებული კვირა"
21:00 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
21:50 სახვალიო ტელეპროგრამა
22:00 "ჰოკეი - პლუს"
22:15 სინქრონული ცურვა. რუსეთის ღია თასი. დუეტი. საჩვენებელი პროგრამა
23:15 ჭადრაკი. სუპერტურნირი ლინარესში
23:45 "ჩქაროსნული სამყარო" - ტელეჟურნალი
00:15 ახალი ამბები
00:30 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა
01:00 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
01:30 "ჰოკეი - პლუს"

**EUROSPORT**
10:30 ფრისტაილი. მსოფლიო თასი აშშ-ში
11:00 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი ესპანეთში. (სადარბაზო)
12:00 ფეხბურთი. უეფას თასი
13:30 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში
14:15 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში. ესტაფეტა 4X10 კმ. ვაჟები. პირდაპირი ტრანსლაცია
16:30 ფეხბურთი. უეფას თასი
17:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში. კვალიფიკაცია. პირდაპირი ტრანსლაცია
19:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი ყატარში. მეოთხედფინალი
20:00 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში. ესტაფეტა 4X10 კმ. ვაჟები. მიმოხილვა
21:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში. კვალიფიკაცია. მიმოხილვა
22:45 ფეხბურთი. უეფას თასი. პირდაპირი ტრანსლაცია
00:45 ფეხბურთი. უეფას თასი
02:15 ახალი ამბები
02:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. კვირის მატჩი

# როვერები მარსის კვლევას აგრძელებენ

## მეცნიერები კი "წითელი პლანეტის" ათვისების შესაძლებლობებს სწავლობენ



მარსიური ეკვატორული ანტარქტიდა და...






... უცნაური კრატერები

მერაბ ლორთქიფანიძე

მიუხედავად იმისა, რომ მარსის საკვლევი ორი ამერიკული როვერის, "სპირიტისა" და "ოპორტუნიტის" წინასწარ დაგეგმილი რესურსი (90 დღე) დიდი ხნის ამოწურულია, ისინი მაინც აგრძელებენ მუშაობას და პასადენაში მდებარე მართვის ცენტრს ჯერაც გადმოსცემენ საინტერესო მასალებს.

მარსზე მოგზაურობის ერთი წლის თავზე, "სპირიტმა" პლანეტაზე კიდევ ერთი ისეთი მინერალი აღმოაჩინა, რომლის წარმოქმნაც გარემოში მხოლოდ წყლის არსებობის შემთხვევაშია შესაძლებელი.

"სპირიტი" მარსზე დაშვების ადგილის, გუსევის კრატერის სიახლოვეს მდებარე კოლუმბიის მთიანეთს იკვლევს. ეს ყველაზე მაღალი მთიანი მასივია მზის სისტემის პლანეტების მთიან მასივებს შორის - მისი უმაღლესი მწვერვალების სიმაღლე 20 კილომეტრსაც კი აღწევს. "სპირიტის" ძირითადი მიზანი, მარსის ლანდშაფტის შესწავლა და შესაძლებლობის შემთხვევაში, იქ წყლის არსებობის უტყუარი კვალის აღმოჩენაა. სხვათა შორის, "სპირიტმა" ამ ერთი წლის განმავლობაში თავისი დისლოკაციის არეალში წყლის არსებობის რამდენიმე ნიშანი აღმოაჩინა.

კოლუმბიის მთიანეთის ფერდობზე "სპირიტმა" პირველადი ქანების გამოსავალს მიაგნო. ამ ქანებს ვერ ფარავს ლავა და როვერის მიერ გადაღებულ ფოტოებზე ჩანს, რომ ისინი წყლისგან უნდა იყოს ჩარეცხილი. მთის იმ ფერდობს, რომელსაც "სპირიტი" იკვლევს, მეცნიერებმა "კლოვისი" შეარქვეს. ესაა გამონაშვერი, რომელიც ლავით დაფარულ ზედაპირს ათი მეტრით სცილდება.

"ეს კლდე ძირეულად განსხვავდება იმათგან, რომლებსაც როვერები დაბლობში პოულობდნენ. იქ ჩვენ ვხედავდით მცირე რაოდენობით წყლის არსებობის დამადასტურებელ ნიშნებს. აქ კი გაცილებით ხანგრძლივი ზემოქმედების კვალი აღმოვაჩინეთ. როგორც ჩანს, მარსზე იმაზე გაცილებით დიდი რაოდენობით წყალი არსებობდა, ვიდრე ჩვენ ადრე მიგვაჩნდა", - განაცხადა მისიის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა სტივენ სკვაიერსმა.

იმავდროულად, "კლოვისის" მეზობლად მდებარე კლდეებზე წყლის ზემოქმედების არანაირი კვალი არ აღმოჩენილა. ეს კი მკვლევარებს საქმეს ურთულებს.

პარალელურად, იმავე რეჟიმში აგრძელებს მუშაობას მეორე როვერი "ოპორტუნიტიც", რომელმაც წითელ პლანეტაზე თავისი მოღვაწეობის ერთი წლის თავზე, კიდევ ერთ საინტერესო ობიექტს მიაგნო. ის წააწყდა მერიდიანის დაბლობის ერთფეროვან გარემოში დაგდებულ, კალათბურთის ბურთისხელა მეტეორიტს. როვერის მიერ სპექტრომეტრით ჩატარებულმა პირველადმა გამოკვლევამ დაადგინა, რომ ეს არის მეტალის ლოდი და მისი შემადგენლობა შეესაბამება მეტეორისას. თუმცა, სკვაიერსი აცხადებს, რომ მეტეორიტად ამ ქვის მონათვლა ჯერაც ნაადრევია.

სხვათა შორის, "ოპორტუნიტი" ამ ქვას მაშინ წააწყდა, როცა თავისი დაშვების ადგილს იკვლევდა. დაშვების ადგილი საინტერესო იყო იმდენად, რამდენადაც იქ დაშვებიდან უკვე ერთი წელი გავიდა. სხვათა შორის, პლანეტაზე გადასვლის პირველ დღეებში როვერს ეს ქვა არ შეხვედრია. სავარაუდოდ, ის აქ ამ ერთი წლის განმავლობაში უნდა ჩამოვარდნილიყო.

### სანამ როვერები მისიას აგრძელებენ...

სანამ "სპირიტი" და "ოპორტუნიტი" ზეგეგმით კვლევა-მუშაობას აგრძელებენ, აშშ-ის აეროკოსმოსური სააგენტოს (NASA) კუთვნილი, ეიმსის კვლევითი ცენტრის თანამშრომლებმა ჩაატარეს მარსის კლიმატის შესაძლო შეცვლის კომპიუტერული მოდელირება, რისი მიზანიც იყო პლანეტის გარემოს შეცვლის რამდენიმე გზის ტესტირება.

ერთი ვარიანტის მიხედვით, ადამიანებს პლანეტაზე შეაქვთ სპეციალურად, გენეტიკურად მოდერნიზებული ბაქტერიები. მეორე ვარიანტით "მოხერხდა" პლანეტის ყინულოვან პოლუსებზე მზის სხივების ინტენსიურად შთანმთქმელი ფერის მქონე საღებავების გაფრქვევა, რითაც (იდეაში) შესაძლებელი უნდა იყოს პლანეტის ზედაპირზე ტემპერატურის აწევა. მესამე ვარიანტით, მეცნიერებმა "წითელი პლანეტა" ასტეროიდებითა და ყინულოვანი კომეტებით დაბომბეს.

მაგრამ, როგორც გაირკვა, ამ სამზე უკეთესი ეფექტი (რა თქმა უნდა, კომპიუტერული მოდელირების დროს) ჰქონდა პლანეტის გარემოში იმ გაზების დიდი რაოდენობით შეფრქვევას, რომლებიც ჩვენს პლანეტაზე ეგრეთ წოდებულ სათბურის ეფექტს იწვევენ. ასეთი გაზების გაფრქვევის საშუალებას ადამიანებს მისცემდა დიდი რაოდენობით ენერგოტევადი ქარხნის ამუშავება. მაგალითად, თბოელექტროსადგურისა, რომელიც ადგილობრივ საწვავზე იმუშავებდა.

ამასთან, შესაძლებელია ასევე სპეციალურად სინთეზირებული გაზის გამოყენება, რომელსაც ჩვეულებრივ "კლიმატის გამათბობელზე" (ნახშირორჟანგი) ათეულობით ათასჯერ მეტი ეფექტის მოხდენის უნარი ექნება. ასეთი გაზის შექმნა შესაძლებელია ნახშირბადისა და ფტორის საფუძველზე.

მაგალითისთვის, მარსის ატმოსფეროში ნივთიერება ოქტაფლუოროპროპანის 300 ერთეულის დამატებით მილიონზე, გამოიწვევდა სათბურის ეფექტის უზარმაზარი ტემპით განვითარებას, რასაც შედეგად მოჰყვებოდა (კომპ. მოდელირების დროს) პოლარული ყინულოვანი "ქუდების" ინტენსიური დნობა. ამ ყინულოვან ქუდებში კი საკმაოზე ბევრია წყალიც და ნახშირორჟანგიც.

ნახშირორჟანგის ატმოსფეროში დიდი რაოდენობით შერევა კიდევ უფრო გააძლიერებს სათბურის ეფექტს და კლიმატის დათბობას, რასაც უნდა მოჰყვეს ატმოსფერული წნევის ზრდა. ამ პროცესს, რამდენიმე ასეული ათასი წლის შემდეგ მოჰყვება პლანეტა მარსის საცხოვრებლად ვარგის გარემოდ გარდაქმნა.

### მარსისაკენ აფრიანი ხომალდით

კალიფორნიის ქალაქ ირვინის უნივერსიტეტის თანამშრომლებმა კი პროფესორ გრეგორი ბენფორდის ხელმძღვანელობით და კალიფორნიულ აეროკოსმოსურ კომპანია "მიკროვეივ საიენსთან" (მისი ხელმძღვანელია გრეგორის ძმა ჯეიმს ბენფორდი) თანამშრომლობით, შეიმუშავეს მზის სხივებზე მომუშავე კოსმოსური აფრის ახალი კონსტრუქცია.

ნაშრომის ავტორთა ჩანაფიქრით, აფრის ერთ-ერთი მთავარი ნაწილია სპეციალური საღებავი, რომელიც დედამიწაზე მდებარე საბაზო სადგურიდან წამოსული მიკროტალღოვანი გამოსხივების მოქმედების ქვეშ აორთქლდება და ასე წარმოქმნის დამატებით რეაქტიულ წევას. ამგვარი წევის წარმოქმნა მაშინაც შესაძლებელია, როცა სარკისებრი ზედაპირის მქონე აფრის აპკი აირეკლავს მზის სხივებს, ან საბაზო სადგურიდან გაშვებულ ლაზერის სხივს.

ბენფორდებმა აორთქლებადი საღებავის იდეას შემთხვევით მიაგნეს - ისინი ექსპერიმენტებს ატარებდნენ ნახშირბადოვანი მასალებისგან დამზადებულ აფრაზე, რომელიც მიკროტალღოვანი ჭავლით სხივდებოდა. ექსპერიმენტების დროს დადგინდა, რომ წარმოქმნილი წევის ძალა რამდენჯერმე სჭარბობდა გათვლით დადგენილს. ექსპერიმენტის მრავალგზის გამეორების შემდეგ, მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ ძალის ზრდას იწვევდა ნახშირჟანგი, რომელიც აფრის დასხივებისას, მისი ზედაპირიდან ორთქლდებოდა.

აღმოჩენის ავტორთა მიერ შემუშავებული პროექტის მიხედვით, მისწრება იქნება, თუ აფრა დაიფარება სპეციალური საღებავით, რომლის აორთქლების შემდეგაც, გამოიყოფა მსუბუქი გაზი (სასურველია წყალბადი). მარგი ქმედების მაღალი კოეფიციენტის მისაღწევად, სასურველია, თუ აორთქლება მაღალი ტემპერატურის დროს მოხდება.

თუ შესაძლებელი იქნება ასეთი აფრით აღჭურვილი აპარატის დაბალ ორბიტაზე (300 კილომეტრის ფარგლებში) გაყვანა, იქიდან ის შეძლებდა მარსამდე ერთ თვეში მიღწევას. ოღონდ, აფრის დიამეტრი უნდა იყოს მინიმუმ 100 მეტრი, ანალოგიური უნდა იყოს მიკროტალღების ჭავლის დიამეტრიც. ამასთან, გამოსხივების სიმძლავრე 60 მეგავატს უნდა აღემატებოდეს, რაც დღეისათვის სერიოზული პრობლემაა - დღეისათვის მაქსიმუმი, რაც ადამიანის მიერ შექმნილ დანადგარებს შეუძლიათ, სულ ნახევარი მეგავატია.

სამაგიეროდ, თუ მეცნიერები შეძლებენ ასეთი სიმძლავრის მქონე დანადგარის შექმნას და დაამზადებენ შესაბამისი გაბარიტის მქონე აფრას, მაშინ კოსმოსური აპარატი შეძლებდა 60 კმ/წმ სიჩქარის განვითარებას, რაც კაცობრიობის ისტორიაში კოსმოსური ფრენების რეკორდული სიჩქარე იქნება.

P.S.

ევროპულ სადგურ "მარს ექსპრესის" მიერ გადაღებული ფოტოების ანალიზის შედეგად, ევროპელი მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ეკვატორის სიახლოვეს, კერძოდ კი, ეკვატორიდან ჩრდილოეთით, 5 გრადუსის განედზე, ზედაპირს უცნაური ფაქტურა აქვს. იქაური პეიზაჟი რალაცით ჩვენი პლანეტის ჩრდილოეთ და სამხრეთ პოლუსისას ჰგავს, რაც მეცნიერებს იმის თქმის უფლებას უტოვებს, რომ ეს ტერიტორია გაყინული ზღვაა.

წესით, ეკვატორულ ნაწილში, წყალი გაყინული არ უნდა იყოს, მაგრამ საქმე ისაა, რომ ყინულის ზედაპირი დაფარულია ვულკანური წარმონაქმნებით, ლავითა და ნაცრით. ეს ფენა ყინულს მზის გამოსხივებისა და შესაბამისად, დნობისგანაც იცავს.

ბრიტანელი მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ზღვის სიგრძე-სიგანე დაახლოებით 800-900 მეტრზეა გადაჭიმული, მისი სიღრმე კი 45 მეტრამდეა. მათი მოსაზრებით, ზღვა უნდა წარმოქმნილიყო კატასტროფული წყალდიდობის შედეგად, რომელიც დაახლოებით 5 მილიონი წლის წინ უნდა მომხდარიყო, ჯერაც უცნობი კატაკლიზმის გამო. შემდეგ კი, ტემპერატურის მკვეთრი ვარდნის გამო, წყალი გაიყინა და ვულანური მტვრითა და ნაცრით დაიფარა.

გარდა ამისა, ევროპელი მეცნიერები თვლიან, რომ ამ ტერიტორიაზე არსებული კრატერები, მათ დიამეტრთან შედარებით, მცირე სიღრმისანი არიან, რაც ბუნებაში თითქმის არ ხდება. სავარაუდოდ, ისინი დროთა განმავლობაში, სწორედ გაყინული წყლის კრისტალებით დაიფარა.

# ლონდონიდან სიდნეიმდე საწვავის შეუვსებლად

ამერიკულმა ავიამწარმოებელმა კომპანია "ბოინგმა" 15 თებერვალს ჩაატარა თავისი ახალი ავიალაინერის, სერია 777-ის "ბოინგ 777-200LR უორლდლაინერის" პრეზენტაცია, რომლის დროსაც კიდევ ერთხელ წამოიჭრა საკითხი - მაინც რომელი ტიპის თვითმფრინავებისაა ავიაგადაყვანების მომავალი?

ბოინგმა ამ კითხვას სწორედ "უორლდლაინერით" გასცა პასუხი - საპრეზენტაციო პრესრელიზის მიხედვით, ამ თვითმფრინავს ერთდროულად 301 ადამიანის გადაყვანა საშუალედო დაჯდომის გარეშე, 17 446 კილომეტრზე შეუძლია.

ეს მანძილი იმას ნიშნავს, რომ "უორლდლაინერით" შუალედი დაჯდომის გარეშე შესაძლებელია მგზავრობა ნიუ იორკიდან სინგაპურამდე, ან ლონდონიდან სიდნეიმდე. უფრო მეტიც, ამ თვითმფრინავს ყოველგვარი შუალედი დაჯდომის გარეშე შეუძლია პლანეტის ნებისმიერი ქალაქიდან მგზავრის ნებისმიერ სხვა ქალაქში გადაყვანა. ესე იგი, მისი წყალობით, საჭირო აღარ იქნება დანიშნულების ადგილამდე მისაღწევად რამდენიმე რეისით სარგებლობა.

ჩვენი რუბრიკის ერთგულმა მკითხველმა უკვე იცის, რომ საპირისპირო სტრატეგია აქვს არჩეული "ბოინგის" ევროპელ კონკურენტ "ერბასს", რომელმაც აქცენტი ზე-ტევად ლაინერებზე გააკეთა. ამის დასტურია ევროპელთა მიერ მომზადებული სუპერლაინერი A380, რომლის საბაზო მოდიფიკაციასაც ერთდროულად 555 მგზავრის გადაყვანა შეუძლია, მომავალში კი 840 მგზავრის გადაყვანასაც შეძლებს.

ოღონდ, ევროპელებისთვის უფრო მთავარი ისაა, რომ კონკრეტული რეისი მგზავრს იაფი დაუჯდეს (იმდენად იაფი, როგორც კომპაქტური ავტომობილით მგზავრობა დაუჯდებოდა), თუმცა ამ თვითმფრინავით იშვიათად მიაღწევს დანიშნულების ადგილს გადაჯდომის გარეშე - მსოფლიოში არც ისე ბევრია ისეთი (ეგრეთ წოდებული საკვანძო) აეროპორტი, რომელიც ამ გიგანტის მიღებას შეძლებს. ჰოდა, დღესვე ცხადია, რომ რიგ შემთხვევებში "უორლდლაინერით" მგზავრობა უფრო იაფი დაჯდება.



"ბოინგ 777-200LR უორლდლაინერის" პრეზენტაციას 5000 ადამიანი დაესწრო

მით უმეტეს, იმავე პრესრელიზს თუ დავუჯერებთ,ამერიკული სიახლე თავის ევროპულ ანალოგებზე (A340-500-ზე) დაახლოებით 19 პროცენტით იაფად შეძლებს მგზავრთა გადაყვანას.

"ერბასისგან" განსხვავებით, "ბოინგმა" განვითარების სხვა გზა აირჩია. ამერიკელები თვითმფრინავების წარმოებაში ინტენსიურად ნერგავენ უახლეს ტექნოლოგიებს. ეს ეხება, პირველ რიგში, კომპოზიციური მასალების გამოყენებას. თუ ადრე ასეთი მასალებით მხოლოდ ფიუზელაჟის კუდის ნაწილი და ზოგიერთი არასაპასუხისმგებლო დეტალი მზადდებოდა, ახლა კომპოზიტები თანდათან დევნიან ალუმინის ფურცლებს და შორს არც ის დროა, როცა მგზავრთა გადაყვანას მთლიანად კევლარისა და ნახშირბადოვანი კომპოზიტებით შექმნილ თვითმფრინავებს მიანდობენ.

კომპოზიტების გარდა (ეს მასალები გაცილებით მსუბუქი და ხისტია ალუმინის შენადნობზე), "ბოინგი" ძრავების მწარმოებლებისგანაც უახლეს აგრეგატებს ღებულობს. კომპანიის მარკეტოლოგები დარწმუნებულები არიან, რომ მათი ახალი თვითმფრინავის წყალობით, უამრავი ახალი საჰაერო ხაზი გაიხსნება, რაც ავიაგადამყვან კომპანიებს უზარმაზარ მოგებას მოუტანს. შესაბამისად, დიდი მოთხოვნა იქნება "უორლდლაინერზე" და ეს მოგებას მის მწარმოებელს მოუტანს.

თუმცა, არიან სკეპტიკოსები, რომლებიც თვლიან, რომ ლონდონიდან სიდნეიმდე თუ ეს თვითმფრინავი თავისუფლად გადაიყვანს მგზავრებს შუალედი დაჯდომის გარეშე, უკანა გზაზე ამის გაკეთება თითქმის შეუძლებელი იქნება შემხვედრი ქარის გამო (რასაც პლანეტის ბრუნვა იწვევს). ამიტომ, გამორიცხული არაა, რომ სიდნეიდან ლონდონამდე სადმე დაჯდომა და საწვავის შევსება მაინც გახდეს საჭირო. ასეა თუ ისე, "ბოინგის" მარკეტოლოგები იმედოვნებენ, რომ პირველი 20 წლის განმავლობაში დაახლოებით 500 ცალი "უორლდლაინერის" რეალიზება მოხერხდება.

უნდა ითქვას, რომ 777 სერიის უკლებლივ ყველა ლაინერი კომპიუტერული სამგანზომილებიანი მოდელირებითაა შექმნილი და მათი დამზადების საწყის სტადიაზე კონსტრუქტორებს არ გამოუყენებიათ მასშტაბური მოდელები. პირველ რიგში ხდებოდა ცალკეული დეტალებისა და კვანძების მოდელირება, რის შემდეგაც, კონსტრუქტორები ახორციელებდნენ ამ დეტალების ციფრულ აწყობას (ვირტუალურ სამყაროში), რათა შემოწმებულიყო მათი ერთობლივი მუშაობა. რა თქმა უნდა, კომპიუტერის პროგრამაში გათვალისწინებულია ამ დეტალებისა და კვანძების შეერთების ტიპები და მათზე მოქმედი ყველა შესაძლო ძალები. ამ ტექნოლოგიის გამოყენებით, უზარმაზარი თანხა და დრო იზოგება. ყველაფერი კი პროექტის თვითღირებულებასაც ამცირებს.

კონსტრუქტორებმა "უორლდლაინერში" გამოიყენეს კიდევ ერთი ნოვატორული იდეა, რომელიც თვითმფრინავის პილოტებისა და მომსახურე პერსონალისთვის კომფორტის გაუმჯობესებისთვისაა მოწოდებული - ლაინერს აქვს სპეციალური დასასვენებელი სათავსები, რომლებშიც ეკიპაჟის წევრებს შორეული გადაფრენების დროს დასვენების საშუალება ექნებათ. ეს სათავსები ფიუზელაჟის წინა და შუა ნაწილში, სამგზავრო სალონის თავზე მდებარეობს.

აღსანიშნავია, რომ მალე "ბოინგი" კიდევ ერთი სიახლის წარმოების დაწყებას აპირებს. ესაა თვითმფრინავი "ბოინგ 787 დრიმლაინერი" (ადრე მას 7E7 ერქვა), რომელსაც ასევე იცნობს ჩვენი რუბრიკის ერთგული მკითხველი. ეს იქნება რევოლუციური ავიალაინერი, რომლის ყველა საპასუხისმგებლო ძირითადი კვანძი და დეტალი მთლიანად კომპოზიციური მასალებისგან დამზადდება. რა თქმა უნდა, ამის გამო ის კონკურენტებთან შედარებით გაცილებით მსუბუქი და ეკონომიური იქნება...

"777-200LR უორლდლაინერის" გამოცდებს "ბოინგი" მარტიდან შეუდგება. სატესტო პროგრამა ითვალისწინებს 300 საათ სახმელეთო და 500 საათ საფრენ გამოცდებს. სულ გათვალისწინებულია ლაინერის ოთხი ვერსიით დამზადება. მათგან სამი სამგზავროა და ერთიც (ინდექსით F-ფრეითერ) სატვირთო. პირველი "უორლდლაინერი" კი მგზავრებს 2006 წლის იანვარში, პაკისტანის ავიახაზების რეისით გადაიყვანს.

# "განდევნილი" ვარსკვლავი



განდევნილი ვარსკვლავი "ირმის ნახტომს" შორდება

ასტრონომებმა პირველად დააფიქსირეს ვარსკვლავი, რომელიც ჩვენს გალაქტიკას დიდი სიჩქარით შორდება და გეზი გალაქტიკათაშორისი სივრცისკენ აქვს აღებული. როგორც აღმოჩნდა, ეს ვარსკვლავი ადრე "ირმის ნახტომის" (ჩვენს გალაქტიკას დასავლეთში "რძის გზად", ანუ "მილკი ვეიდ" მოიხსენიებენ) ცენტრში მდებარეობდა.

აღმოჩენის ავტორის, ამერიკელ ასტრონომ უორენ ბრაუნის თქმით, ამ კატაკლიზმის გამოწვევა შეეძლო ჩვენი გალაქტიკის ცენტრში მდებარე გიგანტური ზომის შავ ხვრელს, რომლის გრავიტაციული მიზიდულობის გავლენითაც, ვარსკვლავმა უზარმაზარი სიჩქარე, 2 მილიონი კმ/სთ აკრიფა. ბრაუნის თქმით, ეს სიჩქარე ორჯერ მეტია იმ სიჩქარეზე, რომელიც სჭირდება ციურ სხეულს გალაქტიკის მიზიდულობის ძალის დასაძლევად.

"განდევნილი" ვარსკვლავი შედიოდა ბინარულ (წყვილი ვარსკვლავი, რომლებიც ერთმანეთის ირგვლივ მოძრაობენ) ვარსკვლავსისტემაში, რომელმაც მეტისმეტად ახლოს გაუარა შავ ხვრელს. "ახლოს" გულისხმობს კოსმოსურ მასშტაბს - კატაკლიზმის მომენტში, ვარსკვლავსისტემასა და შავ ხვრელს შორის დაშორება დაახლოებით 50-ჯერ სჭარბობდა მანძილს მზესა და ჩვენს პლანეტას შორის, რომელიც დაახლოებით 150 მილიონ კილომეტრს შეადგენს.

მეცნიერთა შეფასებით, შავ ხვრელთან მიახლოებამ ტყუპი ვარსკვლავი ერთმანეთს დააცილა. ხვრელის მძლავრმა გრავიტაციულმა მიზიდულობამ გამოიწვია ვარსკლავების ერთმანეთის ირგვლივ ბრუნვის სიჩქარის ზრდა და ბოლოს, ერთი მათგანი ხვრელმა შთანთქა, ხოლო მეორე, აკრიფა რა უზარმაზარი სიჩქარე (დაახლოებით 30 მლნ კმ/სთ), ჯერ გალაქტიკის გარე სარტყელში აღმოჩნდა, მერე კი, როცა უკვე მისი სიჩქარე 2 მლნ კმ/სთ-მდე შემცირდა, "ირმის ნახტომის" საზღვრებსაც გასცდა.

დღეისათვის "განდევნილი" ვარსკვლავი ჩვენი პლანეტიდან დაახლოებით 180 ათასი სინათლის წლითაა დაშორებული და ის "ირმის ნახტომის" გარე რაიონში მდებარეობს, რომელსაც ასტრონომები "ჰალოდ" მოიხსენიებენ. შეგახსენებთ, რომ 1 სინათლის წელი ის მანძილია, რომელსაც 300 ათასი კმ/წმ სიჩქარის მქონე სინათლის სხივი ერთ წელიწადში გადის. ეს მანძილი კი დაახლოებით 10 ტრილიონ კილომეტრს შადგენს.

# ცათამბჯენი ელექტროსადგური

იაპონური კომპანია "შარპის" მიერ დამზადებული მზის ელემენტების წყალობით, ქალაქ მანჩესტერში მდებარე 25-სართულიანი ცათამბჯენი, რომლის სიმაღლე 118 მეტრია, ევროპის ყველაზე მაღალ მზის პანელად და ფაქტობრივად, ელეტროსადგურად იქცა.

ცათამბჯენის სახელწოდებაა "CIS ტაუერი" და ის ბრიტანულ სადაზღვევო კომპანია CIS-ს ეკუთვნის, რომელსაც მასში თავისი შტაბ-ბინა აქვს განლაგებული. შენობაზე მზის ელემენტებიანი პანელების დამონტაჟება შარშან, ზაფხულში დაიწყეს და წლის ბოლოსთვის დაასრულეს.

მზის ელემენტებიანი პანელები საოფისე კომპლექსის ერთ-ერთი ტექნიკური კორპუსის სამ მხარეს მთლიანად ფარავს. კომპლექსი წლის განმავლობაში გამოიმუშავებს 180 მგვტ.სთ ელექტროენერგიას, რაც საკმარისია დაახლოებით ათასი კომპიუტერის მუშაობისთვის. იაპონურმა კომპანიამ პანელები სპეციალურად ამ შენობისთვის დაამზადა.

პროექტი დაახლოებით 12 მილიონი დოლარი დაჯდა, მაგრამ მისი ავტორი ენდრიუ სიმპსონი დარწმუნებულია, რომ ეს თანხა არაფერია იმ მოგებასთან, რომელსაც სუფთა მეთოდით ელექტროენერგიის გამომუშავება მოუტანს მანჩესტერის გარემოს.

აღსანიშნავია, რომ ამჟამად ბრიტანეთში კიდევ 17 მსგავსი პროექტი მუშავდება, რომელთა დაფინანსებასაც ნაწილობრივ სახელმწიფო კისრულობს, ნაწილობრივ კი გარემოს დაცვისა და მსგავსი პროფილის სხვა ორგანიზაციები.

ერთ-ერთი ამ პროექტთაგანი ითვალისწინებს რიდინგში მდებარე "კინგს მედოუ ჰაუსის" სამხრეთისა და აღმოსავლეთის მხარეების 176 ცალი ელექტროპანელით დაფარვას. ეს შენობა იმითაა ცნობილი, რომ მასში განთავსებულია გარემოს დაცვის რეგიონული სააგენტოს შტაბ-ბინა.

სახელი ______________________ მისამართი ______________________

გვარი ______________________

ასაკი ______________________ საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ______________________

სიმაღლე ______________________

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა______________ თარიღი__________

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა

# სუსტი რგოლი

## მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" გაძლევს ერუდირებულ, თამამ, მონებაგასახსნილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

გთხოვთ შეავსოთ გარკვევით
ბლანკი უფასოა

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

თქვენი ფოტოსურათი

გთხოვთ, დააკრათ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გამოსახული, მაგრამ სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათის უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გამოსახული უნდა იყოს ბოლო ორი წლის განმავლობაში.

## TV პროგრამა

24 თებერვალი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** ტელელიპუტები **10.00** სერიალი "შეყვარებული ქალები" **11.00** ფორტ-ბოიარდი **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.50** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "ბოინგი 747" **15.25** ჩემპიონთა ლიგა. **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** ტელელიპუტები **18.30** პატრული **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** ვის უნდა 50 ათასი **23.00** დოკ. ფილმი "ადამიანის სხეული" (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "ფხიზელი ძილი" (18) (უილიამ დეფო) **02.10** პატრული

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.00(შვეიცარია), 02.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.30** ტელედილა. **10.30** ტელეტურიზმი. **11.05** აგდაცემა საოჯახო ფოტოები. **12.20** მაშველები. ტელესერიალი. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.25** გადაცემა: ფრანს ევროპ ინფო. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.25** გაუგებარი გრძნობები. მხ ფილმი. რეჟისორი ეტიენ პერიე. **22.05** აკუსტიკა. **24.30** მოთხილამურეები. მხ ფილმი. რეჟისორი პატრიკ ლეკონტი. **04.20** ჩექმები. მხ ფილმი. რეჟისორი რენო ბერტრანი. 2003.

**08.00** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "ქარალის დაკარგული პირამიდები" **11.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "რედვოლი" **12.45** ანიმაციური ფილმი "ციცქნა მოჩვენებანი" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" აზერბაიჯანულ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** "ბიოგრაფიული პორტრეტები" - რობერტსი, ტრამპი. **16.30** დოკ. ფილმი "ტიმბუქტუს დაკარგული სპილოები" **17.30** დოკ. ფილმი "მითხარი რატომ" -დასაწყისი **18.00** "მთავარი" - რეგიონებიდან **18.30** სერიალი "შირლი ჰოლმსი" **19.00** "ჰოლმარკი" წარმოგიდგენთ - "ნოეს კიდობანი" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "მზის ტყვეები" **23.00** მედიატორი **23.30** ქართ. ფილმი "საფეხური" (გ) **02.00** საინფ. გამოშვება

### კავკასია

**11.00** ტუწ-ემ **11.30** მხ. ფილმი "საშიში პირები" (გ) **13.00** ტუწ-ემ **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** ტუწ-ემ **19.20** სპექტრი **21.15** მხ. ფილმი "მემკვიდრეობა" (გ) **00.30** ტუწ-ემ

### 202

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** მუსიკალურ-გასართობი გადაცემა "პროპაგანდა" **13.00** სერიალი "დიდი სახლი" (გან.) **14.00** მუს. გადაცემა "პროპაგანდა" **18.00** მუსიკა **22.00** სერიალი "დიდი სახლი" **23.00** დებატები 202-ზე

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** "ფოკუსის ისტორია" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "პოლიციელი ქალები" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.05** "დიელი და პასკო" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ყველაზე, ყველაზე" **16.05** "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "დიელი და პასკო" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** მუსიკა **19.00** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "პოლიციელი ქალები" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** არჩევანის ზღვარზე **23.45** მხ. ფილმი "მკვლელობა აღმოსავლეთის ექსპრესში" (გ) (რაინხოლდი)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "ცხელი ზაფხული" **19.50** "ბაბილინა" **20.05** მულტსერიალი "მარსუპილამი" **20.30** დოკ. ფილმი "დიზაინი" **20.55** დოკ. ფილმი "ვ. ნიჟინსკი" **21.45** ექსცენტრიკოსები **22.10** კინოსეანსი "ხაფანგი თანამდებობის სახით"

### იმედი

**07.00** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **07.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" **11.35** სერიალი "ორი ბედი" **12.40, 16.25, 02.10** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "მუსოლინი და მე" მე-3 ნ. **14.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 02.00** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **17.10, 02.40** იმედის მელოდიები **17.30** "განვითარების პროექტი საქართველოში" **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "ორი ბედი" **22.50** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" **23.15** "ბი-პი" ჩვენი პარტნიორი" **23.30** "ათასიდან ერთი შანსი" **00.05** მხ. ფილმი "ენჯელის გული" (18) (მ. რურკი)

### აჭარა

**09.00** საინფ. დაიჯესტი **09.30** კომედია "3000 მილი გრეისლენდამდე" **11.35** მუსიკა **12.00** ბოევიკი "ტერორისტები" **13.30** მუსიკა **14.00** მხ. ფილმი "დიდი ცუდი სიყვარული" **16.00** მულტფილმი **17.30** საინფ. დაიჯესტი **17.50** მუსიკა **18.30** საინფ. დაიჯესტი "ნოვოსტი" **18.50** დოკუმენტური ფილმი **20.00** "გადარჩენილი სიტყვა" **20.30** საინფ. დაიჯესტი **21.00** ბოევიკი "ავარია" **22.45** "ექსკლუზივი" **23.30** საინფ. დაიჯესტი **00.00** მხ. ფილმი "გლორია და ცოფიანი ძაღლი"

### ОРТ

**06.00** "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00** Новости. **09.20** Сериал **"КАВАЛЕРЫ "МОРСКОЙ ЗВЕЗДЫ".** **10.30** Сериал **"КЛОН".** **11.30** Дисней-клуб: "Утиные истории". **12.20** Александр Балуев в боевике **"МАРШ-БРОСОК".** **14.30** "Угадай мелодию" **15.20** Сериал **"ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ-2".** **16.20** "Пять вечеров". Четверг. **17.30** Сериал **"ДВЕ СУДЬБЫ".** **18.40** Сериал **"КЛОН".** **19.50** Сериал **"ЕВЛАМПИЯ РОМАНОВА. СЛЕДСТВИЕ ВЕДЕТ ДИЛЕТАНТ - 2".** **21.00** Время. **21.30** Сериал **"КАВАЛЕРЫ "МОРСКОЙ ЗВЕЗДЫ"**. Закл. серия. **22.40** "Человек и закон" **23.30** Футбол. Кубок УЕФА. **"БЕНФИКА" - ЦСКА**. Прямой эфир из Португалии. В перерыве: **0.20** Ночное "Время". **01.20** Берлинский кинофестиваль в программе "Тихий дом". **01.50** Типпи Хедрен в триллере **"ПТИЦЫ"**. Молодая аристократка Мелани Дэниелс прогуливается по магазинам Сан-Франциско. От скуки она забредает в зоомагазин, где встречает красавца Митча Бреннера. Митч выбирает пару птичек - подарок на день рождения младшей сестре. Он делает вид, что не узнает Мелани. Уязвленная таким пренебрежительным отношением, Мелани покупает птиц и отправляется на уик-энд в маленький приморский городок Бодега Бэй в Калифорнии. Там одиноко живут мать и сестренка Митча. Вскоре после приезда с Мелани происходит странный случай - на нее неожиданно нападает чайка. А затем яростным атакам птиц начинают подвергаться и другие жители поселка. Для подобной агрессии "мирных пташек" нет никаких видимых причин, но кошмар продолжается и с каждым днем число жертв кровожадных монстров неумолимо растет ... **04.10** Приключенческий сериал **"СОБАЧЬЕ ДЕЛО". 05.05** Док. фильм "Атакуем Марс".

### НТВ

**06.00** "Сегодня утром" **09.05** Сериал **"ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО: КТО УБИЛ ДЖЕЙ БИ ФЛЕТЧЕР?". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** "Сегодня" **10.15** Тайны разведки. **10.45** Сериал **"АГЕНТ НАЦИОНАЛЬНОЙ БЕЗОПАСНОСТИ-5".** **11.55** Сериал **"МЕНТОВСКИЕ ВОЙНЫ".** **13.30** Майкл Йорк в фильме **"ВОЗВРАЩЕНИЕ МУШКЕТЕРОВ"**. 1649 год - тревожный для королевских семейств Европы. В Англии Карл I свергнут войсками Оливера Кромвеля. Во Франции на троне - юный Людовик XIV, но страной правит его мать королева Анна и ее любовник кардинал Мазарини... Этой "сладкой парочке" потребовались те, кто сможет спасти короля Карла, а потом и маленького Людовика. Выбор, естественно, падает на старых друзей. Всем мушкетерам уже за сорок: Д'Артаньян прозябает в лейтенантах, Арамиса интересуют больше женщины, нежели религия, Портос богат, но несчастлив, Атос потихоньку спивается. Но всех четверых вновь собирает приказ королевы. Теперь их главная соперница дочь убитой казненной ими миледи - Джастин, жаждущая отомстить за смерть матери... **15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** Детективный сериал **"АДВОКАТ: БОЙ БЕЗ ПРАВИЛ"**. Часть 1-я. **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"МЕНТОВСКИЕ ВОЙНЫ". 20.45** Сериал **"АГЕНТ НАЦИОНАЛЬНОЙ БЕЗОПАСНОСТИ-5: ФАМИЛЬНЫЕ ДРАГОЦЕННОСТИ"**. Часть 1-я. **21.50** Чрезвычайное происшествие. **22.40** "К барьеру!" Ток-шоу Владимира Соловьева. **00.15** Сериал **"МЕНТОВСКИЕ ВОЙНЫ". 01.25** Сериал **"ДЕТЕКТИВ РАШ". 02.20** Бильярд. **03.15** Сериал **"ЗАПАДНОЕ КРЫЛО". 04.10** Сериал **"ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО". 04.55** Остросюжетный сериал **"БЕЗ СЛЕДА-II". 05.40** Чрезвычайное происшествие.

## სკანვორდი



1. ყველაფრის ხელაღებით უარმყოფელი ადამიანი; 2. ვიეტნამის დედაქალაქი; 3. ნეპალის დედაქალაქი; 4. მე-16 საუკუნის იტალიელი ფერმწერი; 5. ფრანგული ცეკვა; 6. რაიმე გამოცემის ნაწილი ცალკე წიგნად; 7. დაკლაკნილი, მთიანი გზის მონაკვეთი; 8. სამყარო როგორც მთლიანობა; 9. არქტიკის ნორვეგიელი მკვლევარი; 10. კვიპროსის საფეხბურთო კლუბი; 11. გარკვეული წესით შედგენილი მათემატიკური გამოსახულება; 12. კეთილმოწყობილი დასასვენებელი ადგილი; 13. რაიმე საგნის, სიტყვის ან აზრის აკრძალვა; 14. ჯულიეტა მიზანას პოპულარული კინოროლი; 15. ფილტვების ანთება; 16. ერთი თაობის საერთო აზრების მქონე გამოჩენილ ადამიანთა ჯგუფი; 17. უმაღლესი სასწავლებელი რევოლუციამდელ რუსეთში; 18. სპორტული ნაგებობა; 19. დამანგრეველი გადატრიალება, კატასტროფა; 20. "მილანის" ქართველი მცველი; 21. ამერიკელი მომღერალი და კინომსახიობი ქალი; 22. ქიმიური ელემენტი; 23. სახლის ზედა ნახევარსართული; 24. დედალი ცხენი; 25. ჭადრაკის ფიგურა; 26. მსოფლიოში ყველაზე პატარა ჩიტი; 27. თოვლზე სასრიალო პატარა მარხილი; 28. ქოლგოსანთა ოჯახის ბალახოვანი მცენარე, საჭმლის საკმაზი; 29. იესო ქრისტეს ერთ-ერთი მოციქული; 30. ზღაპრული, გრძნეული ქალი; 31. ფილმი მადონას მონაწილეობით; 32. გერმანული მსიბუქი ავტომობილების მარკა; 33. წელთააღრიცხვის ერთეული ძველ საბერძნეთში; 34. ყურძნის ტკბილისაგან დამზადებული საჭმელი.

# ბონო, პაპი და ფერადი რევოლუციები



საქართველოს პრეზიდენტს 2005 წლის მშვიდობის ნობელის მოპოვებისთვის ძალიან ცნობილ სახეებთან მოუწევს ბრძოლა. გუშინ "როიტერსის" მიერ გავრცელებული ცნობით, პრიზზე 166 ნომინანტია წარდგენილი, მათ შორის რომის პაპი იოანე პავლე მეორე, როკ-ვარსკვლავი ბონო და ინდოეთის ოკეანეში მომხდარი ცუნამის დროს მოქმედი დამხმარე რაზმებიც.

ნორვეგიის ნობელის ინსტიტუტის დირექტორი გეირ ლუნდესტადი აცხადებს: "ჯერჯერობით 166 კანდიდატი გვყავს, მათგან 29 ორგანიზაციაა. ძალიან მრავალფეროვანია გეოგრაფიული არეალიც". ცხადია, ლუნდესტადი არ ასახელებს არც ერთ ნომინანტს პრიზისა, რომელიც 2004 წელს კენიელ ვანგარი მაატჰაის გადაეცა - ხეების დარგვის მოძრაობის ხელმძღვანელსა და გარემოს პირველ დამცველს მშვიდობის ნობელის ისტორიაში.

თუმცა, ანონიმურობისა და გასაიდუმლოების მიუხედავად, ზოგიერთი კანდიდატურის ვინაობამ პრესაში დიდი ხანია, გაჟონა. მათ შორის აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელიც კი სახელდება.

ექსპერტები ფიქრობენ, რომ 2005 წელს ჯილდო, სავარაუდოდ, იმ პიროვნებას ან პიროვნებათა ჯგუფს გადაეცემა, რომელთაც 26 დეკემბერს მომხდარი დამანგრეველი ცუნამის შემდეგომ ჩატარებულ ოპერაციებში მიიღეს მონაწილეობა. ასეთია Save the Children ("გადაარჩინეთ ბავშვები") ანდა "ოქსფამი". ასეთივე წარმატებით მშვიდობის ნობელი შეიძლება გადაეცეს წითელი ჯვრის საერთაშორისო საბჭოსაც. ეს უკანასკნელი პრიზის სამგზის მფლობელია - 1963, 1944 და 1917 წლებში. სულ ბოლოს კი, იგივე დანიშნულების ორგანიზაციებიდან ნობელი ორგანიზაცია Medecins Sans Frontieres-ს ("ექიმები საზღვრებს გარეშე") ხვდა წილად 1999 წელს.

ერთი სიტყვით, ცუნამიმ შეიძლება ნობელისთვისაც ბევრი რამ შეცვალოს. ბოლო წლებში შვედური ინსტიტუტი ისედაც გადასხვაფერებას განიცდის. შარშან ხომ პირველად დაჯილდოვდა გარემოს დამცველი აფრიკელი. ამიტომ გამორიცხული არ არის, მშვიდობის ნობელი წელს სულაც მუსიკოსს ერგოს - როგორიც ბონოა.

რაც შეეხება რომის პაპს, ის პრემიაზე ბევრჯერ ყოფილა წარდგენილი, მაგრამ არც ერთხელ არ მოუპოვებია. მიზეზად მის კონსერვატორულ ქადაგებებს ასახელებენ. რომის პაპი ხომ აბორტის და ორსულობის წინააღმდეგ მიმართულ სხვა ქმედებებს უდგას ოპოზიციაში.

სავარაუდო ნომინანტებს შორის, "როიტერსის" ცნობით, ასევე სახელდებიან:

ინდოეთის სულიერი ლიდერი სრი სრი რავი შანკარი;

უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშენკო "ნარინჯისფერი რევოლუციის" წარმატებით დაგვირგვინებისთვის;

ჩეხეთის პრეზიდენტი ვაცლავ ჰაველი - ის აქამდეც ბევრჯერ ყოფილა წარდგენილი;

ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო (IAEA) - წელს ჰიროსიმისა და ნაგასაკის დაბომბვიდან 60 წლისთავი სრულდება;

არსებობს გაერთიანება "ქალები 2005 წლის მშვიდობის ნობელისთვის", რომლის წევრებსაც სურთ, რომ პრიზით გათვალისწინებული თანხა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის ათასამდე ქალმა გაიყოს.

ასეა თუ ისე, ნომინანტების წარდგენის უკანასკნელი ვადა 1 თებერვალს ამოიწურა. შარშან ნომინანტთა რაოდენობა რეკორდულ რიცხვს - 194-ს აღწევდა. წარდგენის უფლება პარლამენტის წევრებს, ნობელის ვეტერან ლაურეატებს და უნივერსიტეტების პროფესორებს ჰქონდათ. ჯილდო 1.43 მილიონი დოლარით განისაზღვრება. მფლობელის ვინაობა ოქტომბერში გაირკვევა. დაჯილდოების ცერემონიალი კი 10 დეკემბერს შედგება.




# უგანდაში "საშოს მონოლოგს" ვერ მოისმენენ




უგანდაში ფემინიზმმა დარტყმა მიიღო. "საშოს მონოლოგი", - პროგრესულად მიჩნეული სპექტაკლი, რომელიც ნიუ იორკისა და ლონდონის თეატრებში აჩვენეს, უგანდაში აკრძალეს.

სპექტაკლში, რომლის შესახებ ევროპაშიც არა აქვთ ერთგვაროვანი დამოკიდებულება, წამოჭრილია ქალთა სექსუალურობის საკითხები. პრობლემები იხსნება მონოლოგებით: ქალები თავად ჰყვებიან საკუთარ თავზე.

"მონოლოგების" პრემიერა კამპალაში უკანასკნელ უქმეებზე უნდა გამართულიყო. ცენზორი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საბჭო აღმოჩნდა. საბჭოს წევრების თქმით, სპექტაკლი ხოტბას ასხამს ლესბოსელებსა და ჰომოსექსუალისტებს, ამიტომ მისი დადგმა შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენიდან გამაღიზიანებელ ფრაგმენტებს ამოიღებენ.

"პიესა ეწევა უკანონო, არაბუნებრივი სქესობრივი აქტების პროპაგანდას, ამიტომაც ის უნდა აიკრძალოს", - წერია საბჭოს განცხადებაში. როგორც უგანდის ერთ-ერთი გაზეთი "ნიუ ვიჟნ" იუწყება, ამ მოსაზრებას იზიარებენ ქვეყნის პარლამენტარები და ეკლესიის ლიდერები.

ამ ყველაფრის გამო აღშფოთებას ვერ მალავენ ჩვენების ორგანიზატორები (ოთხი არასამთავრობო ორგანიზაცია) და ამბობენ, რომ პიესაში გაშიშვლებულია ქალთა წინააღმდეგ სექსუალური ძალადობის პრობლემები. იგივეს იმეორებს პიესის ავტორი, ამერიკელი დრამატურგი ევა ენსლერი. "ცხადია, არსებობს გარკვეული შიში სიტყვა "საშოსთან" დაკავშირებით. მაგრამ ის არის არა ბინძური, არამედ ბიოლოგიური, ანატომიური სიტყვა". დრამატურგის თქმით, სპექტაკლში უგანდელი ქალები საკუთარი ნებით თამაშობენ, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე. "შეძრული ვარ. ეს ქვეყანა ვითომ პროგრესულია, თითქოს იცავს ქალთა უფლებებს, თუმცა, როდესაც ქალებს სურთ, საკუთარი ამბები გაუზიარონ ერთმანეთს, ხელისუფლება მთელ თავის სახელმწიფო აპარატს იყენებს ჩვენს გასაჩუმებლად", - განუცხადა "ბი-ბი-სის" ევა ენსლერმა.




# ბრიტანეთი ელის REM-ს



REM ბასისტი მაიკ მილსი ყურის სერიოზული ინფექციით საავადმყოფოში გადაიყვანეს, რის გამოც, ჯგუფი იძულებული გახდა, რამდენიმე კონცერტი გადაედო. მათ შორის შეფილდსა და გლაზგოში დაგეგმილი გამოსვლები.

REM-ის წარმომადგენლის თქმით, მილსი ისე ცუდად იყო, რომ დაკვრას ნამდვილად ვერ შეძლებდა.

გლაზგოს შოუს თარიღი ჯერაც არ დადგენილა, სამაგიეროდ შეფილდელები მაიკ სტაიპის ბიჭებს 15 ივნისს შეხვდებიან. მანამდე კი მათ ორშაბათს ჩატარებულ აკუსტიკურ კონცერტზე მოუწევთ გადავლა. იმ საღამოს REM-მა აუდიტორიას თავიანთი ჰიტების Losing My Religion, Leaving New York, The One I Love და სხვა აკუსტიკური ვერსიები შეუსრულეს.

კონცერტებს ისინი ბრიტანეთში მსოფლიო ტურნეს ფარგლებში მართავენ. რამდენიმე ინგლისურ ქალაქში მათ სულ ოთხი შოუ უნდა გამართონ.

იმედია, მაიკ მილსი მალე გამოჯანმრთელდება. ისტორიას კი ერთი უსიამოვნო შემთხვევაც ახსოვს. 1995 წელს შვეიცარიაში გამართული კონცერტის დროს სცენაზე წაიქცა REM-ის დრამერი ბილ ბერი. მას ანევრიზმა გაუსკდა. ბერი გამოჯანმრთელდა, მაგრამ შემთხვევიდან ორი წლის შემდეგ ჯგუფიდან წავიდა.

# "მისი კუბა აღარ არსებობს"

კუბელი მწერალი გილერმო კაბრერა ინფანტე, რომელმაც ფიდელ კასტროს რეჟიმის მწვავე კრიტიკით გაითქვა სახელი, 75 წლის ასაკში გარდაიცვალა. მან თეძოს ძვალი მოიტეხა და შემდეგ საავადმყოფოში ინფექციით გარდაიცვალა.

უკვე 40 წელიწადია, ინფანტე ლონდონში ცხოვრობდა. მისი ყველაზე ცნობილი წიგნია 1967 წელს გამოქვეყნებული "სამი დატყვევებული ვეფხვი" - რომანი რევოლუციამდელი ჰავანის ღამის ცხოვრებასა და კულტურაზე.

1997 წელს ინფანტე დააჯილდოვეს სერვანტესის პრიზით, რომელიც ესპანურენოვან სამყაროში უმაღლეს ჯილდოდ ითვლება.

კაბრერამ კუბაში მწერლობითა და კინოკრიტიკით დაიწყო კარიერა. ის თავიდან კასტროს რევოლუციური მოძრაობის აქტიური მხარდამჭერი იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც მთავრობამ კომუნიზმი და ცენზურა გაამეფა ქვეყანაში, მწერალი ძველ იდეალებს განუდგა. ის იძულებული გახდა, კუბიდან გაქცეულიყო და თავშესაფარი ბრიტანეთში ეპოვა.

მისი წიგნებიდან ასევე აღსანიშნავია 1974 წელს გამოქვეყნებული "ალიონი ტროპიკებში" და 1979 წელს გამოსული რომანი "ჰავანა მკვდარი პრინცისთვის". 1993 წელს დღის შუქი იხილა კასტროს კრიტიკით სავსე ესეების კრებულმა Mea Cuba.

მალე ეკრანზე გამოვა ინფანტეს სცენარით და მისივე რომანით ("სამი დატყვევებული ვეფხვი") გადაღებული ფილმი "დაკარგული ქალაქი", რომელიც იმითაც არის აღსანიშნავი, რომ რეჟისორი ენდი გარსია გახლავთ. მთავარ როლებს ფილმში გარსიასთან ერთად დასტინ ჰოფმანი და ბილ მიურეიც ასრულებენ.

ინფანტეს მეუღლე, მსახიობი მირიამ გომესი აცხადებს: "ის სამშობლოდან შორს გარდაიცვალა, მაგრამ სამაგიეროდ - უპატრონოდ. ის კუბას ყოველთვის გულით ატარებდა. სამწუხაროდ, მისი კუბა დღეს უკვე აღარ არსებობს".



თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

# მადონა ფილმში უფასოდ ითამაშებს



მადონას ტრანსვესისტის როლი შესთავაზეს. პოპ-მუსიკის დედოფალი მსახიობ კენდი დალინგს უფასოდ განასახიერებს. პრესაში გაჩნდა ცნობები, რომ მადონა თავისი არტისტული ოსტატობის სრულად გამოსავლენად კარგა ხანია, ეძებდა შესაფერის როლს. ახალ შეთავაზებას კი უჰონორაროდ დათანხმდა, რათა კინოში უკანასკნელი წარუმატებლობა "გამოისყიდოს". ჯერჯერობით საიდუმლოდ რჩება ფილმის სახელწოდება და რეჟისორი. რაც შეეხება კენდი დალინგს, ის გასული საუკუნის 60-70-იანი წლების ცნობილი მსახიობი იყო, რომელსაც აქტიურად იღებდა თავის ფილმებში ენდი უორჰოლი. ლუ რიდმა კი მსახიობს ორი სიმღერა - Candy Says და Walk On The Wild Side მიუძღვნა.

## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.